

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი
დეპარტამენტი

სოფიო ბაკურიძე

**რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების
შესაძლებლობები ატიპური ეკონომიკური კრიზისის
პირობებში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მანველიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბათუმი 2022

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ბაკურიძე

თარიღი:

ხელმოწერა:

სარჩევი

შესავალი -----	5
თავი I. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის ფუნქციონალური მნიშვნელობის განსაზღვრის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები-----	14
1.1 რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები, გამოწვევები და რისკები -----	14
1.2 რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის მენეჯმენტის თავისებურებები და პრობლემები -----	23
1.3 რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები -----	29
თავი II. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, შეფასება და განვითარების პერსპექტივები -----	42
2.1. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებელი -----	42
2.2. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის ქართული გამოცდილების ანალიზი და განვითარების სისტემური პრობლემების გამოვლენა-----	56
2.3. პოსტკრიზისულ პერიოდში რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის მოდერნიზაციის პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა-----	75
თავი III. სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის წარმატებული პრაქტიკის ბიზნესმოდელებისა და მექანიზმების ორგანიზაციულ სტრუქტურული ანალიზი --	85
3.1. სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის ექსპორტის ორგანიზების თანამედროვე ტექნოლოგიები – მოწინავე გამოცდილება -----	86

3.2. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში -----	115
დასკვნები და წინადადებები -----	148
გამოყენებული ლიტერატურა -----	153

შესავალი

თემის აქტუალობა. ტურიზმის ერთ–ერთ მნიშვნელოვან და დინამიკურად განვითარებად სახეს რეკრეაციულ-სამკურნალო ტურიზმი წარმოადგენს.

თანამედროვე მსოფლიოში შეინიშნება მისწრაფება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ. ღირებულებათა თანამედროვე სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტივობების ზრდა. სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, მეორე მხრივ კი, მათი ცხოვრების დონის ამაღლებასთან.

ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის პრეამბულაში აღნიშნულია ტურისტული საქმიანობის ზრდის ტენდენციის შესახებ, რომელიც უკავშირდება რეკრეაციულ, საქმიან, კულტურულ, რელიგიურ და გამაჯანსაღებელ მიზნებს. განსაზღვრულია, რომ ტურიზმის საყოველთაო უფლება დასვენებისა და რეკრეაციის უფლების შედეგია.

მთელ მსოფლიოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებამ და ამავედროულად მოსახლეობის ყველა ფენაში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტექნოლოგიებისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმართ ინტერესის გაღვივებამ გამოიწვია ტურიზმის ახალი, პერსპექტიული სახეების წარმოშობა. მათგან აღსანიშნავია სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმი, რომელიც ტურისტული ადგილების მონახულების პარალელურად მრავალფეროვანი სამედიცინო მომსახურების მიღებას გულისხმობს. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ სამკურნალო ოპერაციებით, ქირურგიული ჩარევებით, არამედ გულისხმობს მისი თანმდევი პროცედურების კომპლექსსაც, კერძოდ: ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკას, დაავადებათა საწყის ეტაპზე პრევენციულ დიაგნოსტიკას, გადატანილი გართულებებისა თუ ოპერაციების შემდგომ რეაბილიტაციას.

სამედიცინო ტურიზმის, როგორც სრულფასოვანი ტურისტული სფეროს ჩამოყალიბების ეტაპად უნდა დავასახელოთ 21-ე საუკუნე, როცა გლობალური პროცესების, ტურისტებისთვის სატრანსპორტო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ინტერნეტ და სოციალური ქსელების მეშვეობით ინფორმაციათა სწრაფი

გაცვლის შესაძლებლობით, ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა სხვა ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მიღება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, გამოიწვია ტურისტული მომსახურების ბაზრის სეგმენტის წარმოქმნა, რომელიც ხასიათდება მომხმარებელთან სპეციფიკური ურთიერთობით, ძირითადი თუ თანმხლები მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიური საფუძვლებით.

რადგან სამედიცინო ტურიზმი მრავალფუნქციურია და აერთიანებს მრავალ მიმართულებას, მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შეფასება არის ძალიან რთული. ამაში იგულისხმება არა მხოლოდ იმ ფაქტორების დახასიათება, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული ტიპის ტურიზმის ტრაექტორიას, არამედ იმ სპეციალიზებული სფეროების გამოყოფაც, რომლებიც სამედიცინო მომსახურების გაწევის ნაწილში ერთმანეთს არ გადაკვეთენ.

ამ თემაზე საუბრისას აუცილებელია იმ ფორმულირებების გათვალისწინება, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებში ტურიზმის მოცემულ სახეს განსაზღვრავს. მათ შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

- ტურისტულ მოქმედებათა ტიპი, რომელიც მოიაზრებს დამადასტურებელი (დიაგნოზი, მკურნალობა, პროფილაქტიკა და რეაბილიტაცია), სამკურნალო და სამედიცინო მომსახურების (როგორც ინვაზიური, ასევე არაინვაზიური ხასიათის) გამოყენებას, და ერთდროულად ითვალისწინებს დასვენებასა და გართობას (მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ფორმულირება);

- აქტიური დასვენების ტიპი, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის მორალურ-ფიზიკურ ჯანმრთელობასა და პიროვნების სრულ განვითარებაზე, და უკავშირდება პირის საცხოვრებელი ადგილიდან გადაადგილებას ტურისტული მოგზაურობისა და ქვეყნიდან გასვლის გზით (ევროპული საკურორტო ორგანიზაციის ფორმულირება);

- დასვენების, გართობისა და ინდივიდუალური გამაჯანსაღებელი პროგრამების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს მომხმარებელზე ზრუნვას (ტურიზმის სფეროში ევროპის ასოციაციის სამეცნიერო ექსპერტების ფორმულირება).

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან გამომდინარე, ტურიზმის სფეროს საერთაშორისო ორგანიზაციებს სამედიცინო ტურიზმის ცნების განმარტებისას არ

აქვთ ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომა, რაც კიდევ უფრო ართულებს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას ამ ტიპის ტურიზმის სტრატეგიული განვითარების საქმეში. ამიტომაც მიზანშეწონილია ხაზი გაესვას საკვლევი პრობლემის დამუშავების საჭიროებასა და მნიშვნელობას, და სამედიცინო ტურიზმის, როგორც ინდუსტრიის უნიკალური სეგმენტისა და სოციალური სფეროს მნიშვნელოვანი ელემენტის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრას.

სამედიცინო ტურიზმი ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანილი სფეროა. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტ-ნაკლებად ახალი დარგია, ძალიან სწრაფად ვითარდება. მისი განვითარება ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი სფეროს განვითარებას, როგორცაა სამედიცინო სექტორი.

თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პირობებში საჭიროება მოითხოვს, განვითარდეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებები, რომ ქვეყანამ შეძლოს მასში არსებული რესურსის მაქსიმალურად გამოყენება, ეს იქნება სამეცნიერო, საკადრო, საორგანიზაციო პოტენციალი თუ სხვა. ამ ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ჯანდაცვის რესურსმა, რომელიც თავის თავში გულისხმობს სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს.

2004-2012 წლებში სამედიცინო ტურიზმიდან შემოსავლები 40 მილიარდიდან 0,5 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა და მთლიანი ტურიზმის შემოსავლების (\$ 3.2 ტრილიონი) 14% შეადგინა. 2012 წელს, სამედიცინო ტურიზმმა გლობალური მშპ-ის 1.8% შეადგინა. დღეისთვის სამედიცინო ტურიზმის ბაზრის ფინანსური მოცულობა შეადგენს 439 მილიარდ ამერიკულ დოლარს.

საგულისხმოა ასევე, საზღვარგარეთ სამედიცინო დახმარების მისაღებად გასული ტურისტების რაოდენობის ზრდის ტენდენციაც. 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საზღვარგარეთ სამკურნალოდ წავიდა 11 მილიონზე მეტი ადამიანი. 2025 წლისთვის ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ სამედიცინო ტურიზმის ფინანსური ბაზრის მოცულობა 3 ტრილიონი ამერიკული დოლარით გაიზარდება. ამ კუთხით სპეციალიზებული სააგენტოების ანგარიშის მიხედვით, უახლოეს ათ წელიწადში მსოფლიოში სამედიცინო ტურიზმის ფინანსური მაჩვენებლის წელიწადში 25%-იანი

ზრდაა ნავარაუდები. სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიისა და ჯანდაცვის განვითარების ეს მაჩვენებელი ეფუძნება კვლევებს, რომელთა მიხედვითაც დედამიწის მოსახლეობის 3-4% საზღვარგარეთ მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით იმოგზაურებს.

ბოლო წლებში სამედიცინო ტურიზმის მზარდ პოპულარობაზე გავლენა იქონია არაერთმა ფაქტორმა ფაქტორმა, ესენია: ინდუსტრიულ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდა, საერთაშორისო მოგზაურობის გაადვილება და გაიაფება, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწრაფად გაუმჯობესებული ტექნოლოგია და მომსახურების სტანდარტები. სამედიცინო ტურისტები დღეს ძირითადად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებიდან არიან და ქვეყნები, სადაც ისინი მიემგზავრებიან ნაკლებად განვითარებულია და ვალუტის გაცვლის შეღავათიანი კურსი აქვთ.

რეკრეაციული და სამედიცინო ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, ამ სფეროს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისითაც, მისი მართვის სწორად დაგეგმარებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარება.

ქვეყნებში, რომლებშიც სამედიცინო ტურიზმია განვითარებული, ის ეკონომიკის დამოუკიდებელ სფეროდ მიიჩნევა, ვინაიდან უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებათა ფინანსურ მდგრადობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და სამედიცინო პერსონალის ღირსეული ხელფასით უზრუნველყოფას, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე.

სამედიცინო ტურიზმის ფარგლებში პაციენტების მოგზაურობას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ამ მიზეზთა შორისაა - მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღება დროის მოკლე მონაკვეთში, დალოდების პერიოდის გარეშე; საკუთარ ქვეყანასთან შედარებით სამედიცინო მომსახურების დაბალი ფასი; კონფიდენციალურობა; მზრუნველი დამოკიდებულება მედპერსონალის მხრიდან.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა ფასიანი მომსახურებაა და მოითხოვს მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარებას, რასაც სწორი ორგანიზება ესაჭიროება. აღნიშნული გულისხმობს სამედიცინო სფეროში ფინანსურ ინვესტიციებს, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემისა და სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ორგანიზების მექანიზმის დანერგვას.

ადრე გამაჯანსაღებელ ტურიზმზე მოთხოვნა ძირითადად ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მხრიდან მოდიოდა. მოქალაქეები ჩამოდიოდნენ სამედიცინო მომსახურების მისაღებად ეკონომიკურად გაცილებით განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ფლობდნენ ინოვაციურ სამედიცინო ტექნოლოგიას, ჰქონდათ განვითარებული ინფრასტრუქტურა და მომსახურების მაღალი ხარისხი. დღეისთვის მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია - სულ უფრო მეტი ტურისტი ჩადის ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ხარისხიანი და კონკურენტული სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

ქვეყნის რეკრეაციული სივრცეებისა და სამედიცინო ობიექტების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება პოსტპანდემიურ პერიოდში, როცა ხანგრძლივი იზოლაციისა და დახურულ სივრცეებში გამოკეტვის შემდეგ დღის წესრიგში დგება ადამიანების არამხოლოდ ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროება, არამედ ისინი შესაძლოა საჭიროებდნენ სასუნთქი გზების, საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა პრობლემების მოგვარებას. ამიტომ რეკრეაციული სივრცეები და სამედიცინო ობიექტები მზადყოფნაში უნდა იყვნენ პაციენტების მისაღებად.

საქართველოს არცთუ ცუდი პერსპექტივები აქვს კორონავირუსის შედეგად ჩამოშლილი ტურიზმის გამოსაცოცხლებლად.

ამ ვითარების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სფეროს განვითარებისთვის რეალური გზის გამონახვა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმი. მნიშვნელოვანია, გაკეთდეს ანალიზი, დღევანდელი ატიპური ეკონომიკური კრიზისის პირობებში რა რეალური შესაძლებლობები არსებობს რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განსავითარებლად.

გამაჯანსაღებელი ტურიზმის ბაზარი, როგორც სერვისის მიმწოდებელი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, დღეს კრიზისულ მდგომარეობაშია. ამ უკანასკნელის ერთ-ერთ მიზეზად კი შესაძლოა დასახელდეს მოსახლეობის შემოსავლის კლება და არსებული ინფრასტრუქტურით სარგებლობაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, კრიზისული მდგომარეობა, საიდანაც არსებობს ერთადერთი გამოსავალი - გონივრული მართვა და სწორი გადაწყვეტილებები, რაც გულისხმობს როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის შესაძლებლობას, ასევე პირად ინიციატივებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ცვლილებები ორგანიზებასა და ბიზნესპროცესების მართვაში.

კვლევის მიზანია რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შესწავლა ატიპიური ეკონომიკური კრიზისის პირობებში. მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი **ამოცანები**:

1. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები, მათთან დაკავშირებული გამოწვევები და არსებული რისკები;
2. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის მენეჯმენტის თავისებურებები და პრობლემები;
3. სამკურნალო და რეკრეაციული ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები;
4. ტურიზმის საკვლევი ბაზრის ქართული გამოცდილების ანალიზი და პრობლემების გამოვლენა;
5. სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
6. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის ბუნებრივი და კულტურული, საკადრო, ტექნოლოგიური და სხვა პოტენციალის განვითარების შესაძლებლობების გამოკვლევა.

კვლევის საგანია რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესწავლა-გაანალიზება.

სამედიცინო ტურიზმის ბაზარი, როგორც ტურიზმისა და ჯანდაცვის სისტემის ინდუსტრიის ნაწილი, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მოითხოვს

განსაკუთრებულ ყურადღებას. რადგან სახელმწიფო რეგულირების ორგანოებიდან თუ სამეწარმეო სტრუქტურების მხრიდან სწორედ დროული და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაზეა დამოკიდებული მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო ნეგატიური შედეგის თავიდან აცილება.

კვლევის ობიექტია ატიპიური ეკონომიკის პირობებში საქართველოს პერსპექტივები და სუსტი მხარეები, რისკები და გამოწვევები სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის ცალკეული მიმართულებების მიხედვით. ამ თვალსაზრისით შეფასებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძლიერი და სუსტი მხარეები და დასახულია პერსპექტივები რეგიონში დარგის დაჩქარებული განვითარებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველი: საკვალიფიკაციო ნაშრომის თეორიულ–მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს რეკრეაციულ და სამკურნალო ტურიზმთან დაკავშირებით არსებული ფუნდამენტური გამოკვლევები, ტურიზმის განვითარების თეორიისა და პრაქტიკის სფეროში განხორციელებული სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, მონოგრაფიები, სტატიები, სტატისტიკური მასალები.

სისტემური მიდგომიდან გამომდინარე საკვლევი ობიექტის შესწავლა–დამუშავებისას გამოყენებულ იქნა სინთეზის და ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის და სხვა მეთოდები. ნაშრომში გამოყენებული საინფორმაციო მასალა ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საინფორმაციო ბაზას.

მეცნიერული სიახლეები:

1. წარმოდგენილია რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის არსი, თავისებურებები, განვითარების ტენდენციები და შესაძლებლობები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

2. გაანალიზებულია რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში;
3. მოცემულია სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის ბაზრის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, დანიშნულება და წარმოდგენილია ძირითადი კრიტერიუმების ანალიზი;
4. გაანალიზებულია კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდში სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის რეკონსტრუქციის, ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის მექანიზმები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
5. მოწინავე გამოცდილებისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილია სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის პროდუქტების ექსპორტის ორგანიზების ტექნოლოგიები;
6. სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის სუბიექტების ფუნქციონირების ორგანიზაციულ-მმართველობითი მექანიზმების ანალიზის გათვალისწინებით შემუშავებულია სფეროს ეფექტიანი განვითარების ბიზნესმოდელები და სტრუქტურა;
7. ჩამოყალიბებულია არგუმენტირებული წინადადებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის ბუნებრივი, გეოპოლიტიკური, სავაჭრო, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული პოტენციალის რეგიონული გამოყენების შესახებ;
8. დასაბუთებულია სახელმწიფო და კერძო პოტენციალის ეფექტიანი ინტეგრაციის მექანიზმები სამკურნალო და რეკრეაციული ტურისტული სუბიექტების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლების, საშუალო და დაბალი შემოსავლის სოციუმის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები, წინადადებები და რეკომენდაციები წარედგინა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის

დეპარტამენტს. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები სტატიების სახით გამოქვეყნებულია საერთაშორისო კონფერენციების მასალებში, საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში.

სადისერტაციო კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის ძირითადი დებულებები, კვლევის შედეგები, თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნას უმაღლესი სასწავლებლების მიერ ტურიზმის დარგის სპეციალისტების მომზადებისას. დაეხმარება სახელმწიფო ორგანოებს ტურიზმის სფეროში სათანადო ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს და რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის კონკურენტუნარიანი სტრატეგიის შემუშავებისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 165 ნაბეჭდ გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართებისგან

თავი 1. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის ფუნქციონალური მნიშვნელობის განსაზღვრის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები

1.1. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები, გამოწვევები და რისკები

ტერმინის - სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმი - განმარტებისას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა მიდგომას იყენებს და მის სხვადასხვა მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ ის დასვენებისა და სამედიცინო სერვისის მიღების კომბინაციაა. ეს შეიძლება გულისხმობდეს როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით მოგზაურობას დასვენებისა და სამედიცინო სერვისის მიღების მიზნით.

„სამკურნალო ტურიზმი - კურორტების გამოყენება მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად“ - ასე განმარტავს საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ სამედიცინო და რეკრეაციულ ტურიზმს. თუმცა სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმი დღეს ეკონომიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგად იქცა, რომელსაც ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. (საქართველოს კანონი... 1997). ამ მომსახურების მიღებაზე დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა, ახალგაზრდობის შენარჩუნება, ხშირად კი ადამიანის სოციალური იდენტიფიცირება სწორედ იმის მიხედვით ხდება, თუ რამდენად მოვლილია ადამიანი.

ამგვარად, ველნესი არის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ღონისძიებების ურთიერთკავშირის მოქნილი სისტემა, რომლის მიზანია არა მხოლოდ ავადმყოფობის პროფილაქტიკა, არამედ ასევე სასიცოცხლო ძალების აღდგენა და მკურნალობა. ველნეს-მომსახურების მიზანია, ადამიანს შესთავაზოს და განუვითაროს ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, რაც გულისხმობს სპა-მომსახურებას, ფიზიკურ ვარჯიშებს, ველნეს განათლებას, ჯანსაღ სამზარეულოს და ა.შ.

ეს რაც შეეხება ადამიანის გაჯანსაღების ნაწილს, რომელიც, ჩვენი აზრით ამ ბიზნესის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია. სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია ბიზნესის კუთხითაც.

ისეთი ქვეყნის განვითარებისთვის, როგორც საქართველოა, სადაც უამრავი საკურორტო ადგილია, ამ დარგის განვითარებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაში, თუკი ამ სფეროს მართვა გონივრული დაგეგმარებით წარიმართება.

სამედიცინო ტურიზმის განვითარებას განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების სახეები. ამ სფეროს მკვლევრების აზრით, სამედიცინო ტურიზმი წარმოადგენს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ სფეროს, რომლის მიმართულებები მოთხოვნების შესაბამისად გამუდმებით იცვლება. ამგვარად, ჩნდება კლინიკებში ახალი მომსახურებები, რომლებიც ადგილობრივ ვიზიტორებთან ერთად ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების კონსულტაციებსა და მიღებას. (**Дайхес, 2020**). სამედიცინო ტურიზმით მოსარგებლე სეგმენტისთვის განსაკუთრებით მოთხოვნადია ისეთი მომსახურებები, როგორცაა: კონკრეტული სახის მკურნალობის ჩატარება; დიაგნოზის დაზუსტება და გამოკვლევები; გაჯანსაღება და გარეგნული იერსახის გაუმჯობესება.

ნ.ს. სალოვა მიიჩნევს, რომ სამედიცინო ტურიზმს ჯერჯერობით არ აქვს ზუსტი მეთოდოლოგიური ჩარჩო და სამედიცინო ტურიზმის განსაზღვრებასა და შინაარსს სხვადასხვაგვარად განმარტავს. რუსეთის სამედიცინო ტურიზმის სეგმენტში, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ მკურნალობას, ცენტრალურ რგოლად მიიჩნევა სანატორიუმები, დასავლეთ ევროპაში ამ თვალსაზრისით ცენტრალურ ადგილს იკავებს spa- და wellness-ოტელები, და სხვა spa-კატეგორიები, რომლის მთავარი ფუნქციაა პროფილაქტიკა და გაკაჟება (**Салова, 2017**).

S.K. Cesario-ს აზრით, სამედიცინო ტურიზმი არის მუდმივად განვითარებადი დარგი, რომელიც უცხო ქვეყანაში ქირურგიული თუ სტომატოლოგიური სამედიცინო მომსახურების მისაღებად წასულ ადამიანს უმარტივებს სხვა ქვეყანაში მოგზაურობას (**Cesario, 2018**). ავტორი მიიჩნევს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრესი და ქვეყნებს შორის ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ამ დარგის განვითარებას განაპირობებს. სამედიცინო ტურიზმის სეგმენტის პაციენტების 50%-ზე მეტი ქალია. ამიტომ გაცილებით მოთხოვნადია ის სამედიცინო მომსახურებები, რომლებიც უკავშირდება კოსმეტოლოგიასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.

ამავე დასკვნებს იზიარებს N. Lunt (**Lunt, 2016**), რომელიც თავისი კვლევითაც ადასტურებს, რომ სამედიცინო ტურიზმის მომსახურების მისაღებად ჩამოსული ტურისტები ყველაზე ხშირად სარგებლობენ მედიცინის ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: კოსმეტიკა, სტომატოლოგია, კარდიო, ორთოპედიული და ბარიატრიული ქირურგია, ექსტრაკორპორარული განაყოფიერება, ქსოვილებისა და ორგანოების ტრანსპლანტაცია.

ს.ლ. მოროზკინას აზრით, დღეისთვის ტურიზმის, განსაკუთრებით სამედიცინო ტურიზმის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ გაჯანსაღებას, პრიორიტეტული ხდება. ავტორი ეთანხმება იმ განსაზღვრებას, რომ სამედიცინო ტურიზმი მიზნად ისახავს ოპერატიულ სამედიცინო ჩარევას ჯანდაცვის სხვადასხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულების ბაზაზე (**Мозокина, 2014**).

ვესელოვა ფიქრობს, რომ ეს არის მოგზაურობა, რომლის მიზანია გაჯანსაღება და სამედიცინო მომსახურების მიღება საცხოვრებელი რეგიონის მიღმა. გერმანიის, შვეიცარიისა და ისრაელის კლინიკებმა სამკურნალოდ ჩამოსული ტურისტების მიღება ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყეს. თუმცა, დღეისთვის ყველაზე დიდი აქცენტი კეთდება სამედიცინო მომსახურების მაღალტექნოლოგიურ დარგზე, ამასთან სამედიცინო ტურიზმიდან შემოსავალი მთელი მსოფლიო სამედიცინო ტურიზმის შემოსავლის 14% შეადგენს (**Веселова, 2016**).

ა.ვ. ლიადოვა მიუთითებს, რომ სამედიცინო ტურიზმი მოიცავს ბევრ მიმართულებას - დაწყებული უბრალო გამაჯანსაღებელი პროცედურებიდან დამთავრებული მაღალანაზღაურებადი სამედიცინო დახმარებით. კვლევის ფარგლებში ავტორი ასახელებს მეტ-ნაკლებად მოთხოვნად სამედიცინო მომსახურებებს - კოსმეტოლოგია, სტომატოლოგია, კარდიო-ვასკულარული თერაპია, ონკოლოგია და ტრანსპლანტოლოგია. სამედიცინო ტურისტების რაოდენობის კუთხით ლიდერი ქვეყნებია - ინდოეთი, ტაილანდი, გერმანია, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ბრაზილია, მექსიკა, კორეა, ისრაელი და ჩინეთი. თითოეული ქვეყანა სამედიცინო ტურიზმის რომელიმე კონკრეტულ სეგმენტზეა სპეციალიზებული. ასე რომ, ტაილანდსა და ინდოეთში ყველაზე ხშირად ჩადიან

ორთოპედული და გულ-სისხლძარღვთა პრობლემების გადასაჭრელად. სამხრეთ კორეისა და ჩინეთის სამედიცინო ტურიზმი პაციენტს აღმოსავლურ და დასავლურ ტრადიციულ მედიცინას სთავაზობს (Лядова, 2017).

გ.ე. ულუმბეკოვა აღნიშნავს, რომ ყოველწლიურად ტურისტების უწყვეტი ნაკადი, რომელთა მიზანია მკურნალობა, უზრუნველყოფილია ინოვაციური ტექნოლოგიებით.

შ.ო. ტასტანბეკოვამ სამედიცინო ტურიზმის განვითარება გააანალიზა სამხრეთ კორეის მაგალითზე. მისი აზრით, უცხოელ პაციენტებში განსაკუთრებით მოთხოვნადია სამედიცინო მომსახურებები, რომლებიც მოიცავს გულ-სისხლძარღვთა და ტვინის დაავადებათა მკურნალობას. სამხრეთ კორეა ინარჩუნებს ლიდერობას ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის კუთხითაც (Тастанбекова, 2016)

M. R. Gabor-ს თავის ნაშრომში მოაქვს მონაცემები, რომელთა თანახმად, სულ უფრო მზარდ პოპულარობას იძენს ჩვილ ბავშვთა სამედიცინო ტურიზმი (ეკო და ბებიქალი). ავტორის კვლევის თანახმად, რუმინეთში რესპონდენტთა 28%-მა იცის, რა არის ჩვილ ბავშვთა სამედიცინო ტურიზმი და ხაზს უსვამენ მის დადებით შედეგებს (Gabor, 2019)

სამედიცინო ტურიზმის განვითარების ფაქტორებად ძირითადად სახელდება თანამედროვე ტექნოლოგიები, დაბალი ფასები და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება. W. Bies-მა გააანალიზა ის ფაქტი, რომ სამედიცინო ტურისტები განვითარებული ქვეყნებიდან სამკურნალოდ მიემგზავრებოდნენ ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა, ინდოეთი და ტაილანდი, და მივიდა დასკვნამდე, რომ სწორედ სამედიცინო ტურიზმი აძლევს ხელს პაციენტებს მნიშვნელოვნად შეამცირონ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯი და ასევე შეამცირონ დრო, რომელსაც ისინი სამედიცინო დახმარების მიღების მოლოდინში ხარჯავენ (Bies, 2007).

სამედიცინო ტურიზმი, რომელიც აერთიანებს ტურისტული მომსახურების სხვადასხვა მიზანს, მთელ მსოფლიოში წარმოადგენს მზარდ და განვითარებად ბიზნესს. W. Bies მიიჩნევს, რომ სამედიცინო ტურიზმის რეციპიენტები მზად არიან,

იმოგზაურონ უცხოეთში საუკეთესო ხარისხის სამედიცინო მომსახურების მისაღებად. თუმცა ისიც აღნიშნა, რომ უცხო ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მიღების რისკებიც არსებობს. (**Bies, 2007**)

T.C. Chung-ის აზრით, სამედიცინო ტურიზმი, რომლის მიზანია, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების მიღება, წარმოადგენს მთელ მსოფლიოში მზარდ და განვითარებად ბიზნესს. პაციენტები მზად არიან იმოგზაურონ უცხო ქვეყანაში მაღალხარისხიანი სამედიცინო დახმარების მისაღებად უფრო დაბალ ფასად, რისი მიღებაც თავიანთ ქვეყანაში სიძვირის გამო არ შეუძლიათ (**Crush..., 2015**). ამასთან, J. Crush-ის აზრით, საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თავიანთ ქვეყანაში საბაზისო სამედიცინო მომსახურების მიღებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა (**Crush..., 2015**).

სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ზოგიერთი მკვლევარი საუბრობს სამედიცინო ტურიზმის მიმართულებათა შერჩევასაც უცხოელი მოქალაქეების მიერ სუბიექტური ფაქტორების მნიშვნელობაზე. ასეთი ფაქტორებია - პაციენტის მიერ სამედიცინო ორგანიზაციის სუბიექტური აღქმა, პაციენტების კმაყოფილება, უცხოეთში სამედიცინო მომსახურების მიღების მოტივაცია და იმ ქვეყნის უსაფრთხოების დონე, რომელშიც ისინი სამედიცინო მომსახურების მიღებას აპირებენ (**Malik, 2019**).

ჩვენი აზრით, სამედიცინო ტურიზმს აქვს მისთვის დამახასიათებელი პრობლემები და რისკები. სამედიცინო ლიტერატურა მათ რამდენიმე ძირითად ტიპად ყოფს: მომსახურების ხარისხი, ჯანდაცვის საერთო საკითხები, მკურნალობა და ტურიზმი, ეთიკური შედეგები, სამედიცინო ტურიზმის ნაკლებად განვითარებული მიმართულებები, მარკეტინგის დაბალი ხარისხი, კლიენტთა ნდობა და აკრედიტაცია, პოლიტიკა და ამ ელემენტების გავლენა უცხოელ პაციენტებზე (**Дайхес, 2020**).

ვეთანხმებით აზრს იმის თაობაზე, რომ ქმედითი ნაბიჯებისა და ამა თუ იმ სამედიცინო პრაქტიკის დანერგვისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოქალაქეთა მენტალიტეტსა და კანონმდებლობას. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს

აღმსარებლობა, კულტურული ტრადიციები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე.

დღეისათვის მეტი ყურადღება ექცევა სამედიცინო ტურიზმის ეთიკურ და სამართლებრივ პრობლემებს. მკვლევართა აზრით, ტურისტები, რომლებსაც სურთ, იმოგზაურონ ახალი თუ ექსპერიმენტული ხასიათის პროცედურების მისაღებად, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ასეთი მომსახურებისას ყველა სამართლებრივი თუ საერთო მდგომარეობის შესახებ (Жиляева, 2013). ყველა თანმდევი რისკის გათვალისწინებით ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება სამედიცინო ტურიზმის ყველაზე ძირეული საკითხებია, რომლებიც რთულად ექვემდებარება კონტროლს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამედიცინო მომსახურების მომწოდებელი არ არის დამოუკიდებელი კომპლექსური აკრედიტაციის წევრი. მომსახურების მოთხოვნის ზრდასთან ერთად ჩნდება სულ უფრო მეტი რისკი და პრობლემა. ასეთ რისკებს მიეკუთვნება ქირურგიული და ინფექციური მკურნალობები.

კვლევებით დგინდება, რომ ტურიზმის მომხმარებელ პაციენტებს სურთ, მიიღონ უფრო ინოვაციური ტექნოლოგიები, მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურება და მისი თანმდევი მომსახურებები. პაციენტთან მიდგომები უნდა იყოს ინდივიდუალური, სამედიცინო პერსონალის მხრიდან საჭიროა მეტი ყურადღება და ყველა მომსახურება უნდა იყოს კომფორტული. ამას გარდა, პაციენტები ინფორმირებული უნდა იყოს ყველა იმ რისკის შესახებ, რომლებიც ახლავს მსგავს მომსახურებას. მათ უნდა ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია კონკრეტულ ქვეყანაში სამედიცინო დახმარების ხარისხის შესახებ.

სამედიცინო ტურიზმმა, რომელიც ელვისებური ტემპებით ვითარდება, შეიძლება წარმოშვას ისეთი პრობლემები, როგორცაა - პროფესიონალური სამედიცინო კადრების საზღვარგარეთ გადინება; ასევე, სადავო ხდება სამეცნიერო აღმოჩენების ავტორობის საკითხი და ბევრი სხვა, რაც ახდენს სამედიცინო ტურიზმის ინტენსიურობის დადებითი ასპექტების ნიველირებას, მათ შორის აფერხებს სამედიცინო მომსახურებასა და ხელმისაწვდომობას მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. (Мальцев, 2018)

ექიმები მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილის ძიებაში განვითარებულ ქვეყნებში მიემგზავრებიან, რაც იმის მიზეზი ხდება, რომ ადგილებზე ეცემა სამედიცინო მომსახურების ხარისხი და რთულდება სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა, რაც თავის მხრივ პროვოცირებას უკეთებს პაციენტს, სამედიცინო დახმარებისთვის მიმართოს სხვა ქვეყანას. მსგავსი ემიგრაციით გამოირჩევა - კონგოს რესპუბლიკა, გაიანა, ლიბერია, გრენადა, იამაიკა, სურინამი, მალავი, ზამბია. (**Global Web Index, 2020**)

შესასწავლია სამედიცინო ტურიზმის ბარიატრიული მედიცინის საპრემიო სეგმენტი კანადაში, სადაც სამედიცინო მომსახურებაზე საერთო ხარჯები საშუალოდ უცხოელ პაციენტებთან მიმართებაში შეადგენდა 1 433 673 ამერიკულ დოლარს; საერთო ხარჯებმა, მათ შორის, ოპერატიული მკურნალობის ხარჯებმა შეადგინეს 148 924,30 ამერიკული დოლარი; დიაგნოსტიკისა და გამოკვლევების ხარჯები 214 499,06 ამერიკულ დოლარამდე აღწევს. სხვა ხარჯები მოდის საცხოვრებელზე, ტრანსპორტირებაზე, რეაბილიტაციაზე, მკურნალობის შემდეგ ექიმის მიერ პაციენტის დაავადების მართვაზე, ასევე სხვა თანმდევ მომსახურებებზე. ამასთან, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჯანდაცვის პერსონალის საშუალო ანაზღაურება თვეში 17 414,87 ამერიკულ დოლარს შეადგენს (**Sheppard, 2014**).

სამედიცინო ტურიზმის სწრაფად მზარდი მსოფლიო ბაზარი ბევრი ქვეყნის მიერ ეკონომიკის დივერსიფიკაციის პოტენციურ სექტორადაა აღიარებული (**Ganguli, 2017**). თუ გავითვალისწინებთ ამ ბაზარზე სინგაპურის კონკურენტუნარიანობას, ნათელი გახდება, რომ იქ სამედიცინო ტურიზმმა მნიშვნელოვან დადებით შედეგებს სამედიცინო ტურიზმის სხვადასხვა სტრატეგიის ინტეგრაციის წყალობით მიაღწია, რომელსაც მხარს უჭერდა სახელმწიფო პოლიტიკა და მართვის სწორი სტრატეგია.

ზოგიერთი მკვლევრი დღესდღეობით სამედიცინო ტურიზმის ბაზარს აფასებს 100 მილიარდ დოლარად. დიდია იმ ადამიანების, ქვეყნებისა და კომპანიების რიცხვი, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ მომსახურების გაუმჯობესებით, ასევე დიდია დაინტერესება ძირეული ფაქტორებით, რომლებითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები აღიქვამენ ქვეყნებს, როგორც პოტენციური სამედიცინო ტურიზმის ობიექტებს (**Fetscherin..., 2016**). აღნიშნულის გამო შემოთავაზებულ იქნა სამედიცინო

ტურიზმის ინდექსი, რომლითაც ფასდება ესა თუ ის ქვეყანა, როგორც სამედიცინო ტურიზმის ობიექტი (ზაევი, 2019).

V.C.S. Heung-მა თავის ნაშრომში (Heung..., 2010) გამოიკვლია ჰონკონგის სამედიცინო მომსახურების ექსპორტი. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ კერძო და სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების, ასევე ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები. კვლევის შედეგად დადგინდა ამ კონკრეტული სახის ექსპორტის განვითარების ძირითადი ფაქტორები - კოორდინირებული პოლიტიკა, სამედიცინო მომსახურების ექსპორტთან დაკავშირებული ურთიერთშეთანხმებული ნორმატიული აქტები, სახელმწიფო მხარდაჭერა, პაციენტების ქვეყანაში შესვლის გამარტივება და მოსახლეობის მოთხოვნილებები ჯანდაცვის სფეროს მიმართ. ავტორის აზრით, ამ ბარიერების გადასალახავად საჭიროა სარეკლამო პოლიტიკაზე მუშაობა, ხელისუფლების მხრიდან სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე ინვესტიციებით წახალისების პოლიტიკის გაძლიერება, უცხოელი მოქალაქეების მიღებისა და მკურნალობის სტანდარტების დადგენა, ჰონკონგის სამედიცინო დაწესებულებებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების სპექტრის განვითარება. გამოვლინდა ოთხი სამოტივაციო ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ სფეროს განვითარებაზე: დროის ფაქტორი, სამედიცინო ხასიათის მომსახურებაზე დაბალი ფასები, ფასებისა და ხარისხის შესაბამისობა, ასევე კულტურული სიახლოვე. გარდა ამისა, განიხილება სადიასპორო სამედიცინო ტურიზმის მართვითი და თეორიული შედეგებიც. B. Esiyok-ის აზრით, მსგავსი პრობლემები აქვს ამ სფეროში თურქეთსაც (Esiyok..., 2017).

ასტანაში სამედიცინო ტურიზმის ვითარებისა და პრობლემების შეფასებისას მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და პოლიტიკური სტაბილურობა, ასევე ქვეყანაში მუშახელის შემოდინება ახლო თუ შორეული ქვეყნებიდან, ტურისტებისა და დიპლომატიური მისიების რანგში შემოდინებები, კეთილსაიმედო პირობებს ქმნის სამედიცინო ტურიზმის განსავითარებლად და მაღალხარისხიანი მომსახურების პირობების შესაქმნელად (Сегизбаев, 2012). კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ყაზახეთის სამედიცინო ტურიზმისთვის დამახასიათებელია ასევე სახელმწიფო პარტნიორობის მექანიზმიც.

კერძოდ: მაღალხარისხიანი სამედიცინო ტურიზმის შეთავაზება, უმაღლეს სასწავლებელში სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით მაპროფილებელი სპეციალობების დანერგვა და ჩინოვნიკების მკურნალობისას საბიუჯეტო შემოსავლების გამოყენებაზე უარის თქმა (Bayzakov, 2017).

რუსეთში მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სამედიცინო ტურიზმის სეგმენტს შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე (Русанова, 2009). მომავალში ის შესაძლოა კარგად განვითარდეს მოქნილი და წინასწარ განჭვრეტილი სამიგრაციო და საბაჟო პოლიტიკის პირობებში. მის განვითარებას დღესდღეობით აფერხებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: სამედიცინო მომსახურების სისტემური მიდგომის არარსებობა, რუსეთის სამედიცინო დაწესებულებების შეუსაბამობა სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტებთან, რუსეთის სამედიცინო დაწესებულებებში ისეთი მედპერსონალის სიმწირე, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ან რომელიმე სხვა უცხო ენას. რუსეთის ტურიზმის სუსტი მხარეებია: მაღალი სატრანსპორტო ხარჯები, განუვითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა, სამედიცინო მომსახურებათა კომპლექსურობის არარსებობა, ახალი პროტოკოლებისა და სამკურნალო მეთოდების დანერგვის გაჭიანურება (Русанова, 2009)

ზოგადად, ყველა ავტორი იზიარებს აზრს, რომ სამედიცინო ტურიზმს განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს და განიხილება, როგორც კონკრეტული რეგიონის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თენგიზ ვერულავას აზრით, საქართველოში სამედიცინო ტურიზმი მაქსიმალურად ასამუშავებლად პირველ რიგის ამოცანას წარმოადგენს შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი (ვერულავა, 2016). უმთავრესად უნდა გამოვყოთ სამედიცინო ტურიზმის სფეროში არსებული ძლიერი კონკურენცია. რთულია ისეთი ქვეყნებისათვის კონკურენციის გაწევა, სადაც სამედიცინო ტურიზმის განვითარებისათვის დიდძალი საინვესტიციო რესურსი იხარჯება (მიქავა, 2020).

ჩვენი აზრით, საქართველოში სამკურნალო ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. არასაკმარისადაა

განვითარებული სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელი, რის შედეგადაც, ფერხდება ტურისტების უზრუნველყოფა მაღალი მომსახურების მქონე სასტუმროებით. კლიმატური კურორტები ძირითადად მაღალმთიან რაიონებში მდებარეობს, სადაც ნაკლებადაა განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. მიუხედავად ბოლო წლებში არსებული ტენდენციისა, რომ ყურადღება მიექცეს საგზაო ინფრასტრუქტურას, მაღალმთიან რეგიონებში უმეტესად მოშლილია საგზაო და სატრანსპორტო სისტემა. ნაკლებადაა განვითარებული შიდა ავიარეისები, საზღვაო ტრანსპორტი, რაც საკმაოდ გააადვილებდა გადაადგილებას.

სანაპირო ზოლის ზოგიერთ მონაკვეთზე განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობაა. რეგულარულად არ ხდება სანაპიროს დასუფთავება და საჭირო სანიტარული ნორმების დაცვა. ასევე ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა ჩამდინარე ნარჩენით. საქართველოს სამედიცინო ტურიზმის პოტენციალის შესახებ არ არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა. მწირია სამკურნალო კურორტების რეკლამაც. ასევე, მიუხედავად ქვეყნის დიდი პოტენციალისა, ტურისტული სააგენტოების უმრავლესობა ტურისტებს სამედიცინო ტურებს ნაკლებად სთავაზობს.

1.2. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის მენეჯმენტის თავისებურებები და პრობლემები

სამედიცინო ტურიზმის მენეჯმენტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანწილად შესასწავლია უცხოელ პაციენტებთან მუშაობისა და მომსახურების სტანდარტები. კერძოდ:

- სერვისებისათვის რეკლამირების გაწევა;
- სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება კმაყოფილი პაციენტების რიცხვის ზრდის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- მენეჯმენტისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის სრულყოფა და საავადმყოფოს მართვა.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან პაციენტების რაოდენობის ზრდა, რომლებიც მათი ქვეყნების გარეთ იღებენ სამედიცინო დახმარებას, აუცილებლად მოითხოვს შუამავალი კომპანიების ინდუსტრიის განვითარებას, რომლებიც მკურნალობის მისაღებად კომპლექსურ მომსახურებას გვთავაზობენ ქვეყნებისა და სამედიცინო ორგანიზაციების შერჩევისას. მათი შუამავლობით ხდება ტურისტების მიღება და მათთვის დამატებითი მომსახურების გაწევა.

კანადაში იმ პაციენტთა არაფორმალური წარმომადგენლების გამოცდილებით, რომლებმაც მკურნალობა საზღვარგარეთ გაიარეს, უპირატესობა ენიჭება სამ ძირითად ფაქტორს: პასუხისმგებლობა, მოწყვლადობა და ურთიერთდამოკიდებულება, რაც სამედიცინო ტურიზმის ფარგლებში მომსახურების მიღებისას ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი უნდა იყოს დაზღვეული (Adams, 2015). არსებობს მოსაზრება, რომ სამედიცინო ტურიზმში არაფორმალური დახმარების საჭიროება პაციენტის მიერ აღქმული უნდა იყოს, როგორც ინვაზიური ჩარევის შემდეგ მორალური მხარდაჭერის ფაქტორი (Whitmore..., 2015).

მიგვაჩნია, რომ სამედიცინო ტურიზმის წარმატებული განვითარებისათვის სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და პროფესიონალ სამედიცინო საზოგადოებას შორის აუცილებელია კოორდინაციის მაღალი დონე. საბერძნეთის სამედიცინო მომსახურების ექსპორტის შესწავლისას დადგინდა, რომ მედიცინის მუშაკები, რომლებიც კერძო მომსახურებას ეწევიან, ხშირად ეწინააღმდეგებიან ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის სეგმენტის განვითარებას, რადგან უცხოელ მოქალაქეებთან მიმართებაში მათ დამატებითი მუშაობის მოტივაცია არ გააჩნიათ, ვინაიდან უცხოელი პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა ხელისუფლების დადგენილებით გაცილებით იაფია, ვიდრე ადგილობრივი მოქალაქისთვის იგივე მომსახურების გაწევა. (Bell, 2015)

B. Lovelock-მა გააანალიზა სამედიცინო ტურიზმთან დაკავშირებული ასპექტები. გამოყო ოთხი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს სამედიცინო ტურიზმზე: სამედიცინო პროცედურების აუცილებლობა, პაციენტის პირადი ფაქტორები (მოგზაურობის გამოცდილება, სტრესის მიმართ ამტანობა, თანმხლები

პირები), სამედიცინო ტურიზმის ტერიტორიული ფაქტორი, სადაც ტურისტი სამკურნალოდ მიემგზავრება და ფინანსური უზრუნველყოფა. ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ავტორმა დაასახელა სამედიცინო მომსახურების სირთულე, კერძოდ, ინვაზიურობის დონე და მკურნალობის შემდეგ ჯანმრთელობის აღდგენა, ასევე შესაძლო გართულებები (Lovelock, 2008).

ავსტრალიელი სპეციალისტების კვლევების უმეტესობა სამედიცინო ტურიზმს ახასიათებს, როგორც გამდინარე ფენომენს (ექსპორტს), როდესაც მდიდარი ტურისტები, დაგეგმილი ოპერაციებისთვის ძირითადად ირჩევენ განვითარებულ ქვეყნებს, მაღალი ხარისხის ან მკურნალობის დროული ხელმისაწვდომობის გამო (Tham, 2018). სამედიცინო ტურიზმის მდგომარეობის შესახებ ავსტრალიის რეგიონში ზოგადი გამოკითხვის თანახმად, დაინტერესებული მხარეები მიიჩნევენ, რომ რეგიონი სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის შესაფერისი ადგილია. თუმცა, არსებობს მისი განვითარების შემაფერხებელი სამი პრობლემა:

1. ჯანდაცვის დაწესებულებებზე პაციენტების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
2. ხელისუფლებისა და ჯანდაცვის დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის არარსებობა;
3. თანამშრომლობის არარსებობა პრაქტიკოს სპეციალისტებს შორისაც.

დღეისათვის, ჩვენი აზრით, სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრია ყოველდღიურად იზრდება, რადგან ინტერნეტი ეხმარება ადამიანს, მიიღოს ამ საკითხში სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილებები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო მომსახურების ექსპორტის სტრუქტურირების აუცილებლობას. ეს ნიშნავს ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავებას, რომლის ფუნქციაა ამ დარგის ფორმირება და კოორდინაცია ეთიკური, პოლიტიკური, ნორმატიულ-სამართლებრივი და სოციალური საკითხების გათვალისწინებით.

N. Lunt აფასებს 2010 წლის შემდეგ დროინდელ სამეცნიერო მონაცემებს, სტატისტიკურ მიმოხილვაში კი წარმოადგენს დისკუსიებს სამედიცინო ტურიზმის განმარტებებისა და ნაკადების, მომხმარებელთა არჩევანის, კლინიკური ხარისხისა და სამედიცინო ტურიზმთან დაკავშირებული სხვა ასპექტების შესახებ (Lunt..., 2016).

A. Mathijssen თავის ნაშრომში განიხილავს სამედიცინო ტურიზმის მოტივებს ეროვნული დიასპორების შემთხვევაში (Mathijssen, 2019). K. Momeni-მ თავის ნაშრომში გამოიკვლია ირანსა და აღმოსავლეთ აზერბაიჯანში სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები (Momeni, 2018). დადგენილია, რომ ამ ქვეყნებში სამედიცინო ტურიზმის განვითარების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია: პაციენტების ტრანსპორტირება, მენეჯერული და ნორმატიულ-მარეგულირებელი პრობლემები, სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის ფორმა, მარკეტინგი, კულტურული განსხვავებები და (პოლიტიკური ხასიათის) საერთაშორისო პრობლემები.

ს.ნ. უტებეკოვი მიიჩნევს, რომ პაციენტს აქვს კონკრეტული ქვეყნის შეგნებულად არჩევის უფლება (Утебеков, 2018). ავტორი თვლის, რომ თუ პაციენტი გადაწყვეტს, გამოიყენოს სამედიცინო ტურიზმი, მაშინ უმჯობესია, დაუკავშირდეს ტურისტულ სააგენტოს ან შუამავალ კომპანიას, რომელიც დაეხმარება საბუთების თავმოყრაში და შესაბამის მიმართულებას მისცემს, აუხსნის მკურნალობის სპეციფიკას, გაითვალისწინებს მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და სხვა ფაქტორებს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შუამავლები სამედიცინო ტურიზმში მოდერატორის როლს ასრულებენ პოტენციურ პაციენტებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამედიცინო დაწესებულებებს შორის (Mohamad..., 2012). უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო ტურიზმთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ჯერჯერობით ძალიან მწირია ემპირიული კვლევები სამედიცინო შუამავლების მნიშვნელოვნებისა და ამ ინდუსტრიაში მათი წვლილის შესახებ (Alsharif, 2010; Carrera, 2006; Connell, 2006; Crooks, 2011; Millbank, 2018).

H. Beladi-მ შეისწავლა სამედიცინო ტურიზმის სპეციფიკა და წარმოადგინა მონაცემები, რომ განვითარებად ქვეყნებში სამედიცინო ტურიზმის სეგმენტის ზრდა პირდაპირ კორელაციაშია სამედიცინო სექტორში ხელფასის მატებასთან, რითაც ხდება კვალიფიციური სამედიცინო მუშაკის შენარჩუნება, სხვა შემთხვევაში ისინი ტოვებენ ქვეყანას (Beladi, 2015). ავტორმა დაასკვნა, რომ სამედიცინო ტურიზმს შეუძლია ქვეყნის შიდა კეთილდღეობის გაუმჯობესება, იმ შემთხვევაში, თუ

მიგრაციის შეჩერებისა და ტურიზმის ექსპორტის სარგებელი გადაწონის შემოსავლის კლებასა და პროდუქტიულობის შემცირების ტენდენციას.

V. Runnels აღნიშნავს, რომ სამედიცინო ტურიზმი სისტემურ და ინდივიდუალურ დონეზე განიხილება როგორც ეკონომიკური საკითხი. თუ გავითვალისწინებთ სამედიცინო ტურიზმის შესაძლებლობების ოპტიმიზაციისა და პაციენტის ჯანმრთელობის შესაძლო რისკის ფაქტორს, უაღრესად მნიშვნელოვანია დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მოგზაურობისა და მისი სხვა ასპექტების შესახებ. ავტორი გთავაზობს გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრულ პროცესს საზღვარგარეთ სამედიცინო დახმარების არჩევისას, რომელთა ჩამონათვალში შედის - მკურნალობის საკითხი, მკურნალობის ადგილი, ხარისხისა და უსაფრთხოების საკითხების განხილვა (Runnels..., 2012).

ა.ს. სოკოლოვი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მთავარი ტრიგერი არის მისი მოქალაქეების კეთილდღეობა. მკვლევარი ხაზს უსვამს იმას, რომ სამედიცინო ტურიზმი ვითარდება, რადგან სულ უფრო მეტ ადამიანს სურს, მიიღოს კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება ისეთ უცხო ქვეყანაში, როგორცაა, ისრაელი ან გერმანია, რომლებიც სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიაში ცნობილია ტურისტული ნაკადების სიდიდითა და სიმრავლით. (Соколов..., 2017)

საქართველოს, როგორც სამედიცინო ტურიზმის სფეროში ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას, ბუნებრივია ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი, რათა წარმატებულ დესტინაციად იქცეს. მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს გადასაჭრელი მენეჯმენტის კუთხით. არასწორი მენეჯმენტის პრობლემებად უნდა დასახელდეს: სამედიცინო ტურიზმის გლობალურ ბაზარზე საქართველოს პოზიციონირების საკითხი; სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებში ხარისხის სტანდარტიზების ნაკლებობა, სისტემურ დონეზე ხარისხის რეგულირებისა და მონიტორინგის სისუსტე. ასევე, საერთაშორისო აკრედიტაციის ძალზედ დაბალი მაჩვენებელი; სამედიცინო ტურიზმის განვითარების სტრატეგიის უქონლობა; სამედიცინო ტურიზმის განვითარების საქმეში ხელისუფლების მიზერული ჩართულობა; ზოგ შემთხვევაში მომსახურების დაბალი ხარისხი; პაციენტების უფლებების დაცვის

კუთხით სუსტი კანონმდებლობა, გარანტიების ნაკლებობა უცხოელი პაციენტებისთვის. ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დაბალი მაჩვენებელი ჰოსპიტალურ სექტორში. უცხოელი პაციენტებისთვის გართულების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მექანიზმების არარსებობა; სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტის დაბალი კვალიფიკაცია, მათ შორის კომუნიკაციის, საერთო ძალისხმევისა და თანამშრომლობის პრობლემები; ოპერატიულობის, მოქნილობის, კომუნიკაციის პრობლემა; ენობრივი ბარიერი (განსაკუთრებით საშუალო რგოლის პერსონალში; სამედიცინო ტურისტების მოზიდვის არხების გამოყენების პრობლემა; შუამავალი და ფასილიტატორი კომპანიების სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის დაბალი ხარისხი; პაციენტების რელიგიურ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინების პრობლემები. გარდა ამისა, არ წარმოებს ქვეყანაში შემოსული სამედიცინო ტურისტების აღრიცხვა, რის გამოც შეუძლებელი ხდება ანალიტიკური გათვლების წარმოება.

საქართველოში და, კერძოდ, აჭარის რეგიონში სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმის განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის პრობლემის გადაჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მომხმარებლისთვის ეს შეიძლება პრობლემას სულაც არ წარმოადგენდეს, მისი გადაჭრა აუცილებელია ქვეყნის გლობალურ ბაზარზე პოზიციონირებისთვის და სამედიცინო ებ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისათვის. საერთაშორისო ბაზარზე პოზიციონირებისთვის პრობლემურია ისიც, რომ - ძალიან ბევრ ქვეყანაში სამედიცინო ტურისტს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს ჩვენს ქვეყანაში ტურისტული და რეკრეაციული ადგილებისა და სამედიცინო სფეროს შესახებ; საჭიროა გამართული მენეჯერული სისტემის შექმნა, როგორც ზედა რგოლის, სისტემური მართვის საკითხებში, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო ტურიზმის განვითარების სწორ პოლიტიკას, ასევე, საშუალო რგოლის დონეზე, რაც გულისხმობს შეკვეთების დროულ მიღებას, მათზე ოპერატიულ პასუხს; პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტირების საკითხიც - იმ ქვეყნებთან, რომლებიც ჩვენი ბიზნესის განვითარებისთვის სამიზნე ქვეყნები უნდა იყვნენ, ხშირ შემთხვევაში არ გვაქვს პირდაპირი რეისები, რომლებიც უზრუნველყოფდა სამედიცინო ტურისტის

მოხერხებულ კომფორტულ გადაადგილებას და ამ კუთხით ქვეყნის მიმზიდველობის ზრდას.

ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა მეტად განვითარებული ინფრასტრუქტურა და ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მეტი სამედიცინო დაწესებულება; სფეროში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის ღირსეული ანაზღაურება, რათა პერსონალი უკეთესი ანაზღაურების შეთავაზებისთანავე არ ტოვებდეს კლინიკას. სამედიცინო ტურისტისთვის მნიშვნელოვანია - ცნობადი სახე, საერთაშორისო დონეზე ცნობილი ექიმი. ამისთვის საჭიროა, პროფესიონალი კადრებისთვის მაღალი ანაზღაურების შეთავაზება, რათა მოხდეს კვალიფიციური კადრების ქვეყანაში შეკავება, შუამავალი კომპანიების როლის გაძლიერება.

1.3. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის განვითარების

თანამედროვე ტენდენციები

დროსთან ერთად სამკურნალო და რეკრეაციული ბაზრის ტენდენციები გამუდმებით იცვლება. დღეს სამედიცინო მომსახურების მიზნით უცხო ქვეყანაში წასვლის ძირითად მიზეზებად პაციენტები ასახელებენ:

- უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე ამას მიიღებდნენ საკუთარ ქვეყანაში;
- სამედიცინო მომსახურების დაბალ ფასებს (არის სერვისები, რომელთა მოცვაც საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში არ ხდება. მისი რეალური ფასი კი საკუთარ ქვეყანაში გაცილებით მაღალია, ვიდრე რომელიმე მეზობელ ქვეყანაში);
- კონფიდენციალურობას (ანონიმურობას);
- ყველა ტიპის სერვისის მაღალ ხარისხს.

დღეისთვის სამედიცინო ტურიზმის ფინანსური მოცულობა 439 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღწევს (**Medical Tourism Index, 2016**). ციფრი სადავოა, რადგან აქ იგულისხმება საზღვარგარეთ მხოლოდ Visa-ბარათით გადახდილი სამედიცინო მომსახურების საფასური და მასში არ შედის სხვა ტიპის გადახდები. ამგვარად,

ჩვენის აზრით, ფიქსირდება არაზუსტი ინფორმაცია ბაზრის მოცულობის თვალსაზრისით, რადგან მხოლოდ ამ ტიპის გადახდით შეუძლებელია ზუსტი ციფრის დასახელება.

საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასულ ტურისტთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საზღვარგარეთ სამკურნალოდ წავიდა 11 მილიონზე მეტი ადამიანი. 2025 წლისთვის ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ სამედიცინო ტურიზმის ფინანსური ბაზრის მოცულობა 3 ტრილიონი ამერიკული დოლარით გაიზრდება. სპეციალიზებული სააგენტოების ანგარიშის მიხედვით, უახლოეს ათ წელიწადში მსოფლიოში სამედიცინო ტურიზმის ფინანსური მაჩვენებლის 25%-იანი ზრდაა ნავარაუდები წელიწადში. სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიისა და ჯანდაცვის განვითარების ეს მაჩვენებელი ეფუძნება კვლევებს, რომელთა მიხედვითაც დედამიწის მოსახლეობის 3-4% საზღვარგარეთ მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით იმოგზაურებს (**Medical Tourism... 2008**). ჩვენი აზრით, ქვეყნის ჯანდაცვის მდგომარეობა მნიშვნელოვნად მოქმედებს სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე, ვინაიდან მედიცინის სექტორი უშუალოდ უკავშირდება სამედიცინო ცენტრების მატერიალურ მდგომარეობას, ტექნოლოგიურ აღჭურვილობასა და პერსონალის საკადრო მომზადებას, სამედიცინო მომსახურების მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობასა და საერთაშორისო სერტიფიკაციის კრიტერიუმებს.

მიგვაჩნია, რომ მსოფლიო სამედიცინო ტურიზმზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი სპეციალიზებული სააგენტოები, როგორცაა - «Bloomberg», «Numbeo», «Medical Tourism Index». სწორედ ისინი აკეთებენ იმ ქვეყნების სამედიცინო ტურიზმის განვითარების ანალიზს, შეფასებასა და ანგარიშგებას, რომლებიც სამედიცინო დახმარებას გაუწევენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის მიმზიდველობის ხარისხს სამედიცინო ტურისტებისთვის, რომლის დროსაც ითვალისწინებენ ქვეყნის საერთო იმიჯსა და ეკოლოგიას, სამედიცინო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს და შედეგად ადგენენ ინტეგრალურ მაჩვენებელს (ინდექსს), რომელიც აფასებს სამედიცინო ტურისტებისთვის ქვეყნის

მომხიზვლელობის ხარისხს (**Medical Tourism Index, 2016**). ინდექსი გამოითვლება მათემატიკური ფორმულით, რომლის სარეიტინგო შეფასებაზე მოქმედი არსებითი ფაქტორი დგინდება განსაზღვრული კოეფიციენტების გათვალისწინებით. შეფასებაზე მოქმედი ფაქტორები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად (**Medical Tourism Index, 2016**):

1. პირველ ჯგუფში შედის ეკონომიკური მაჩვენებლები, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ქვეყნის უსაფრთხოება, ნაციონალური ვალუტის გაცვლითი კურსის მისაღები ფასი, ასევე კულტურული ასპექტები;
2. მეორე ჯგუფში შედის ქვეყნის, როგორც ტურისტული ობიექტის მიმზიდველობა დანახარჯების თვალსაზრისით, ომელიც გულისხმობს, როგორც მკურნალობის ხარჯებს, ასევე, მგზავრობისა და საცხოვრებლის საფასურს;
3. მესამე ჯგუფში ფასდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი - ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, სამედიცინო ცენტრების საერთაშორისო აკრედიტაცია, ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის სერტიფიკაცია, ჯანდაცვის კრიტერიუმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ახალი და ხარისხიანი სამედიცინო მოწყობილობა. გარდა ამისა, (არსებობის შემთხვევაში) ფასდება სამედიცინო ორგანიზაციების დამოუკიდებელი რეიტინგი, პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება (ენების ცოდნის, ლოიალურობისა და მეგობრულობის ჩათვლით) და უცხოელი მოქალაქეებისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სისტემის ორგანიზება.

უცხოელი ტურისტებისთვის სამედიცინო მომსახურების სფეროში ერთ-ერთ ბარიერად მიიჩნევა სამედიცინო მომსახურების არასტანდარტიზებული ხარისხი. ამის გამოსასწორებლად წესდება შემოთავაზებული სამედიცინო დახმარების ხარისხის მკაცრი კონტროლი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, ასევე - საერთაშორისო ორგანოების აკრედიტაცია. ქვეყნის სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს ჯანდაცვის საორგანიზაციო მოდელი და დაფინანსების წყაროები. სამედიცინო ტურიზმის ლიდერი ქვეყნები - კანადა და

დიდი ბრიტანეთი უპირატესობას ანიჭებენ ჯანდაცვის სახელმწიფო მოდელს და სარგებლობენ საბიუჯეტო დაფინანსებით; გერმანია და საფრანგეთი - საბიუჯეტო-სადაზღვევოთი, ხოლო აშშ - დაფინანსების კერძო და საფინანსო სისტემით (Numbeo..., 2016; Medical..., 2018; Bloomberg, 2016).

სამედიცინო ტურისტების მხრიდან ქვეყნების მიმზიდველობის რეიტინგის მიხედვით სამედიცინო ტურისტებისთვის ყველაზე მისაღები ქვეყნებია - კანადა, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, კორეა, ინდოეთი. ევროპაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებით ლიდერ ქვეყნებად მიიჩნევა - გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი. ასევე, განსხვავებულია პრიორიტეტები, რომელთა გამოც ტურისტები კონკრეტულ ქვეყანაში მოგზაურობას ირჩევენ. მაგალითად, ამერიკის მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით ქვეყნიდან გასვლის მიზეზი, ძირითადად, არის მომსახურების ფასი და ის, რომ შესაძლოა დაზღვევა არ ფარავდეს რომელიმე კონკრეტულ სერვისს, მისი რეალური საფასურის გადახდა კი მოსახლეობას არ შეუძლია. ამიტომ ამ დახმარებისთვის ისინი სხვა ქვეყანას მიმართავენ. ამერიკის მოქალაქისთვის სწორედ მომსახურების ფასია მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ მოტივით ყოველწლიურად მილიონ-ნახევარზე მეტი ამერიკის მოქალაქე გადის ქვეყნიდან. კვლევების თანახმად, მთელ რიგ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ფასი 30-70%-ით ნაკლებია, ვიდრე ამერიკაში (UniMed, 2019; Alleman..., 2011; Medical Tourism Magazine). რუსეთის მოქალაქეების პრიორიტეტები უმეტეს შემთხვევაში ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სიახლეებს გულისხმობს. გარდა ამისა, ამ არჩევანზე გავლენას ახდენს მისაღები ფასისა და ხარისხის კომბინაცია. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, სამედიცინო ტურიზმის საუკეთესო მიმართულებების თვალსაზრისით, პირველ ათეულში შედიან შემდეგი ქვეყნები: კანადა, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, სინგაპური, ინდოეთი, გერმანია, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, იტალია და კოლუმბია (UniMed, 2019). ქვეყნებში, რომლებშიც სამედიცინო ტურიზმი მაღალ დონეზეა განვითარებული, ინფრასტრუქტურა განვითარდა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შემუშავდა საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმი. ამის კარგი მაგალითია სამხრეთი კორეა, სადაც სწრაფი ტემპით ვითარდება სამედიცინო

ტურიზმი. სამედიცინო ტურიზმის გლობალურ მსოფლიო რეიტინგში ამ ქვეყანას მეექვსე ადგილი უკავია (Woodman..., 2015). ტექნიკური აღჭურვილობისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის კუთხით კი სამხრეთ კორეის კლინიკები მსოფლიო რეიტინგში მეშვიდე ადგილს იკავებს. მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა, მაღალი დონის სპეციალისტები, სამედიცინო მომსახურების კონტროლის მკაცრი სისტემა, და იაპონიასთან, აშშ-სთან, ისრაელთან და გერმანიასთან შედარებით დაბალი ფასები ამ ქვეყანას სამედიცინო ტურისტებისთვის მომხიბვლელს ხდის (Улумбекова, 2011). დღესდღეობით, 26 კორეულ კლინიკას Joint Commission International-ის (კლინიკების აკრედიტაციის მთავარი სააგენტო) აკრედიტაცია აქვს. (JCI, 2019)

ჯანდაცვის სისტემა აქ აუცილებელი სამედიცინო დაზღვევისა და სახელმწიფო სუბსიდიის ხარჯზე ფინანსდება. კლინიკების პერსონალი გამოირჩევა გულისხმიერებითა და ყურადღებიანი მომსახურებით, ფლობენ რამდენიმე უცხო ენას - ინგლისურს, რუსულს, ესპანურს, ჩინურს, იაპონურს, მონღოლურს, და არაბულს. სხვა ენებიდან თარგმანისთვის იწვევენ სპეციალისტებს. სამედიცინო ტურისტების ამ ქვეყნით დაინტერესება წლიდან წლამდე იზრდება. 2018 წელს მათმა რიცხვმა 400 ათასს მიაღწია, როცა 2007 წელს მხოლოდ 15 ათასს ითვლიდა. შემოსავალი ამ სექტორიდან 1,4 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღწევს (Medical Tourism Index, 2016). აქ სამედიცინო ტურისტები ძირითადად ჩინეთიდან, აშშ-დან, რუსეთიდან, და იაპონიიდან ჩამოდიან.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ჩინეთი, როგორც სამედიცინო ტურისტების დონორი სახელმწიფო, რასაც განაპირობებს მისი მოსახლეობის სიჭარბე.

გერმანული კანონმდებლობით, საავადმყოფოებმა სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გაიარონ ხარისხის კონტროლის პროგრამები.

სამედიცინო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ევროპის ერთ-ერთი ფავორიტია გერმანია (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2012). აქ წელიწადში 70 ათასი სამედიცინო ტურისტი ჩამოდის. ტურისტების ასეთ ნაკადზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შენობათა მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა და სამედიცინო ცენტრების აღჭურვილობა, სამედიცინო მომსახურების მაღალი ტექნოლოგიები,

ფასისა და ხარისხის შესაბამისობა, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სამედიცინო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა, რასაც ეს ქვეყანა აღწევს მომსახურების მწყობრი, დალაგებული სისტემის წყალობით. ამ ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობს ქვეყნის ტერიტორიული მდებარეობა ევროპის ცენტრში. სამედიცინო ტურისტებს აქ ისიც ხიბლავთ, რომ არ უწევთ რიგში ლოდინი, რაც მაგალითად, ახასიათებს დიდ ბრიტანეთსა და კანადას. გერმანიაში ჩადიან პაციენტები სპარსეთის ყურიდან და არაბული ქვეყნებიდან, ვინაიდან ისინი ენდობიან ამ ქვეყნის ექიმების რეპუტაციას. აქაური კანონმდებლობის თანახმად, ხარისხის კონტროლის პროგრამები საავადმყოფოებმა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გაიარონ. მათ შორისაა - გერმანიის სტანდარტიზაციის სერტიფიკაცია და აკრედიტაცია (**Deutsches...**, 2019), ორგანიზაცია „ტელემედიცინა მობილური საზოგადოებისთვის“ (**Temos...**, 2019) და ჯანდაცვის ხარისხისა და გამჭვირვალობის სფეროში თანამშრომლობის ორგანიზაციის სერტიფიკაცია და აკრედიტაცია (**Kooperation für transparenz...**).

მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად, გერმანიაში 100 000 მოსახლეზე 368 ექიმი მოდის, რაც გაცილებით მაღალია აშშ-სა და კანადის ამავე მაჩვენებელზე (**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2012**). ექიმებს სპეციალობით მუშაობა მხოლოდ პროფესიული მომზადების ყველა ეტაპის გავლის შემდეგ შეუძლიათ. თუმცა გერმანია გამოირჩევა სამედიცინო მომსახურების მაღალი ფასებით. ამ მაჩვენებლით ის უსწრებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ისრაელს, აღმოსავლეთ ევროპას, სადაც ასევე განვითარებულია სამედიცინო ტურიზმი (**Medical Torusim Index, 2016**).

Medical Tourism Index-ის ანალიზის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობისა და ქვეყანაში შემოსული სამედიცინო ტურისტის რაოდენობის შედარებამ აჩვენა, რომ ამ კუთხით უპირობო ლიდერია ისრაელი, რომელიც წელიწადში 30 000 უცხოელ სამედიცინო ტურისტს მასპინძლობს (**მსოფლიო რეიტინგში მე-11 ადგილი უჭირავს**). ისრაელი დიდ რესურსს დებს საერთაშორისო დონეზე ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის მარკეტინგის განვითარებისთვის. უცხოელი პაციენტის მოსაზიდად მარკეტინგის გამოყენების ეფექტურობა დასტურდება სხვა ქვეყნების

მაგალითებითაც (**Rerkrujipimol...**, 2011). ქვეყანას პირველი ადგილი უკავია მსოფლიო რეიტინგში სამედიცინო მომსახურების ხარისხითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობით. ისრაელი წარმოადგენს ძირითად ადგილს სამედიცინო ტურისტების მოსაზიდად ახლო აღმოსავლეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან, დსთ-ის ქვეყნებიდან და აფრიკიდან. სამედიცინო ტურიზმის ბაზარი შეფასებულია 280 მილიონ დოლარად (**International...**, 2019; **World Bank**).

ისრაელის სამედიცინო ტურიზმი ხასიათდება თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით. ყველაზე ხშირად აქ ჩადიან გულის ოპერაციებისათვის, კიბოს სამკურნალოდ, ძვლის ტვინის გადასანერგად და ექსტრაკორპორალური განაყოფიერებისთვის. თუმცა, აქ სამედიცინო მომსახურებაზე ფასები გაცილებით ძვირია, ვიდრე აზიის სამედიცინო ტურიზმის ლიდერ ქვეყნებში.

სამედიცინო ტურიზმის წარმატებას, როგორც წესი, განაპირობებს სამედიცინო ტურიზმის მიმართ ქვეყნის პოზიცია, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, მოქმედი სამედიცინო ცენტრების არსებობა, რომლებიც აკმაყოფილებენ ISO-ს ხარისხის სტანდარტს ან აქვთ JCI-ის აკრედიტაცია, ასევე ქვეყანაში სამედიცინო ტურისტების შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის პირობები.

სამედიცინო ტურიზმის განვითარება დიდადაა დამოკიდებული მარკეტინგულ პროგრამებსა და მის თანმდევ მომსახურებებზე, რომლის საშუალებითაც პაციენტს ეხმარებიან მკურნალობის ადგილის შერჩევაში, მომავალ ექიმთან კონტაქტში და დოკუმენტების მომზადებაში (**Mohamad...**, 2012). ძალიან ბევრი კლიენტი სრულ ნდობას უცხადებს სამედიცინო აგენტის რეკომენდაციებს. ქვეყნის მხრიდან მხარდაჭერისა და კოორდინაციის გამართულ სისტემას შეუძლია ტურისტების ახალი ნაკადების მოზიდვა, რომელთაც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ მსგავსი მოგზაურობის დაგეგმვა. ამ მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ძალიან ბევრ ქვეყანაში განვითარებულია საპაკეტო მომსახურება, რომელიც მოიცავს გადაფრენის ორგანიზებას, სავიზო პრობლემების გადაჭრას და პაციენტს სთავაზობენ დამატებით ფასდაკლებებს სხვადასხვა მომსახურებაზე (**Chuang, 2014; Deb, 2011; Snyder, 2012**). სამედიცინო

აგენტების საქმიანობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს განვითარებად ქვეყნებში (Kangas, 2012; Musa..., 2012).

ქვეყნის შერჩევასა სამედიცინო მომსახურების მიღების მსურველები ეყრდნობიან ოთხ წყაროს: კვალიფიციური კადრების (სამედიცინო აგენტების) რჩევებს; ნაცნობების რჩევებს, რომლებსაც უცხოეთში მკურნალობის გამოცდილება აქვთ; სარეკლამო კომპანიებს, და ახალ გამოცემებს, წიგნებს, კინოინდუსტრიას (Lovelock, 2008).

სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ სფეროს განვითარებაში. მას შეუძლია გავლენა იქონიოს პაციენტის მიერ ქვეყნის შერჩევის საკითხზე და იქ დახმარების მიღების ყველა კონკრეტულ დეტალზე (Khan..., 2016). ამიტომ, ინდოეთის ხელისუფლებამ უცხოელი სამედიცინო ტურისტებისთვის სპეციალური M-ვიზის მიღების პრაქტიკა დანერგა. მალაიზიის ჯანდაცვის სამინისტრომ კი შექმნა ნაციონალური კომიტეტი, რომლის მოვალეობაა ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განვითარების სტიმულირება. თურქეთის ჯანდაცვის სამინისტრომ ამ მიზნით შეიმუშავა და მოქმედებაში მოიყვანა ტურიზმის ნაციონალური მედიცინის წახალისების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ეკონომიკურ შეღავათებს როგორც ტურისტების მიმღები სამედიცინო დაწესებულებებისთვის, ასევე სამკურნალოდ ჩამოსული პაციენტებისთვის (Климин..., 2018).

სახელმწიფოს მხრიდან სწორედ მსგავს მიდგომებს შეუძლია შექმნას შესაფერისი პირობები ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განსავითარებლად. ასეთი მიდგომები სასარგებლოა პროფესიული გაერთიანებისა და ბიზნესისთვისაც, რომლებსაც მოქმედებაში მოჰყავთ ეს მექანიზმები.

სამედიცინო ტურიზმის ბაზრის ფორმირების პროცესში დასავლეთის ქვეყნები ამ ბაზარს განიხილავდნენ, როგორც სფეროს, რომელზე მოთხოვნაც ჰქონდათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ვერ სარგებლობდნენ სამედიცინო დაზღვევის სრულფასოვანი პაკეტით. მეორე მხრივ, განვითარებად ქვეყნებში საზღვარგარეთ მკურნალობის მიღების მოთხოვნა მოდიოდა იმ ადამიანებისგან, რომლებიც მატერიალურად კარგად იყვნენ უზრუნველყოფილი, თუმცა მათ არ

აკმაყოფილებდათ საკუთარი ქვეყნის ჯანდაცვის ხარისხი. დღეს კი მსოფლიო სამედიცინო ტურიზმის განვითარების განმაპირობებელი ფაქტორია ფასისა და სამედიცინო მომსახურების ოპტიმალური შესაბამისობა (Moody, 2007).

ამერიკის სამედიცინო ასოციაციის მონაცემების თანახმად, დღითიდღე იზრდება სადაზღვევო აგენტების რიცხვი, რომლებიც მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ, მინიმუმ, საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯების ნაწილი. დღეს ამერიკის სადაზღვევო ორგანიზაციები აქტიურად ავითარებენ რისკების დაზღვევის სტრატეგიას. სტანდარტული ტურისტული პოლისი უმეტეს შემთხვევაში არ ფარავს ტურისტის სამედიცინო ხარჯებს, გარდა სამედიცინო დახმარების მიღების გადაუდებელი შემთხვევებისა.

საზღვარგარეთ მკურნალობის დაზღვევის მზარდი ტენდენციის ძირითადი მიზეზია ეკონომიკური სარგებლის მიღება. მაგალითისთვის, საზღვარგარეთ სტომატოლოგიური მომსახურების მიღება პაციენტს შეიძლება დაუჯდეს 80%-ით იაფი, ვიდრე იმავე მომსახურების აშშ-სა და ევროპაში მიღება. სადაზღვევო კომპანიები გვთავაზობენ სამედიცინო მომსახურების დაზღვევის სხვადასხვა პაკეტს. ზოგიერთი პოლისი ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების დაგვიანების, უხარისხოდ ჩატარებული ოპერაციის, მკურნალობის დროს გაჩენილი სხვადასხვა გართულების ხარჯებსაც (Дайхес, 2020).

მკვლევართა აზრით, სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელისშემწყობი ფაქტორებია (Woodman..., 2015):

- ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები;
- სამედიცინო ცენტრების თანამედროვე მოწყობა, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია;
- სამედიცინო მომსახურების ფასისა და ხარისხის ოპტიმალური შესაბამისობა;
- სხვა ქვეყნებთან შედარებით მომხმარებლისთვის დაბალი ფასის შეთავაზება;
- ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა;
- თანამედროვე განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- სამედიცინო მომსახურების ხარისხის დამასაბუთებელი რეკუტაცია;

- ჯანდაცვის სფეროში ისტორიულად დადასტურებული ინოვაციები და ტექნოლოგიური მიღწევები;
- თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკისა და ტექნოლოგიის წარმატებული გამოყენება;
- თანამედროვე სტანდარტით მომზადებული გამოცდილი მედპერსონალი, რომელიც ფლობს ლინგვისტურ უნარებს და აქვს შესაბამისი სასერვისო მომზადება.

ინტერნეტრესურსების მიმოხილვამ (**Medical Korea, 2019; Тастанбекова, 2016**) აჩვენა, რომ ყველა ქვეყანა, რომელშიც განვითარებულია სამედიცინო ტურიზმი, ცდილობს სარეკლამო ბაზრის განვითარებასაც. სარეკლამო სააგენტოები აქცენტს აკეთებენ თავიანთი ქვეყნის ტურისტულ თუ სამედიცინო მომსახურების ძლიერ მხარეებზე, რომლითაც შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყანას. ასეთ მხარეებად შეიძლება განვიხილოთ - სამედიცინო მომსახურების ფასები, ხარისხი, ტურისტებისთვის დამატებითი სერვისების არსებობა და ქვეყანაში მოგზაურობის კომფორტულობა.

დამატებითი ფაქტორები, რომლებიც იწვევენ სერვისით მოსარგებლის დაინტერესებას, არის:

- სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მომსახურება, გასართობი და კულტურული ღონისძიებები;
- ასევე, ინფორმაცია კლიმატური პირობებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მენტალიტეტის თავისებურებებზე.

პაციენტის არჩევანზე - განსაზღვროს ქვეყანა, რომელშიც მიიღებს სამედიცინო დახმარებას მოქმედებს შემდეგი ფაქტორები (**Fan, 2014; Health..., 2013; Solidarity..., 2009**):

1. ეკონომიურობის ფაქტორი;
2. ხელმისაწვდომობა - როცა აუცილებლად ჩასატარებელი მკურნალობა რაღაც ფაქტორების გამო მისთვის ხელმისაწვდომი არ არის - ეს შეიძლება იყოს

საცხოვრებელი ადგილის ფაქტორი, ან შესაძლებელია მომსახურება არ იწვევდეს პაციენტის ნდობას;

3. დროის ფაქტორი - კვალიფიციური, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების მიღება ხანგრძლივი ლოდინის გარეშე, რაც არის არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების პრობლემა, არამედ ის დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორცაა: დიდი ბრიტანეთი, კანადა და ა.შ.;
4. მისაღებობა - მომსახურება, რომელიც შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი და ეკონომიური, მაგრამ ამავდროულად იყოს მიუღებელი რომელიმე ქვეყნისთვის ან სოციალური ფენისთვის რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა სოციალური მოტივით;
5. სხვა დამატებით ფაქტორებში შედის უკეთესი მკურნალობის შესაძლებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაღალი კლასის სპეციალისტების თავმოყრა, ან გამონაკლისის სახით მათი გამოძახება და პაციენტის მიმართ პერსონალური ყურადღების გამოჩენა.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად (**Fan, 2014; Health..., 2013; Solidarity..., 2009, Климин, 2018**) შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს სამედიცინო ტურისტის მოტივაციაზე, რომელიც სამკურნალოდ სწორედ უცხო ქვეყანას ირჩევს:

1. საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ინოვაციური ცენტრები;
2. მკურნალობის ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლის გამოყენების შედეგად მიიღწევა პოზიტიური შედეგი;
3. მაღალი კატეგორიის ექიმები და კვალიფიციური მედპერსონალი; ეკონომიური დანახარჯები საკუთარ ქვეყანაში ჩატარებულ მკურნალობასთან შედარებით;
4. დროის ფაქტორი, დაგეგმილი ოპერაციის დროულად ჩატარება, ჩაწერილ რიგში ხანგრძლივი ლოდინის გარეშე;

5. დამატებითი ხარჯის გაღების შემთხვევაში: კერძო პალატები, თარჯიმნები, პირადი მენეჯერი და ინდივიდუალური მიდგომა;
6. მხარდაჭერის მთელი ციკლი - სამედიცინო კონსულტაციიდან დაწყებული დასრულებული ყველა თანმდევი სერვისის უზრუნველყოფით;
7. მკურნალობასთან ერთად დასვენებისა და საქმიანი შეხვედრების შეთავსების შესაძლებლობა;
8. უცხოელი პაციენტებისთვის რეაბილიტაციის შესაძლებლობა.

1991 წლიდან ჯანდაცვის დაფინანსების ძირითადი წყარო საქართველოში კერძო დანახარჯებია. 2003 წლიდან ქვეყანა აქტიურად მუშაობს ჯანდაცვის პოლიტიკის ლიბერალიზაციასა და კონკურენციის გაზრდაზე - მარტივდება რეგულაციები და ტარდება ზომები კერძო კომპანიების წასახალისებლად. 2014 წლის ბოლოს ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში კომპანიების მიერ მოზიდული პრემია 74.1 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი სადაზღვევო ბაზრის 43.2%-ია. ჯანდაცვის სფეროში გატარებულმა რეფორმებმა და კერძო კომპანიების მოზიდვამ კონკურენტული გარემო შექმნა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სფეროს განვითარებას: გარემონტდა და განახლდა კლინიკები, აღიჭურვა უახლესი აპარატურით (Galt & Taggart, 2016).

ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტების რიცხვი, რასაც ხელი შეუწყო 2016 წელს დამტკიცებულმა სტრატეგიამ, რომლის მიხედვითაც ტურიზმი, მათ შორის სამედიცინო ტურიზმი, ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად განისაზღვრა (Galt & Taggart, 2018).

Georgian Journal-ზე დაყრდნობით, 2018 წლის პირველ კვარტალში საქართველოში მკურნალობისა და სამედიცინო პროცედურების მისაღებად 13 900 სამედიცინო ტურისტი ჩამოვიდა, რაც 61.2%-ით აღემატება 2017 წლის პირველი კვარტლის იმავე მონაცემს.

ყველაზე ხშირად გაწეული სერვისები ასე დალაგდა - სტომატოლოგია, კოსმეტიკური და პლასტიკური ქირურგია.

სამედიცინო ტურიზმის განვითარებას საქართველოში მაღალშემოსავლიანი ვიზიტორების მოზიდვაც შეუძლია. ჩვენთან სამედიცინო ტურიზმი ჯერ ისევ

განვითარების სტადიაშია. სამედიცინო ტურისტები ძირითადად აზიის დაბალ-შემოსავლიანი ქვეყნებიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოდიან. ძირითადად იღებენ ისეთ მომსახურებებს, როგორცაა - სტომატოლოგია, კოსმეტიკური ქირურგია, კარდიოლოგია და უშვილობის მკურნალობა. ამ მიმართულებებში ქვეყანა არის კონკურენტუნარიანი, რასაც ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურებების დაბალი ფასი სამედიცინო ტურიზმის მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით (Galt & Taggart, 2018).

თავი II. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, შეფასება და განვითარების პერსპექტივები


2.1. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებელი

სამედიცინო ტურიზმის ბაზარმა საერთო ტენდენციებისა და მსოფლიო ეკონომიკური ცვლილებების კვალდაკვალ განვითარების გარკვეული სტადიები გაიარა და მსოფლიო მეურნეობის ახალი პირობების შესაბამისად ადაპტირდა. მან განიცადა არსობრივი ტრანსფორმაცია რამდენიმე თვალსაზრისით - საგრძნობლად მოიმატა მისი მონაწილეების რიცხვმა; განვითარებული ქვეყნების შეზღუდული რაოდენობიდან, რომელთაც შეეძლოთ უნიკალური სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მომსახურების შეთავაზება, მიაღწია მნიშვნელოვნად გაზრდილ რაოდენობას; მასში ჩაერთო ბევრი განვითარებადი ქვეყანაც, რომლებიც აქტიურად იყენებენ მათთვის დამახასიათებელ კონკურენტულ უპირატესობებს, რათა წარმატებას მიაღწიონ სამედიცინო ტურიზმის სფეროს განვითარებაში. ტრანსფორმირება მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობის ცვლილებას არ უკავშირდება, ის გულისხმობს სამედიცინო და ტურისტული მომსახურების ხარისხის ზრდასაც, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება-დანერგვასაც. (Мозокина, 2014)

ზემოთ ნათქვამს ადასტურებს სტატისტიკური მონაცემებიც, რომელშიც ასახულია სამედიცინო ტურიზმის განვითარების დინამიკა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017-2018 წლებში სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო ბაზარი 4%-ით გაიზარდა, რაც გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტის 3.5%-ით ზრდას. იმ მეწარმეთა მოგებამ, რომლებიც სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე ფუნქციონირებდნენ 15 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია (World Tourism Organization, 2018), შედარებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემოსავლების რაოდენობა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და ველნესტურიზმის პროგრამებიდან, რომელიც 40 მილიარდ ამერიკული დოლარს უტოლდება. უცხოელი ექსპერტების შეფასებით, უახლოეს პერიოდში ეს ტენდენცია შენარჩუნდება, და 2022 წლისთვის

სამედიცინო ტურიზმიდან შემოსავლები 30-35%-ით გაიზრდება (Global..., 2020). Medical Tourism Index-ის რეიტინგი (International Healthcare Research Center) ასახავს თანამედროვე სამყაროში სამედიცინო ტურიზმის განვითარების დინამიკას (Global Web Index/ market research SaaS Company).

დიაგრამა №1: სამედიცინო ტურიზმის ინდექსი



წყარო: „Global Web Index“

ამ რეიტინგში შესული ქვეყნები შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმებით:

- გარემო პირობების მდგომარეობა;
- სამედიცინო ტურიზმის ბაზრის ინფრასტრუქტურის მდგომარეობა;
- მომსახურების ხარისხი და დონე.

პირველ ცხრილში დაშიფრულია Medical Tourism Index-ის 2017 წლის რეიტინგი სამედიცინო ტურიზმის სფეროს პირველი ხუთი ლიდერი ქვეყნის მაგალითზე.

ცხრილი №1: **Medical Tourism Index-ის რეიტინგის განსაზღვრა ხუთი ლიდერი ქვეყნის მაგალითზე**

№	ქვეყანა	აგრეგირებული მონაცემი	გარემო პირობების მდგომარეობა	სამედიცინო ტურიზმის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების დონე	ტურიზმის ობიექტების	მომსახურების ხარისხი
1.	კანადა	76.62	78.63	74.14		77.01
2.	დიდი ბრიტანეთი	74.87	77.3	70.38		79.94
3.	ისრაელი	73.91	67.56	72.38		81.6
4.	სინგაპური	73.56	73.26	70.79		76.63
5.	ინდოეთი	72.10	63.62	75.94		77.1

წყარო: „Global Web Index“

თანამედროვე მსოფლიო სამედიცინო ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური შეფასების კიდევ ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს მომხმარებლის ევროპული ინდექსი (EHCI). ის კომპლექსურად აფასებს ევროკავშირის ქვეყნების ჯანდაცვის ეფექტურობის ნაციონალურ სისტემას. დღეისათვის ის წარმოადგენს ერთ-ერთ სანდო და მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც ასახავს სამედიცინო ტურიზმის ბაზრის თანამედროვე ტენდენციებს. ის გამოითვლება 40-მდე პარამეტრით, რომლებიც იყოფა კიდევ რამდენიმე ქვეჯგუფად. ეს რეიტინგი გამოითვლება 35 ქვეყნისთვის, რომელთა უმეტესობა ევროკავშირის წევრია. თუმცა 2018 წლის რეიტინგში მოხდნენ არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, არამედ მთელი რიგი ქვეყნებისა, რომლებიც გეოგრაფიულად მდებარეობენ ევროპაში, თუმცა არ არიან ევროკავშირის წევრები. ასეთი ქვეყნების რიცხვშია: შვეიცარია, ჩერნოგორია, ხორვატია, ალბანეთი და სხვა ქვეყნები (Игнатова, 2020). რუსმა მკვლევარმა ელენა ეგნატოვამ შეადგინა სამედიცინო ტურიზმით მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ევროპული ინდექსის ცხრილი. ცხრილში ჯანდაცვის მომხმარებელთა ინდექსის (EHCI) ოფიციალურ მონაცემებთან ერთად, მოცემულია ევროპული ქვეყნების გრადაცია თანამედროვე განვითარებისა და სამედიცინო ტურიზმის ძირითადი მიმართულებების კუთხით. მთავარ ჯგუფში წარმოდგენილია:

- სამედიცინო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალი დონის ქვეყნები (რეიტინგში № 1-8 - ინდექსით 800-დან);
- სამედიცინო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მაღალი დონის ქვეყნები (რეიტინგში № 9-17, - ინდექსით 700-დან);
- სამედიცინო ტურიზმის განვითარების კუთხით საშუალო დონის ქვეყნები (რეიტინგში № 18-30 - ინდექსით 600-დან);
- სამედიცინო ტურიზმის განვითარების კუთხით დაბალი დონის ქვეყნები (რეიტინგში № 31-35 - ინდექსით 544-დან).

ცხრილი №2: ჯანდაცვის მომხმარებელთა ევროპული ინდექსი (EHCI) სამედიცინო ტურიზმის ბაზრის განვითარებასთან მიმართებაში, 2018 წ.

№	ქვეყანა	ჯანდაცვის მომხმარებელთა ინდექსი (EHCI)	სამედიცინო ტურიზმის ბაზრის განვითარების დონე
1	შვეიცარია	893	სამედიცინო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით გამორჩეულად მაღალი დონის ქვეყნები, ორიენტაცია-შემოსვლით ტურიზმზე. მომსახურების მაღალი დონე მაღალი ფასის პირობებში; ორიენტაცია მაღალი შემოსავლის მქონე კლიენტებზე, სპეციალიზაცია სამედიცინო დახმარების ვიწრო პროფილის მაღალტექნოლოგიურ ტიპზე;
2	ნიდერლანდები	883	
3	ნორვეგია	857	
4	დანია	855	
5	ბელგია	849	
6	ფინეთი	839	
7	ლუქსემბურგი	809	
8	შვედეთი	800	
9	ავსტრია	799	სამედიცინო ტურიზმის ბაზრის განვითარების თვალსაზრისით მაღალი დონის ქვეყნები, ორიენტაცია-როგორც შიდა ბაზრის მოთხოვნილებებზე, ასევე შემოსვლით ტურიზმზე; სპეციალიზაციის მაღალი დონე, სამედიცინო ტურიზმის რამდენიმე პრიორიტეტული ტიპის არჩევა და განვითარება, ხარისხის მაღალი დონე
10	ისლანდია	797	
11	საფრანგეთი	796	
12	გერმანია	785	
13	პორტუგალია	754	

14	ჩეხეთი	731	შეჯერებული ფასებისა და მომსახურების პირობებში.
15	ესტონეთი	729	
16	დიდი ბრიტანეთი	728	
17	სლოვაკეთი	722	
18	სერბეთი	699	სამედიცინო ტურიზმის ბაზრის განვითარების საშუალო დონე, ორიენტაცია-სამედიცინო მომსახურების ძირითად სახეებზე, ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება სამედიცინო ტურიზმის ახალი ბრენდების განვითარება; ხარისხის საშუალო დონე არც ისე მაღალი ფასების პირობებში, სამედიცინო ტურიზმის ერთი-ორი, მეტნაკლებად მოთხოვნადი სახით პოზიციონირება, ორიენტაცია საშუალო შემოსავლის მქონე მასობრივ მომხმარებელზე.
19	ესპანეთი	698	
20	იტალია	687	
21	სლოვენია	678	
22	ირლანდია	669	
23	მონტენეგრო	668	
24	ხორვატია	644	
25	ჩრდილოეთ მაკედონია	638	
26	კვიპროსი	635	
27	მალტა	631	
28	ლიეტუვა	622	
29	საბერძნეთი	615	
30	ლატვია	605	
31	ბულგარეთი	591	
32	პოლონეთი	585	
33	უნგრეთი	565	
34	რუმინეთი	549	
35	ალბანეთი	544	


წყარო: „Health Consumer Powerhouse“ (<https://healthpowerhouse.com/media/EHCI-2018/EHCI-2018-report.pdf>)

რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე საუბრისას ზედმეტი არ იქნებოდა რამდენიმე ლიდერი

სახელმწიფოს გამოცდილების განხილვა. ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სამედიცინო ტურიზმის შესაძლებლობების კუთხით შეიძლება დასახელდეს შვეიცარია. ზოგადად ტურიზმის და კერძოდ, სამედიცინო ტურიზმის განვითარების კუთხით ის მსოფლიოში ლიდერ სახელმწიფოდაა აღიარებული. აქ ხდება მაღალი ხარისხის მომსახურება, ძვირადღირებული ტექნოლოგიების გამოყენებით. შვეიცარია გამოირჩევა ასევე მომსახურების ფართო პროფილით. აქ შესაძლებელია ისეთი მომსახურებების მიღება, როგორცაა: სქესის შეცვლის ქირურგია, რადიოლოგია, ფიზიოთერაპია, გინეკოლოგია და ბეზიაქალის მომსახურება, ფსიქოთერაპია და ბევრი სხვა. შვეიცარიას, როგორც სამედიცინო ტურიზმის დესტინაციის ქვეყანას, რომელიც სპეციალიზებულია სამედიცინო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის რეალიზაციის კუთხით, აქვს 53 საკურორტო ადგილი, რომლებიც ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში იწყებდნენ ჩამოყალიბებას. თავიდან აქ დიდი ყურადღება ეთმობოდა ბუნებრივი მინერალური წყლებით მკურნალობას, 1860-1880-იან წლებში უკვე აქტუალური ხდება ბუნებრივი წყლის აბაზანებიც. იხსნება მრავალრიცხოვანი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. მე-19 საუკუნის დასასრულისთვის შვეიცარიაში ჩნდება სხვადასხვა პროფილისა თუ სპეციალიზაციის სამედიცინო დაწესებულება, სადაც ჩამოდიან ტურისტები მთელი მსოფლიოდან, რათა მიიღონ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. შვეიცარიის სამედიცინო ტურიზმის ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმან, რომ ამ ქვეყანას ჰქონდა მდიდარი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. ქვეყნის 70%-ზე გადაშლილია ალპები, ტბები, თერმული წყლები. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანა ცნობილია კურორტებითა და სამთო-სათხილამურო ბილიკებით, რამაც ხელი შეუწყო ზოგადად ტურიზმისა და მათ შორის სამედიცინო ტურიზმის განვითარებასაც (Семенова..., 2015). შვეიცარია სამედიცინო ტურიზმის ბაზრის მოცვის საკითხში აღმოჩნდა მაქსიმალისტი, მომსახურების სხვადასხვა ჯგუფის პოტენციური მომხმარებლისთვის ოფერტების შეთავაზებისა და ფორმირების თვალსაზრისით, რომელიც ასევე ითვალისწინებდა შიდა თუ უცხოელი ტურისტის ასაკს. სამედიცინო ტურისტების სქესობრივ-ასაკობრივმა შეფასებამ აჩვენა, რომ სქესის მიხედვით შემოსულ

ტურისტებში ბალანსი თითქმის დაცულია - 51% მოდის ქალებზე, 49% მამაკაცებზე; ხოლო ძირითადი ასაკობრივი კატეგორია 40-74 წლამდე ასაკის პაციენტებზე მოდის, რაც შემოსული ტურისტების 64% შეადგენს (Switzerland Tourism...).

დიაგრამა №2: ტურისტების ასაკობრივი მაჩვენებლის ანალიზი შვეიცარიაში, 2018წ.(119)



■ სამედიცინო ტურისტების რაოდენობა;

● სამედიცინო ტურისტების საერთო რიცხვის პროცენტული შეფარდება.


წყარო: „Switzerland Tourism” შვეიცარიის ნაციონალური ტურისტული კორპორაციის ოფიციალური ვებგვერდი

სამედიცინო ტურიზმის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების განაწილების სტრუქტურასა და რაოდენობას. ამ საკითხშიც შვეიცარიის გამოცდილება, შეიძლება ითქვას, ყველაზე სანდო და წარმატებულია - სოლიდარული ფინანსირების პირობებში უზრუნველყოფილია თანაფარდობა მედიცინაზე გაწეულ სახელმწიფო ხარჯებსა და ნებაყოფლობით და აუცილებელ სამედიცინო დაზღვევას შორის.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წლისთვის შვეიცარიის სამედიცინო დაწესებულებებში საოპერაციო ხარჯების ბრუნვამ 38,5 მილიონი შვეიცარიული ფრანკი შეადგინა. 2 000 წელთან შედარებით მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (საავადმყოფოების, ჰოსპიტლების, კლინიკების) რაოდენობა

24,7%-ით შემცირდა. 2000-იან წლებში შვეიცარიის ტერიტორიაზე 350-ზე მეტი სხვადასხვა პროფილის საავადმყოფო იყო (Carrera, 2006). თუმცა სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობის ასეთი შემცირება არ უკავშირდება შიდა ბაზარზე სამედიცინო მომსახურებებზე მოთხოვნის, ან საზღვარგარეთიდან ტურისტების ნაკადის შემოდინების შემცირებას. ამის ძირითადი მიზეზი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა და ის უკავშირდება იმ ფაქტს, რომ შვეიცარიაში კლინიკები და საავადმყოფოები ერთიან მრავალპროფილურ ცენტრებად გაერთიანდნენ.

დიაგრამა №3: ჯანდაცვის სფეროების ფინანსირების სტრუქტურა შვეიცარიაში, 2018წ.



წყარო: „Eurostat“ ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი (https://ec.europa.eu/eurostat/home?p_auth=BMAauWo7&p_id=estatse)

ზემოთ ნათქვამის ნათელი მაგალითია შვეიცარიული კლინიკების ქსელის Swiss Medical Network-ის პრაქტიკული გამოცდილება, რომელშიც შედის 16 მრავალპროფილური დაწესებულება, რომლებიც გაფანტულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ქსელურ გაერთიანებაში დაკავებულია 1 782 ექიმი. თითოეულ მათგანი

მსოფლიოში თავის სფეროში ცნობილი სპეციალისტია. მათ უჭირავთ წამყვანი პოზიციები ისეთ დარგებში, როგორცაა: ონკოლოგია, ნეიროქირურგია, კარდიოქირურგია, ორთოპედია, ოფთალმოლოგია, დიაგნოსტიკა, პლასტიკური ქირურგია, რეაბილიტაცია და თანამედროვე მედიცინის სხვა დარგებ. (**Swiss Medical Network...**). Swiss Medical Network-ის კლინიკებში განვითარებულია უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიები და პროდუქტები - ულტრათანამედროვე დიაგნოსტიკური და თანამედროვე მოწყობილობები, რობოტიზებული ქირურგია, დისტანციური მედიცინა, ონკოლოგიურ დაავადებათა ინოვაციური მკურნალობის მეთოდები და უახლესი ქირურგიული მეთოდები, რაც ხდება დამატებითი კონკურენტუნარიანობის მიზეზი, რაც სამედიცინო ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე უპირატესობას ანიჭებს ამ ქსელურ გაერთიანებას.

შვეიცარიის სამედიცინო ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელია ქვეყნის ტერიტორიაზე სამედიცინო ორგანიზაციების სიმჭიდროვე. მსხვილი სამედიცინო ცენტრები განთავსებულია ციურიხში, ბაზელში, ბერნიში, სანტკ-გალენში, სანტკ-მორიცში, ლოზანაში, ჟენევასა და ლუგანოში.

შვეიცარიის პრაქტიკიდან ჩანს, რომ სამედიცინო ტურიზმის განვითარების საქმეში მათი ძირითადი სტრატეგიაა - სამედიცინო დაწესებულებების ერთიან ორგანიზაციულ-ეკონომიკურ კომპლექსში მოქცევა, დაგროვილი ისტორიული გამოცდილების გამოყენება, ბრენდული სამედიცინო დაწესებულებების საქმიანი რეპუტაციის შენარჩუნება, მაღალი ხარისხი და ტურისტებისთვის გაწეული მომსახურების უსაფრთხოება.

სამედიცინო ტურიზმის თანამედროვე ტენდენციებისა და თავისებურებების გლობალურ დონეზე შეფასებისას აუცილებელია არა მხოლოდ მოწინავე ქვეყნების გამოცდილების განხილვა, რომლებსაც ამ ბაზარზე ხანგრძლივი ფუნქციონირებისა და წარმატებული პრაქტიკის გამოცდილება აქვთ, არამედ ისეთი ქვეყნების გამოცდილებაც, რომლებიც სამედიცინო ტურიზმის მსოფლიო ბაზარს არცთუ დიდი ხნის წინ შეუერთდნენ, თუმცა ამ ბაზარზე ახალი ლიდერი ქვეყნების რიგში არიან, მაგალითად სამხრეთი კორეა.

სამხრეთი კორეის წარმატებული სამედიცინო ტურიზმის ბაზრისა და ჯანდაცვის ნაციონალური სისტემის წარმატების მიზეზად უნდა დავასახელოთ ის, რომ ეს ქვეყანა ერთ-ერთ ლიდერულ პოზიციას იკავებს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის კუთხით - სამხრეთ კორეელების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა 82 წელი, როცა სულ რაღაც 50 წლის წინ ეს მაჩვენებელი 61 წელს უტოლდებოდა. ეს შედეგი განაპირობა ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა: ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო მხარდაჭერა, კორეული ბიზნესის წარმომადგენელთა სოციალური მხარდაჭერა და თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. ყველაფერი ზემოთ აღნიშნული ადასტურებს საბაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილის აქტიურობას სამედიცინო მომსახურების სფეროში ინოვაციური კუთხით, ასევე პერსპექტივების დასახვისა და თანამედროვე ტენდენციების თვალსაზრისით (Han..., 2018).

ჯანდაცვის განვითარების სააგენტოს მასალების თანახმად, 2009 წელს კორეაში უცხოელი პაციენტების რაოდენობა 60 201 კაცს ითვლიდა, 2015 წელს 296 889-ს მიაღწია, ხოლო 2018 წელს ეს მონაცემი 380 000 უტოლდებოდა. ამ მონაცემებით ნათლად დასტურდება, რამდენად მოთხოვნადია კორეის სამედიცინო ტურიზმის ბაზარი უცხოელი მოქალაქეებისთვის. უცხოელი ტურისტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის უფლება სამხრეთ კორეაში სამედიცინო დაწესებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ის ფლობს სპეციალურ ლიცენზიას, რომელიც გაიცემა კორეის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. ნებართვა გაიცემა სამი წლით. სამი წლის შემდეგ სამედიცინო ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ უნდა დაადასტურონ სტატუსი და ის, რომ შეუძლიათ მკურნალობის ორგანიზება. 2018 წელს გაიცა ასეთი 1709 ლიცენზია სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებზე და 1413 ლიცენზია კერძო ბიზნესზე (Visit Medical Korea...).

თავის მხრივ სამედიცინო ტურიზმის სააგენტოებმა ოფიციალურად უნდა დაარეგისტრირონ თავიანთი ბიზნესი, რაც გულისხმობს აუცილებელი საწყისი კაპიტალის შეტანას 8 ათასი დოლარის ოდენობით და პასუხისმგებლობის დაზღვევას. დაზღვევა იწყება 8 ათასი დოლარიდან და იწევს ზევით. დაზღვევა გათვალისწინებულია იმ შემთხვევისთვის, რომ დაიფაროს პოტენციური ზარალი,

თუ მკურნალობა წარიმართება არასათანადო ხარისხით, დაირღვევა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტანდარტი, არ იქნება დაცული შეთანხმების პირობები.

სამხრეთ კორეის ტურიზმის მიმართულებით სპეციალიზებული სამედიცინო სააგენტოები უზრუნველყოფენ სრულფასოვან მომსახურებას, ვიზის პრობლემების მოგვარების, ტრანსფერის, საცხოვრებლის დაჯავშნისა და საექსკურსიო მომსახურების ჩათვლით. გარდა ამისა ისინი ითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს, რაც ეს შესაძლებელია ინტერნეტქსელის საშუალებითაც - ეხმარებიან თარჯიმნის რანგში, აზღვევენ უბედურ შემთხვევას სამედიცინო მომსახურების გაწევისას. კორეული სამედიცინო სერვისები კლინიკებში გამოირჩევიან დამატებითი მომსახურების ფართო სპექტრით, რომელთა შორისაც შეგვიძლია გამოვყოთ: ფასდაკლება საცხოვრებელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, საექსკურსიო მომსახურება, კვება რამდენიმე ნაციონალურ სამზარეულოში, უკაბელო ინტერნეტი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო არხებზე წვდომა (Грошев..., 2017).

კორეის სამედიცინო ინსტიტუტი არის აზიაში პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც დაუდასტურდა მსოფლიო ფედერაციის სტატუსი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ტურისტების მკურნალობის პროცესი მიმდინარეობს ისეთივე მაღალი სტანდარტების დაცვით, როგორც სამედიცინო ტურიზმის წამყვან ქვეყნებში - გერმანიაში, ისრაელში, აშშ-ში. 2017 წელს ანალიტიკური სააგენტოს Bloomberg-ის მონაცემებით, სამხრეთ კორეის ჯანდაცვის სისტემამ სამედიცინო სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის რეიტინგში მეოთხე ადგილი დაიმსახურა (Sudheer...).


2018 წელს კორეის რესპუბლიკის ჯანდაცვის განვითარების სააგენტომ ჩაატარა მარკეტინგული კვლევა, რომლის მიზანიც იყო, იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ რესპუბლიკაში სამედიცინო ტურიზმის ბაზრის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე. ჩატარდა რამდენიმე ინტერვიუ სამედიცინო ტურიზმის წარმომადგენლებთან (ადმინისტრაციულ პერსონალთან და სხვადასხვა კატეგორიისა და პროფილის მედიცინის მუშაკთან, მათ შორის - სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე პერსონალთანაც), რომლებიც მუშაობენ იმ ცნობილ სამედიცინო ცენტრებში, რომლებიც ცდილობენ სამედიცინო ტურისტულ

ბაზარზე წარმატების მიღწევას, ახალი შიდა თუ უცხოელი პაციენტი მოზიდვას და შეუძლიათ უმაღლესი ხარისხის სამედიცინო დახმარების შეთავაზება (სამხრეთ კორეის სამედიცინო ტურიზმის განვითარების საინფორმაციო პორტალი „Visit Medical Korea...“).

მიღებულმა შედეგებმა გამოავლინა რამდენიმე ძირეული ფაქტორი, რომლებიც კორეის რესპუბლიკაში გავლენას ახდენს სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე. შედეგები 100%-იან შკალაზე ასე განაწილდა:

- მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები მისაღებ ფასად - 25%;
- სარეაბილიტაციო მკურნალობა - 18%;
- ტურისტული ღონისძიებები - 17%;
- ჰალიუს ეფექტი - 16%;
- პაციენტების დამატებითი მხარდაჭერა - 10%;
- სახელმწიფო ინვესტიციები - 7%;
- დესტინაციის ბრენდინგი - 7%.

დიაგრამა №4: ფაქტორები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ სამედიცინო ტურიზმის სტაბილურ განვითარებაზე სამხრეთ კორეაში



წყარო: (სამხრეთ კორეის სამედიცინო ტურიზმის განვითარების საინფორმაციო პორტალი „Visit Medical Korea...“). (<http://visitmedikorea.com>)

ახლა ორიოდ სიტყვით ისეთ ფაქტორზე, როგორცაა - ჰალიუს ეფექტი (კორეული კულტურის ეფექტი) - ეს არის სამედიცინო მომსახურებისა და კულტურულ-შემცნებითი მომსახურების ერთობლიობა სამხრეთ კორეის მსხვილ ისტორიულ და თანამედროვე დესტინაციებში. ინტერესის ობიექტად აქ ცალკე უნდა გამოიყოს კორეული კომპიუტერული თამაშები, მოდა, თანამედროვე პოპ-მუსიკა, კორეული კინემატოგრაფი და, ეგრეთ წოდებული, აიდოლები (ასე უწოდებენ სამხრეთკორეულ პოპ-ვარსკვლავებს). ამასთან, ამ უკანასკნელის შემთხვევაში ადგილი აქვს ძალიან საინტერესო ტენდენციას - იზრდება იმ პაციენტების რიცხვი, რომელთაც სურთ კოსმეტიკური პროცედურებისა და ქირურგიული ჩარევების საშუალებით დაემსგავსონ თავიანთ „კუმირს“. ეს კი, თავის მხრივ დადებითად მოქმედებს სამედიცინო ტურიზმის ბაზრის განვითარებაზე არა მხოლოდ შიდა სეგმენტში, არამედ უცხოეთიდან ჩამოსულ ტურისტებშიც.

როგორც ვხედავთ, როგორც სამხრეთ კორეის ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე ხელისუფლება, ძირითად სამედიცინო მომსახურების გაწვევისას აქცენტს აკეთებენ ინოვაციური ტექნოლოგიების შედარებით დაბალ ფასში გამოყენებაზე (Никонова, 2018).

თუ შევადარებთ აშშ-სა და სამხრეთ კორეის სამედიცინო მომსახურების ფასებს, თვალსაჩინო გახდება ამ მხრივ არსებული სხვაობა. ჯამში, ამ ორი ქვეყნის სამედიცინო ტურისტების მომსახურების ფასებს შორის 77%-იანი სხვაობა ფიქსირდება. ამ მონაცემის უტყუარი დასტურია ის, რომ სამხრეთ კორეაში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურების მისაღებად ჩამოსული ტურისტების 12%-ს აშშ-ს მოქალაქეები შეადგენენ (სამედიცინო ტურიზმი სამხრეთ კორეაში..).

მაგალითისთვის შევადაროთ ამერიკისა და სამხრეთ კორეის ფასები რამდენიმე სამედიცინო მომსახურებაზე:

- ხერხემლის ქირურგია: აშშ-ში თუ ღირს 100 000\$; სამხრეთ კორეის ფასი ამავე ოპერაციაზე არის 17 350\$-ის;
- სწორ ნაწლავის კიბოს ოპერაცია: სამხრეთი კორეა - 11 000\$-დან 20 000\$მდე; ამერიკა - 40 000\$;
- მუხლის სახსრის შეცვლა: სამხრეთ კორეა - 17 800\$; ამერიკა - 50 000\$;

- გულის სარქვლის გამოცვლა: სამხრეთი კორეა - 36 000\$; ამერიკა - 170 000\$;
- გულის აორტოკორონარული შუნტირება: სამხრეთი კორეა - 24 000\$; ამერიკა - 144 000\$;
- მენჯ-ბარძაყის სახსრის გამოცვლა: სამხრეთი კორეა - 16 450\$; ამერიკა - 43 000\$.

უცხოელი ტურისტების მხრიდან სამხრეთ კორეაში ყველაზე ხშირად მოთხოვნილი სამედიცინო მომსახურებებია - საერთო სამედიცინო გამოკვლევა, დერმატოლოგია, პლასტიკური, ქირურგია, გინეკოლოგია, დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა, ორთოპედია. მკვლევართა ვარაუდით, 2020 წელს 2015 წელთან შედარებით სამხრეთ კორეის სამედიცინო ტურიზმის ბაზარი 4-ჯერ უნდა გაზრდილიყო. თუმცა ამ ვარაუდის რეალიზებას ხელი შეუშალა კორონავირუსული ინფექციის გავრცელებამ.

საერთაშორისო დონეზე სამედიცინო ტურიზმის მართვისა და ორგანიზების შესწავლის შედეგად თანამედროვე სამედიცინო ბაზრის ტენდენციების შესახებ შეგვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა:

1. თანამედროვე სამედიცინო ტურიზმის მომსახურების ბაზრისთვის მნიშვნელოვანია მართვისა და რეალიზაციის პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა; გარდა ამისა, ფასისა და ხარისხის გონივრული თანაშეფარდება არის ძირეული ფაქტორი, რომელიც ბიძგის მიმცემია პაციენტისთვის, რათა მიიღოს კონკრეტულ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ჩატარების გადაწყვეტილება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას რთული ოპერაცია და ხანგრძლივი რეაბილიტაცია სჭირდება;
2. სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე ბიზნესსუბიექტებისა და ცალკეული სახელმწიფოების კონკურენტული უპირატესობის მიღწევა შესაძლებელია რესურსების ბაზის ტრანსფორმაციით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მისი ადაპტაციასა და რაციონალურ გამოყენებას, არამედ დარგებშორის ურთიერთქმედების პრაქტიკის გაფართოებასაც. ეს უკანასკნელი კი დაფუძნებულია კლასტერული სტრუქტურების შექმნასა და შემდგომ განვითარებაზე, ჰოლდინგის ერთეულებზე, ქსელურ გაერთიანებებზე და ა.შ.

3. მნიშვნელოვანი როლი სამედიცინო ტურიზმის ნაციონალური ბაზრის განვითარების საქმეში მიუძღვის ტურისტული მომსახურების განვითარების უნიფიცირებულ სისტემას, როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესსტრუქტურების დონეზე. ბაზრის ყველა მონაწილის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - ინფორმაციის გავრცელება, სამედიცინო ტურიზმის ნაციონალური ბაზრის შესაძლებლობებისა და სპეციფიკური თავისებურებების შესახებ ინფორმაციაზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2.2. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის ქართული გამოცდილების ანალიზი და განვითარების სისტემური პრობლემების გამოვლენა

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სამედიცინო ტურისტების სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის ბიძგის მიმცემ ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს არა მხოლოდ ის ფაქტი, რამდენად შესაძლებელია ქვეყანაში ხარისხიანი სამედიცინო დახმარების მიღება, არამედ დამატებით ისიც, რამდენად მომხიბლავია ეს ქვეყანა, როგორც საკურორტო და რეკრეაციული ზონა, რამდენად საინტერესოა ის ისტორიული ძეგლების, მუზეუმების, არქეოლოგიის და სხვა კულტურულ-ისტორიული სანახაობების თვალსაზრისით, საქართველოში ამ ბიზნესის განვითარებას დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს.

ასაღნიშნია ისიც, რომ საქართველოში არაერთი სამედიცინო პროფილის კურორტია, სადაც არსებობს ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები - მინერალური წყალი, ტალახი, გამაჯანსაღებელი ჰავა და აუცილებელი პირობები მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოსაყენებლად.

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო სამკურნალო, გამაჯანსაღებელი, დასასვენებელი, საკურორტო ადგილებით: ამას ხელს უწყობდა საქართველოს ბუნებრივი მდებარეობა ზომიერ განედში. კავკასიონის ქედი, რომელიც ქვეყანას ჩრდილოეთიდან აკრავს, არ იძლევა აქ ცივი მასების შემოჭრის საშუალებას. ამიტომ კლიმატი რბილი და სასიამოვნოა. სამხრეთიდან კი ცხელი მასების თავისუფალ

გადაადგილებას კავკასიონის მცირე ქედები აბრკოლებს. დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო ზოლის თბილი და ნოტიო ჰავა განაპირობებს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს კლიმატი რბილი და სუბტროპიკულია, ხოლო აღმოსავლეთით შედარებით მშრალი და რბილი. საკურორტო ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯანსაღი ჰავა. საქართველო ამ ნიშნითაც გამორჩეულია. ზომიერი ნოტიო ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მშრალი კონტინენტური კასპიის აუზებს შორის მდებარეობა იმის განმაპირობებელია, რომ საქართველოში თბილი და ნოტიო ჰავაა (სააკაშვილი..., 2011). ასეთი ბუნებრივი მოცემულობა განაპირობებს საქართველოში მიმზიდველ საკურორტო კლიმატურ პირობებს როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში დასვენებისათვის. ამაზე მეტყველებს მისი მიმზიდველი, ლამაზი ბუნება, ზომიერი კლიმატური პირობები, მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტი, თოვლითა და ყინულით მუდმივად დაფარული კავკასიონის ქედი, შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მთის მდინარეები და ჩანჩქერები, კასტრული მღვიმეები, მრავალგვარი კურორტები, სამკურნალო და ცივი და ცხელი მინერალური წყაროები, მტკნარი წყლის მნიშვნელოვანი მარაგი; წინაპართა დანატოვარი ხუროთმოძღვრული ძეგლები, ძვირფასი არქეოლოგიური მასალა, უნიკალური ნაკრძალები, ხელუხლებელი ველური ბუნების ნაწილები, ნაციონალური პარკები, ქართული ფოლკლორი, ტრადიციები, სტუმართმოყვარეობა - ეს ყველაფერი ძველთაგანვე იზიდავდა ადამიანებს, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

საქართველო გამოირჩევა ჰიდრომინერალური რესურსების მრავალფეროვნებით. ქვეყანაში 2000-ზე მეტი მინერალური წყალია, რომელთაგან 1700-ზე მეტს ბუნებრივი გამოსავალი აქვს. მინერალური წყლების ბუნება იქნა შესწავლილი სხვადასხვა მკვლევრის მიერ და აღმოჩენილი ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლებით დადგინდა, რომ წყლების უმრავლესობას სამკურნალო თვისებები აქვს (სააკაშვილი...,2011).

საქართველოში შესაძლებელია სამედიცინო ტურიზმის ისეთი სპეციფიკური სახეების განვითარება, როგორცაა, კლიმატური (მთის, ზღვის სანაპირო, ტყის და ველის კურორტები) და ბალნეოლოგიური კურორტები (სასმელი წყლისა და

აბაზანებით სამკურნალო). ისინი ოდითგანვე წარმოადგენდნენ ქვეყნის ტურისტულ ღირსებას. ქვეყანაში კურორტების განვითარება XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ამ პერიოდში დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი ბორჯომსა და აბასთუმანში, ხოლო მოგვიანებით მე-19 საუკუნის ბოლოს შავი ზღვის სანაპიროზე. საბჭოთა პერიოდში ქართული კურორტები აღიარებული იყო, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სამედიცინო დანიშნულების ადგილები (სამედიცინო ტურიზმი..., 2016).

ტურიზმის სფეროში ჩვენი ქვეყნის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია: მსოფლიო ტურიზმის ყველაზე დიდ ბაზართან – დასავლეთ ევროპასთან სიახლოვე, შესანიშნავი კლიმატური პირობები, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და უძველესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, რომლებსაც ტურისტების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, განსაკუთრებით - ბოლო პერიოდში. კლიმატური პირობების მრავალფეროვნება სხვადასხვა საკურორტო მეურნეობის განვითარების საფუძველია. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა სამედიცინო პროფილის (კარდიოლოგიური, ნევროლოგიური, და ა.შ.) კურორტები, კერძოდ, აბასთუმანი, ბაკურიანი, ბახმარო, ქობულეთი, შოვი, წალვერი და სხვ.

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 103 კურორტი და 167 საკურორტო ადგილი. ქვეყნის ტერიტორიები, სადაც სამკურნალო ჰავა და სამკურნალო მინერალური წყლებია, დასახლებული პუნქტებს წარმოადგენენ, ამიტომ შესაძლებელია, საკურორტო ადგილების რიცხვი ათასსაც აჭარბებდეს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აქვს უამრავი კურორტი, ეს იქნება ბალნეოლოგიური, სამთო, სათხილამურო, საზღვაო თუ მინერალური წყლებით მდიდარი ადგილები, მას დიდი პოტენციალი აქვს ზოგადად ტურიზმის და მათ შორის სამედიცინო რეკრეაციული ტურიზმის განვითარების კუთხით. ამ თვალსაზრისით მას ხელს უწყობს შესაშური გეოგრაფიული მდებარეობაც. ამიტომაც არის, რომ ამ სფეროს მკვლევრები, საერთაშორისო ტურიზმის სააგენტოები და ფასილიტატორი კომპანიები საქართველოს ამ სფეროში დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანაა. ვიზიტორებისთვის ერთგვარი აღმოჩენა, რომელიც თავისი პოტენციალითა და

მრავალფეროვნებით ქვეყნის განმეორებით მონახულების სურვილს აღძრავს. ბოლო წლებში საქართველო ტურისტების რჩეული ქვეყანაა, რისი მიზეზიცაა მისი გამორჩეული გეოგრაფიული მდებარეობა, ტურიზმის დიდი პოტენციალი, უსაფრთხოება, უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიები, სტუმართმოყვარეობა და მაღალი ხარისხის კვალიფიციური მედიცინა. საქართველოს სამკურნალო ტურიზმის მიმართულებით ძალზედ მდიდარია საკურორტო ადგილებით. საქართველოში 340 საკურორტო ადგილია ჯანმრთელობის აღდგენა-განმტკიცების, სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, მინერალური წყლებით, სამკურნალო ტალახებითა და სასურველი, ზომიერი ჰავით.

საქართველოში ტურიზმის სექტორი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ტექნოლოგიური ინოვაციების ზრდამ და ავიაბილეთებზე ფასების შემცირებამ მოგზაურობა ბევრად მეტი ადამიანისთვის გახადა ხელმისაწვდომი. 2016-დან 2018 წლამდე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2 მილიონზე მეტი ადამიანით გაიზარდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ტურიზმის სექტორის ზრდის მაჩვენებელი 37,6%-ია. ამ გარემოების გათვალისწინებით, არსებითია, რომ ტურიზმის სექტორში ჩართული კომპანიები კონცენტრირდებიან ხარისხზე, რათა შეინარჩუნონ პოზიცია სწრაფად მზარდ სექტორში. დღეს არსებული სტატისტიკური ინფორმაციით, საქართველოში ტურიზმიდან შემოსავლები ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში მილიარდ შვიდას მილიონ დოლარს შეადგენს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია (ვერულავა, 2016).

2003 წლიდან ქვეყანაში საფუძველი ეყრება ჯანდაცვის ახალ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს ჯანდაცვის პოლიტიკის ლიბერალიზაციასა და კონკურენციის ზრდას. 2014 წლის ბოლოსთვის კი ქვეყნის საწოლფონდის 84.3%-ის მფლობელი ხდება კერძო სექტორი. ამ სექტორში მათ მიერ მოზიდული პრემია მთლიანი სადაზღვევო ბაზრის 43.2%-ს, 74.1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ამის შემდეგ განხორციელდა ჯანდაცვის კიდევ რამდენიმე რეფორმა. ძლიერმა პოლიტიკურმა მხარდაჭერამ, მოიზიდა კერძო კომპანიები, რამაც განაპირობა კონკურენტული გარემოს შექმნა და მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება

საქართველოს ჯანდაცვის სექტორში. გარემონტდა, განახლდა კლინიკები, აღიჭურვა უახლესი აპარატურით.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმი დღეს ვითარდება. მას შეუძლია ვიზიტორების მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან მოზიდვა. დღეს საქართველოს სამედიცინო ტურიზმის ბაზრის მომხმარებელი ძირითადად დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდანაა. მისი ყველაზე ხშირი ვიზიტორებია დსთ-ისა და თურქეთის მოქალაქეები. თუმცა ბოლო წლებში ხშირია ვიზიტები შუა აღმოსავლეთიდან და ირანიდანაც. სამედიცინო ტურისტები ყველაზე ხშირად სარგებლობენ შემდეგი მომსახურებებით: სტომატოლოგია, კოსმეტიკური ქირურგია, კარდიოლოგია და უშვილობის მკურნალობა. ამ დარგებში საქართველოს სამედიცინო ტურიზმი კონკურენტუნარიანია მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორმა, ნინო მიქავამ გამოიკვლია საქართველოს ტურიზმის ბაზარი. მისი კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. მან შეაფასა სამედიცინო ტურიზმში საქართველოს პერსპექტივები. გამოიყენა არამხოლოდ ამ სფეროს მკვლევრების შეფასებები, არამედ ტურიზმის ინდუსტრიაში მონაწილე პირთა და სერვისით მოსარგებლეთა შეფასებებიც. მისი აზრით, პაციენტები მეზობელი, მოსაზღვრე ქვეყნებიდან, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ჩამოდიან უკეთესი სამედიცინო ხარისხის მიღების მიზნით. პაციენტების საქართველოში მოგზაურობას ხელს უწყობს ლიბერალური კანონმდებლობა და შესაბამისად, მათ აქ სასურველ სერვისებზე მიუწვდებათ ხელი. პაციენტების აქ ჩამოსვლის მიზეზად სახელდება მისაღები ხარისხი და ფასები. საქართველოში მოგზაურობისა და მკურნალობის არჩევისას პაციენტები ითვალისწინებენ ტურისტულად მომხიბვლელ პირობებს - მკურნალობასთან ერთად დასვენებისა და გართობის შესაძლებლობას. გარემო და უახლესი აპარატურით აღჭურვილი დაწესებულებები, სამედიცინო სერვისების ფართო სპექტრი მოთხოვნადს ხდის ამ კლინიკებს უახლოეს მეზობელი ქვეყნებისთვის. კვლევის რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია კულტურული სიახლოვე და ქვეყნის

ცნობადობა, ასევე ტერიტორიული სიახლოვე. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ნაცნობია საქართველოს კულტურა, ჯანდაცვა.

სამედიცინო სერვისები, რომელთა მისაღებადაც სამედიცინო ტურისტები საქართველოში ჩამოდიან, არის: სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, კარდიოქირურგია, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროტეზირება. რაც შეეხება პლასტიკური და კოსმეტიკური ქირურგიის მიმართულებებს, ყველაზე ხშირად პაციენტები ჩამოდიან ისეთი სერვისების მისაღებად, როგორც არის რინოპლასტიკა, აბდომინოპლასტიკა, მკერდის კორექცია, ფეისლიფტინგი, თმის გადანერგვა, ლიპოსაქცია, ბლუფაროპლასტიკა (ქუთუთოების კორექცია), სლიპოფილინგი (საკუთარი ცხიმით ყვრიმალეების გადიდება, ფეისლიფტის დროს). რეპროდუქციული სერვისების მიმართულებით იღებენ შემდეგ მომსახურებებს: სუროგაცია, ინ-ვიტრო განაყოფიერება; სტომატოლოგიის მიმართულებით - იმპლანტაციასა და პროტეზირებას.

სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე საქართველო კონკურენციას ვერ გაუწევს ისეთ ქვეყნებს, რომლებშიც სამედიცინო ტურიზმის განსავითარებლად მეტი სახსრები გამოიყოფა. მან უნდა გამოიყენოს თავისი ყველა უპირატესობა და შესაბამისი ბერკეტები დარგის განსავითარებლად. იმ დიდი კონკურენციის ფონზე, რომელიც დღეს ამ ბაზარზეა, საქართველოს თავის დამკვიდრება გაუჭირდება. პირველ რიგში მან უნდა შეისწავლოს ბაზარი, ბაზრის მოთხოვნები, სამედიცინო ტურისტების საჭიროებები, დაადგინოს ფაქტორები, რომლებიც მათ საქართველოში მოგზაურობას განაპირობებს და აქცენტები გააკეთოს თავის ძლიერ მხარეებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის დადგენილებით, 2019 წლის დასაწყისში ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის პრიორიტეტულად მიმართულებებად განისაზღვრა: კარდიოქირურგია, პლასტიკური ქირურგია და სტომატოლოგია. ქვეყანას სამივე მიმართულებით შეუძლია წარმატების მიღწევა. სამივე მიმართულება საქართველოში მაღალ დონეზეა განვითარებული, გვყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, გვაქვს კონკურენტული უპირატესობა კავკასიის რეგიონში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით. სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო საშუაშაგლო კომპანიების ხელმძღვანელი

პირები და წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საქართველოში საკმაოდ ბევრი კარგი კლინიკაა, რომლებიც მომსახურების ხარისხით თურქეთის კლინიკებსაც კი გაუწევენ კონკურენციას. სამედიცინო ტურისტებისთვის მომხიბლავია სერვისების ფასიც.

ექსპერტების აზრით, კიდევ სამწლიანი მუშაობა იქნება საჭირო იმისთვის, რომ მსოფლიო გლობალურ ბაზარზე მოხდეს საქართველოს, როგორც ტურისტული დესტინაციის გაცნობა. ტურისტულ ბაზარზე საქართველოს შანსების შეფასებისას, ისინი ხაზს უსვამენ სამ ასპექტს, რომელთა გაუმჯობესებაც აუცილებელია საქართველოში ამ ბიზნესის განსავითარებლად. ესენია:

- კლინიკების სტანდარტიზაცია;
- წარუმატებელი შემთხვევების დაზღვევა;
- სპეციალურად სამედიცინო ტურისტებისთვის შეთავაზებული ფასდაკლებები ავიაბილეთებზე, პირდაპირი ავიარეისები ტურისტების დონორ ქვეყნებთან.

ექსპერტთა აზრით, ევროპიდან ან ისრაელიდან საქართველოში არ ჩამოვლენ იმ სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რომლის საფასურსაც პაციენტს საცხოვრებელ ქვეყანაში ადგილობრივი დაზღვევა უფარავს. ისინი ამ მომსახურებას ადგილზე ჩაიტარებენ. ცივილიზებული ქვეყნებიდან ჩამოვლენ პლასტიკური ქირურგიის, სტომატოლოგიის, თმის გადანერგვისა და შესაძლოა სპა-თერაპიისთვის. შესაძლოა ჩამოვიდნენ ღვიძლის გადანერგვისთვის, თუ ეს მომსახურება პაციენტს სჭირდება სასწრაფოდ, საკუთარ ქვეყანაში კი რიგებია.

მათივე აზრით, საქართველომ თავისი როლი უნდა გამოკვეთოს და საკუთარი ნიშა დაიჭიროს სამედიცინო ტურიზმის გლობალურ ბაზარზე. სამედიცინო ტურიზმის საბჭოს პრეზიდენტის სიტყვებით, „ჩვენ ვართ რეგიონული მოთამაშეები და უნდა გვქონდეს ზომიერი რეალისტური ამბიცია. ეს არის კავკასია, ჩვენი მომიჯნავე რეგიონებია, პირველი ზოლი - ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი. მეზობლები გვყავს, რომლებიც ჩვენგან განსხვავებით გამრავლების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან, მაგალითად, ჩეჩნეთი და აზერბაიჯანიც. საკმაოდ დიდი მოსახლეობაა ჩვენს მომიჯნავე აზერბაიჯანში - საინგილო, შამქირი, მინგეჩაური, განჯა. შემდეგი ზოლია ყაზახეთი, აქტაოს მხარე და მესამე ზოლი კიდევ

უფრო ფართო სამეზობლო, საიდანაც შეიძლება იყოს პირდაპირი რეისი და 2-საათიანი ფრენა, რომ იყო კონკურენტული. პირდაპირი რეისი აუცილებლობაა სხვა შემთხვევაში კონკურენციის გაწევა ძალიან გაჭირდება. შუა აზია მთლიანად, ყველა ქვეყანა მესამე ზოლში ჯდება“ (მიქავა, 2020).

სამედიცინო პაციენტებს მოსაზღვრე თუ ყოფილი დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოში იზიდავთ სამედიცინო მომსახურების ხარისხი. კვლევამ დაადასტურა, რომ მთავარია პროფესიონალიზმი და ხარისხი. მათთვის მნიშვნელოვანია ფასიც, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალიზმთან კომბინაციაში. ხარისხს კი განაპირობებს უახლესი აპარატურა, ტექნოლოგიები, კვალიფიციური მუშაკები. სამედიცინო მომსახურების ხარისხით შესაძლოა სხვა ქვეყნები მეტად გამოირჩეოდნენ, მაგალითად, თურქეთი, ჩინეთი ან კორეა, მაგრამ პაციენტები ირჩევენ საქართველოს და არა იმ ქვეყნებს, რადგან იქ გაცილებით მაღალია სამედიცინო სერვისების, ქვეყანაში ცხოვრების, მოგზაურობის ხარჯები. ცალკე გამოყოფას იმსახურებს სომხეთი, საიდანაც ტურისტები ჩამოდიან სწორედ ფასის გამო, სამედიცინო მომსახურება იქაც ხარისხიანია (მიქავა, 2020)

ჩვენის აზრით, საქართველოში უცხოელი პაციენტების სამკურნალოდ ჩამოსვლის ძირითად მოტივაციაა მაღალტექნოლოგიური, უახლესი მეთოდებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები, მომსახურების ხარისხი, დაბალი ფასები მომსახურებაზე, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში და კულტურული სიახლოვე.

ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ჩამომსვლელი სამკურნალო ტურისტების უმეტესობის სამშობლო დსთ-ის ქვეყნებია, მათთვის სხვა მამოტივირებელ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანია კულტურული სიახლოვე. მათთვის ნაცნობია საქართველოს კულტურა, ხალხი და ჯანდაცვა.

როგორც უკვე ითქვა, რეპროდუქციული სერვისების - სუროგაცია, ინ-ვიტროს მისაღებად სამედიცინო ტურისტების აქ ჩამოსვლას ხელს უწყობს საქართველოს ლიბერალური კანონმდებლობა და სასურველ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რაც იმ ქვეყნებში, სადაც ნებადართულია, დიდ ბიუროკრატias უკავშირდება. ასევე მომსახურება არის ძვირადღირებული. შესაძლებელია ეს მომსახურება სამჯერ და

მეტჯერ ძვირი ღირდეს მათ ქვეყნებში, ვიდრე საქართველოში, სადაც მისი საშუალო ღირებულება 15 000\$-ია (მიქავა, 2020).

პლასტიკური ქირურგიის შემთხვევაში, პაციენტისთვის ხარისხისა და ფასის მისაღები კომბინაციის გარდა, აქ ჩამოსვლის განმაპირობებელი მიზეზად შეიძლება იქცეს ტურისტულად მომხიბვლელი გარემო, მკურნალობასთან ერთად კარგად დასვენებისა და გართობის შესაძლებლობა. პლასტიკური ქირურგიისთვის აქ ჩამოსვლის მიზეზად სახელდება კვალიფიციური ექიმები, მაღალი ტექნოლოგიები, კომფორტული გარემო და ყველაზე მთავარი ხელმისაწვდომი ფასი. თერმაჟის ერთი პროცედურის ფასი ამერიკაში 5 000\$-ია, ჩვენთან კი ის 3 900 ლარი ღირს. ქირურგიაში სამედიცინო ტურისტების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ჩარევაა - რინოპლასტიკა. მაგალითად, რინოპლასტიკა კარგ ქირურგთან ისრაელში თუ ღირს 8-9,000 დოლარი, საქართველოში ამ ოპერაციის ღირებულება საშუალოდ არის 1,700-1,800 დოლარი.

სტომატოლოგიის მიმართულებით სამედიცინო ტურისტების რიცხვის ზრდა განპირობებულია იმით, რომ ეს ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად ძვირიანი სერვისია, რომელიც განვითარებული ქვეყნების უმეტესობაშიც კი არ ფინანსდება. ხოლო ფასს შორის სხვაობა კი 70%-80%-ია. ამ სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა განსაკუთრებით იზრდება ზაფხულის განმავლობაში. ხშირად ჩამოდიან დუბაიდან, ყატარიდან, ირლანდიიდან, ამერიკიდანაც კი.

რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს საქართველოში, რომლებიც აფერხებს საქართველოს, როგორც სამედიცინო დესტინაციად ქვეყნის ჩამოყალიბებას:

ექსპერტები ფიქრობენ, რომ პირველ რიგში ეს არის საქართველოს პოზიციონირების საკითხი სამედიცინო მსოფლიო ტურიზმის გლობალურ ბაზარზე. ფაქტობრივად არ ხდება მისი შესაძლებლობებისა თუ ბუნებრივი მოცემულობის პოპულარიზება. საჭიროა მსოფლიო ბაზარზე ცნობადობის ამაღლება, ინფორმაციის გავრცელებაზე მუშაობა - ქვეყნის, მისი კულტურული, ისტორიული, გასართობი ადგილების თუ საკურორტო ზონების შესახებ, ასევე ჯანდაცვის სერვისებისა და ხარისხის შესახებ. მათი აზრით, აუცილებელია ქვეყნის პრომოცია. კლინიკების

ხელმძღვანელთა და საბჭოს პრეზიდენტის აზრით, საკმარისი არ არის ერთი რომელიმე კლინიკის ხარისხი და კვალიფიკაცია. გლობალურად საქართველო მსოფლიო ბაზარზე არ აღიქმება, როგორც სამედიცინო დესტინაციის ქვეყანა, რომელსაც ბევრი ქვეყნისთვის შეუძლია კონკურენციის გაწევა.

საჭიროა მთავრობის განსაკუთრებული მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს საქართველოს ცნობადობა, თორემ ხშირია შემთხვევები, როცა შუამავალი კომპანიები კლიენტს სთავაზობენ მომსახურების საქართველოში მიღებას, მას კი ამ ქვეყნის ინფორმაცია არ აქვს და შეთავაზებას ეჭვის თვალთ უყურებს.

ამიტომ აუცილებელია ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კამპანიაში, მათ შორის სამიზნე ქვეყნებში დიპლომატიური არხების საშუალებით მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას. საჭიროა შესაბამისი სტრუქტურების ინტეგრირებული მუშაობა და სტრატეგიული გეგმის დასახვა, ქვეყნის აქტიური პოპულარიზაცია ტურიზმის გლობალურ ბაზარზე, ინვესტიციების განხორციელება.

დღეს ტურიზმის ბაზარზე მოთამაშე წარმატებული ქვეყნების, ეს იქნება თურქეთი, აზიის ქვეყნები, კორეა, არაბეთის ქვეყნები თუ სხვა, თავის დროზე წინ უძღოდა ხელისუფლების დიდი მხარდაჭერა. რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ სფეროს განვითარების საქმეში.

2019 წელს შექმნილმა ტურიზმის საბჭომ, რომელიც ამ ეტაპზე ექვს კლინიკას აერთიანებს, შექმნა ონლაინპორტალი Treat in Georgia, სადაც განთავსებულია ინფორმაცია საქართველოს ჯანდაცვის სექტორის, წვერი კლინიკებისა და წვერი სპა-კურორტების შესახებ. დაგეგმილია სამიზნე ქვეყნებისკენ მიმართული სამიზნე კამპანია, ინფოტურები სამიზნე ქვეყნების სამედიცინო ტურიზმის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, ასევე იგეგმება კონფერენციების ორგანიზება, სამედიცინო ტურიზმის სტატისტიკის წარმოება და ანალიზი, კლინიკების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით - მედიატორობა აკრედიტაციის პროცესში და სერვისის სტანდარტების შემუშავება წვერი კლინიკებისთვის და ა.შ.

ბევრი საერთაშორისო ექსპერტისა და ორგანიზაციის აზრით, საქართველოს სამედიცინო ბაზარი მეტად სპეციფიკურია. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებები ასეთი პროპორციით. სხვა ქვეყნებში სამედიცინო ტურისტებს იზიდავენ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო კლინიკებში სამკურნალოდ, ამიტომ ხელისუფლება მეტად არის მონდომებული, რომ ეს ბაზარი განავითაროს და მეტი ინვესტიცია და სუბსიდია ჩადოს ამ საქმეში. თუმცა ამ სექტორის განვითარებით ის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ინტერესდებოდეს, რადგან ეს არის ბიზნესი, რომელსაც არ ახასიათებს სეზონურობა და ახასიათებს გვერდითი სარგებელი სხვა მომიჯნავე სექტორისა თუ ინდუსტრიისთვის. ზოგიერთი მომსახურების მისაღებად უცხოელ ტურისტს შეიძლება რამდენჯერმე მოუხდეს ჩამოსვლა. ეს სახელმწიფოსთვის სამედიცინო სექტორიდან შემოსული დამატებითი შემოსავალია. სამედიცინო ტურიზმის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სარგებელი ისიცაა, რომ ის მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ჯანდაცვის სექტორის განვითარების თვალსაზრისითაც.

იმისთვის, რომ სამედიცინო ტურიზმის განვითარდეს, ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, სამედიცინო დაწესებულების ხარისხი პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე აუცილებელია საერთაშორისო აკრედიტაციის ფლობა.

ჯანდაცვის სამინისტრომ 2016 წელს გააკეთა თბილისის ათი ყველაზე დიდი კლინიკის შემოწმების ანგარიში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კლინიკურ სექტორში პრობლემები არსებობს ხარისხის მიმართულებით, სუსტია ხარისხის რეგულირება და მონიტორინგი. შემოწმებული კლინიკებიდან ვერცერთმა სრულად ვერ დააკმაყოფილა სანებართვო პირობებიც კი. ექსპერტთა აზრით, პრობლემები ხარისხის მიმართულებით არსებობს. აუცილებელია, გაძლიერდეს ჯანდაცვის სამინისტროს როლი ხარისხის რეგულირებასა და მონიტორინგში, ასევე, სამედიცინო სერვისების სტანდარტიზაცია. სერვისების სტანდარტიზების პრობლემა ექსპერტების მიერ დღეს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელდება.

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დაწესებულების ზოგიერთ ხელმძღვანელ პირს და ფასილიტატორი კამპანიების წარმომადგენელთა მესამედს სამედიცინო ტურიზმის ბაზრის გაზრდის მნიშვნელოვან მოთხოვნად არ მიაჩნია სამედიცინო აკრედიტაცია, (ვინაიდან აქ ჩამოსული სამედიცინო ტურისტები ამ მომენტს მნიშვნელოვნად არ მიიჩნევენ), სამედიცინო ტურიზმის საბჭო აუცილებლად მიიჩნევს აკრედიტაციის პროცესის დაწყებას ქვეყნის გლობალურ ბაზარზე პოზიციონირებისთვის.

საერთაშორისო აკრედიტაციის ფლობა აუცილებელია იმისთვისაც, რომ საზღვარგარეთის სადაზღვევო კომპანიებთან და ფონდებთან კონტრაქტის გაფორმება შეძლო. დღესდღეობით საქართველოში JCI აკრედიტაცია აქვს მხოლოდ ერთ კლინიკას - „მედიქლაბს“, ჩაფიძის კლინიკას აქვს KTQ აკრედიტაცია, სერტიფიცირების მოლოდინშია სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“.

აკრედიტაცია დღეს სამედიცინო ტურიზმის განმსაზღვრელი არ არის, მაგრამ აკრედიტაცია არის იარაღი, მოიწვიო უცხოელი სპეციალისტები ოპერაციის ჩასატარებლად. მაგალითად, თუ თავიანთ ქვეყანაში ოპერაცია ღირს 65 000-ად ჩვენთან ჩატარდება 25 000\$-ად, რაც შეიძლება დამატებით მოტივაციად იქცეს პაციენტისთვის ჩვენს ქვეყანაში ოპერაციის ჩასატარებლად. გარდა ამისა, აკრედიტაციის ქონის პირობებში ზოგიერთი დასავლური სადაზღვევო თავის მოქალაქეს საზღვარგარეთ სწორედ აკრედიტებული სამედიცინო დაწესებულების მომსახურებას უფარავს.

სამედიცინო ტურიზმის განსავითარებელ ფაქტორად ხშირად სახელდება ექიმის სახელი, კვალიფიკაცია და ცნობადობა. ოღონდ ეს მაშინ, როცა ექიმი ერთი რომელიმე კლინიკის სახეა და მხოლოდ იქ მუშაობს. ჩვენთან კი ერთი და იგივე ექიმი შესაძლებელია სამ სხვადასხვა კლინიკაში მუშაობდეს. ინფორმაცია ექიმის განათლებასა და კვალიფიკაციაზე მითითებული უნდა იყოს ვებსაიტზე. თუ ექიმი საერთაშორისო ასოციაციის წევრია ან რამე მნიშვნელოვანი მიღწევა აქვს, ეს დადებითად აისახება კლინიკის რეპუტაციაზე.

სამედიცინო ტურიზმის ფასილიტატორი კომპანიების წარმომადგენელთა აზრით, პაციენტების შიშის მიზეზი ძირითადად გარანტიების არარსებობაა. ისინი

შიშობენ, რომ დახვედებით მკურნალობის დაბალი ხარისხი, გაზრდილი ფასი, დაინფიცირდებიან, მაგალითად, C ჰეპატიტით ან აივ-ინფექციით, ჩაუტარებენ უხარისხო მკურნალობას და შემდეგ ის იძულებული გახდება მკურნალობა გააგრძელოს ამ პრობლემების მოსაგვარებლად. ეს ყველაფერი არის მხოლოდ კლინიკის პასუხისმგებლობაზე. სახელმწიფო ამ საკითხში არაფერს არეგულირებს.

გარდა იმისა, რომ ჰოსპიტალურ სექტორში საერთაშორისო აკრედიტაცია სულ ერთ კლინიკას აქვს მინიჭებული, ასევე პროვაიდერი კომპანიების მიერ ექიმ-სპეციალისტების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ძალიან დაბალი მაჩვენებელია. საქართველოში სულ თითზე ჩამოსათვლელი ექიმებია, რომლებიც პროფესიულ საქმიანობაში არსებულ რისკებს აზღვევენ. საქართველოში კლინიკების მხრიდან ოპერატიულობის პრობლემაც დგას. თავად კლინიკების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ აგენტის მიერ დასმულ შეკითხვას სჭირდება დროული, ოპერატიული რეაგირება. თუ შეკითხვაზე ოპერატიულად არ ხდება პასუხის გაცემა, მაქსიმუმ 48 საათში, ეს მოთხოვნა კლინიკისთვის დაკარგულია. ამით კლინიკა კარგავს შემოსავლის მოცემულ წყაროს და ასევე ზარალდება მისი რეპუტაცია სააგენტოს თვალში.

ხშირად ექიმები და კლინიკა მზად არიან პაციენტის მისაღებად, მაგრამ ქვედა რგოლზე იქმნება მენეჯმენტის პრობლემა. არ ხდება დროული პასუხების მიწოდება შეკითხვებზე. და ამგვარად ილახება კლინიკის ავტორიტეტი სააგენტოს თვალში. ამიტომ მეტი მუშაობაა საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდებისა და დროული რეაგირების კუთხით.

სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიის უკვე განუყოფელი ნაწილია ამ სერვისით მოსარგებლე ადამიანისთვის მომსახურების სრული პაკეტის შეთავაზება - დახვედრა, დაბინავება, ტრანსპორტირება, მენიუს ფართო არჩევანი (კულტურის და რელიგიის შესაბამისად, ქაშერული მენიუ და ა.შ.), ბიზნესლაუნჯი დიაგნოსტიკური სერვისების დროს და სხვა. ასეთ მომსახურებას საქართველოში სულ თითზე ჩამოსათვლელი კლინიკები ახორციელებენ. სააგენტოების წარმომადგენელთა თქმით, სამედიცინო ტურიზმით მოსარგებლე ტურისტების მხრიდან არის მოთხოვნა იმაზე, რომ დაბინავდნენ კლინიკაში, იქვე იყვნენ და არ მოუწიოთ გასვლა. თუმცა

ასეთ მომსახურებას, იშვიათი გამონაკლისების გარდა, საქართველოში პაციენტებს დღეს ვერ სთავაზობენ. თუმცა რამდენიმე კლინიკა გეგმავს სასტუმროს მშენებლობას იმ მიზნით, რომ მომსახურების მისაღებად ჩამოსულ სამედიცინო ტურისტებს სასტუმროს სერვისი შესთავაზოს.

სამედიცინო ტურისტებისთვის კიდევ ერთ ბარიერად შეიძლება დასახელდეს სამედიცინო პერსონალის მხრიდან ენის ფლობის საკითხი. განსაკუთრებით საგრძნობია ეს პლასტიკური ქირურგიის სფეროში, როცა პაციენტი ვერ ახერხებს ზუსტად აუხსნას ექიმს, რის შეცვლა და კორექტირება სჭირდება. თუმცა კლინიკის ხელმძღვანელი პირების აზრით, ეს პრობლემა მათ კლინიკებში არ არსებობს, რადგან ჰყავთ რუსულისა და ინგლისურის თარჯიმანი. ერთ-ერთ კლინიკას, რომელსაც ბევრი ისრაელელი პაციენტი ჰყავს, კონტრაქტით თანამშრომლობს ივრითის თარჯიმანთან.

პრობლემები ამ თვალსაზრისით უდავოდ არსებობს, რადგან პაციენტთან პირველ კომუნიკაციაზეა დიდწილად დამოკიდებული კლინიკისა და მისით მოსარგებლის მომავალი ურთიერთობა. კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის, მათ შორის პაციენტსა და მედპერსონალს შორის კომუნიკაცია.

დღეს საქართველოს სამედიცინო ტურიზმის ბაზრის პრობლემათა ჩამონათვალშია ისიც, რომ საუდის არაბეთიდან, ირანიდან, ყატარიდან ჩამოსულ სამედიცინო ტურისტებს რელიგია უკრძალავთ საპირისპირო სქესის ექიმთან მკურნალობას, ანუ მამაკაცები მხოლოდ მამაკაც ექიმთან მიდიან, ქალები მხოლოდ ქალთან. უფრო მეტიც - ფლიგელში, სადაც რამდენიმე პალატაა, არსად არ უნდა იწვევს საპირისპირო სქესის პაციენტი. იმის გამო, რომ საქართველოს პლასტიკური ქირურგიის კლინიკებს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეუძლიათ, ისინი იძულებული ხდებიან დაკარგონ ამ ქვეყნების კლიენტები.

მსოფლიო გლობალური ტურიზმის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს კლინიკები მომხმარებელს იაფიან სერვისს სთავაზობენ, თუმცა აქ ვაწყდებით ერთ პრობლემას - კლინიკების ძალიან მცირე ნაწილი სთავაზობს უცხოელ პაციენტს მომსახურებას იმავე ფასად, რა ფასადაც საკუთარი ქვეყნის

მოქალაქეს მოემსახურებოდა. როცა საკითხი ეხება უცხოელი პაციენტის მკურნალობის ხარჯებს, კლინიკების უმეტესობა სარგებლობს 1.3 ან 1.5 კოეფიციენტით.

საშუამავლო კომპანიების აზრით, ეს არის პრობლემა და მოჰყავთ თურქეთის მაგალითი, სადაც მნიშვნელობა არ აქვს რომელი ქვეყნის მოქალაქეა პაციენტი, ფასი არის ერთი და იგივე, ამ ფასიდან ახდენს კლინიკა სააგენტოსთან ანგარიშსწორებას. აქ კი, თუ პაციენტი უკავშირდება საშუამავლო კომპანიას, იქ ეუბნებიან სხვა ფასს. პირდაპირ კლინიკასთან დაკავშირებით ის გაცილებით მოგებულა. იმ შემთხვევაში, თუ ის კლინიკაში გადაამოწმებს სააგენტოს ჩვენებას, ბუნებრივია, გაუჩნდება უნდობლობა და შეგრძნება, რომ ატყუებენ.

სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიაში გამოცდილი პრაქტიკაა და ძალიან მნიშვნელოვანია სერვისების პაკეტებად დაყოფა. რა შედის პაკეტში - მკაფიოდ მითითებული ფასები, დამატებითი სერვისები და ა.შ. ყველა უპირატესობა უნდა იყოს ცხადად აღწერილი. მაგალითად, ერთ-ერთი პლასტიკური ქირურგიის კლინიკას აქვს ასაკის მიხედვით დიფერენცირებული სამი პაკეტი - 25-35 წლის ასაკისთვის, 35-50, და 50-65 წლის ასაკობრივი კატეგორიებად დაყოფილი. ასევე ნათლად უნდა გაიწეროს სერვისების ფასი, მაგალითად, თმის გადანერგვის შემთხვევაში, ამ ოპერაციის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა გაიწეროს ფასები თმის გრაფტების რაოდენობის მიხედვით.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია პირდაპირი რეისების ნაკლებობა სამიზნე ქვეყნებიდან. სფეროს ექსპერტების აზრით, უზბეკეთთან, ჩეჩნეთთან, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებთან აუცილებელია პირდაპირი რეისების დანიშვნა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ბიზნესის განვითარებას. მაგალითად, ატაოს მხრიდან 40-წუთიანი რეისი მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა პაციენტების მოზიდვის საქმეში.

სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებშიც დასტურდება, რომ კომფორტულ ტრანსპორტირებას კრიტიკული როლი აქვს სამედიცინო ტურიზმის განვითარებაში

და სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორია სამიზნე ქვეყნებთან ავიარების არარსებობა.

ექსპერტების აზრით - ტრანსპორტირება და საინფორმაციო ტექნოლოგიები სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხერხემალია. მაგალითად, თურქეთის წარმატებას ამ სფეროში სწორედ ავიაკომპანიის გამართულ და მიზნობრივ მუშაობას უკავშირებენ. მას პირდაპირი რეისი აქვს 200-ზე მეტ ქვეყანასთან. შიდა ფრენებიც კარგად აქვს ორგანიზებული. მიუხედავად ამისა, ანატოლიის ტურიზმის სააგენტოს გენერალურმა მდივანმა, ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში ტურიზმის განვითარების შემაფერხებელ გარემოებად სწორედ სამიზნე ქვეყნებიდან ერზურუმის რეგიონთან პირდაპირი რეისების არარსებობა დაასახელა.

რაც შეეხება საქართველოს კონკურენტებს სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე, ექსპერტების აზრით, სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა სფეროში საქართველოს სხვადასხვა კონკურენტი ჰყავს. ყველა ბაზარს თავისი სპეციფიკა აქვს. განსხვავდება ბაზრების მიხედვით სამედიცინო ტურიზმის საჭიროებებიც. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელ ქვეყანაში რომელი სამედიცინო სერვისია ნაკლებად განვითარებული. მაგალითად: ყაზახეთის ბაზრის კონკურენტია სამხრეთი კორეა, ხოლო კარდიოქირურგიის მიმართულებით მას სხვა კონკურენტი ჰყავს - ინდოეთი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სერიოზული კონკურენტი სამხრეთი კორეა, სადაც ბოლო წლებში სამედიცინო ტურიზმი ძალიან განვითარდა. ქვეყანამ დიდი სამუშაოები ჩაატარა და ამ კუთხით და დიდი ინვესტიციები განახორციელა. თურქეთს კორეამ უკვე წაართვა რამდენიმე სამიზნე ბაზარი და სერიოზულ კონკურენციას უწევს სხვა ბაზრებზეც. სამხრეთ კორეაში მედიცინა მაღალ დონეზეა განვითარებული, თუმცა შესაბამისად, ფასებიც მაღალია, ვიდრე საქართველოში (მიქავა, 2020).

სამიზნე ბაზრების მოპოვებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით თურქეთი საქართველოს მთავარი კონკურენტი. თურქეთში მაღალ დონეზეა განვითარებული ჯანდაცვის სექტორი, სამედიცინო ტურიზმის მიმართულება და მომხმარებელთა სერვისი, თუმცა ფასებიც უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში.

სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე პლასტიკური ქირურგიის კუთხით ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა ტაილანდი, თუმცა ექსპერტთა აზრით, ბოლო პერიოდში ტაილანდმა ბევრი ხარვეზი გამოავლინა, მაგალითად, სქესის შეცვლის ოპერაციების დროს. ამიტომ მასთან კონკურენცია შედარებით გამარტივდა.

დაახლოებით მსგავსი სურათია უკრაინასთან მიმართებითაც, რომელიც საქართველოს კონკურენტია ინ-ვიტროსა და სუროგაციის მიმართულებით. ბოლო წლებში გახმაურდა ფაქტები, როცა უკრაინაში სუროგაციის ნაცვლად სერვისით მოსარგებლებს უკვე ორსულ დონორებს წარუდგენდნენ, როგორც სუროგატებს. ამ ფაქტმა შეასუსტა საშუამავლო სააგენტოების მიმართ ნდობა, რამაც გაამარტივა საქართველოს მხრიდან კონკურენცია და ამ მიმართულებით პაციენტების მოზიდვა. ექსპერტების აზრით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამედიცინო პერსონალის განათლების საკითხი. მაგალითად, თურქეთის წარმატებას სამედიცინო ტურიზმში დიდწილად უკავშირებენ მისი მთავრობის სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა იმ მიზნით, რომ სამედიცინო პერსონალს სწავლა-განათლება დასავლეთის ქვეყნებში მიეღო.

საშუამავლო სააგენტოებსა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვანია სამედიცინო სტუდენტების განათლების საკითხი. მათ აუცილებლად მიაჩნიათ სამედიცინო განათლების რეფორმა; ასევე - ექიმ-სპეციალისტების უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების დანერგვა საქართველოში. კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, ქვეყანაში სამეცნიერო კვლევების სტიმულირება პრაქტიკოსი ექიმების ჩართულობით და ა.შ.

2.3. პოსტკრიზისულ პერიოდში რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის ბაზრის მოდერნიზაციის პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა

ისევე, როგორც ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, სამედიცინო ტურიზმის ბაზარი, ეკონომიკური თეორიების კლასიკური წარმოდგენების შესაბამისად, განიცდის არა მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური ციკლის ცვალებადობის გავლენას, რომელიც აჩქარებს ინფრასტრუქტურისა და ძირითად საშუალებათა ცვეთას, არამედ მნიშვნელოვანწილად სხვადასხვა ხასიათის კრიზისული მოვლენის გავლენას.

ბევრ სამეცნიერო წყაროში (Hajioff, 2007; Medical Tourism...; Гришин, 2014; Какабадзе, 2019) აღწერილია სამედიცინო ტურიზმისთვის დასაშვები პირობები, გარემოებები და საბაზრო სისტემაზე კრიზისის გავლენის შედეგები, ეკონომიკურ სიკეთეებზე მოთხოვნილების დაცემისა და წინადადებების რაოდენობის შემცირების პროცესი. ორგანიზაციებისა და წარმოებების საფასო და სასაქონლო პოლიტიკის დისბალანსის ძირითად მიზეზად ისინი გამოყოფენ სხვადასხვა ეკონომიკურ პროცესსა და მოვლენას.

მათ შორის უნდა აღინიშნოს:

1. მყიდველობითი უნარის დაქვეითება, რაც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნილების დაქვეითებასთან, და მივყავართ ისეთ მოვლენასთან, რომელსაც ეწოდება „მოთხოვნილების გადადება“. შესაბამისად, ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული ფული დანახარჯების სამომხმარებლო კალათაში გადაინაცვლებს. მოცემული მოსაზრება სამედიცინო ტურიზმის ბაზრის პირობებში მხოლოდ ნაწილობრივად გამართლებული - აქ მოქმედებს მხოლოდ დროის ფაქტორი, როდის გააკეთებ შენაძენს: მომხმარებელს შეუძლია გარკვეული პერიოდის შემდეგ გადადოს ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურების მიღება, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ დააზარალებს მის ჯანმრთელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მოქმედებს მკურნალი ექიმის რჩევების შესაბამისად. და მზად არის აუცილებელი ხარჯების გასაწევად, როცა ამას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს.

ამას განაპირობებს:

თვითონ ოპერაციის პრიორიტეტულობა ან პარალელურად სხვა სამოტივაციო პირობების არსებობა (მაგალითად, ამა თუ იმ ღირსშესანიშნაობის მონახულება, სერვისის ხარისხიანობა, სამედიცინო დაწესებულების იმიჯი და სხვა);

მნიშვნელოვანი ეკონომია თანმდევ თუ დამატებით მომსახურებებზე (მომსახურე სამედიცინო პერსონალის მომსახურებაზე ხარჯების შემცირება, ნაკლები ხარჯები ასევე კვებაზე, გართობაზე, საცხოვრებელზე);

მოგზაურობის დაფინანსების ახალი საშუალებებისა და მექანიზმების გამოჩენა (არა მხოლოდ როგორც ფიზიკური პირის, საკუთარი ან ნასესხები საშუალება, არამედ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების, სპონსორობის, ქველმოქმედების პროგრამების საშუალებით).

2. ინფლაციის ტემპის ზრდა, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც მომხმარებელზე (მომსახურების შემცირების საშუალების არქონა, რომლის მიზეზია ინფლაცია. მომხმარებელი გეგმავდა სხვა საფასურის გადახდას მომსახურებაში, ინფლაციამ კი ეს ფასი რამდენადმე გაზრდა), ასევე მწარმოებელზე (წარმოების ან რომელიმე ეკონომიკური სიკეთის კეთების სტიმულის დაქვეითება ან სულაც გაქრობა).

3. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ისეთი სპეციფიკური მოვლენა, როგორცაა მომსახურების მიწოდების ინფლაცია, რომელსაც მივყავართ ოპერაციების ეფექტურობის დაქვეითებასთან და გაყიდვების მოცულობის შემცირებასთან, რომელიც გამოწვეულია ხარჯების ზრდით. ეს უკანასკნელი კი უკავშირდება საწარმოო ან მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევის პროცესს, რაშიც დამნაშავე ზოგ შემთხვევაში შეიძლება მწარმოებელიც კი იყოს (მაგალითად, სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე - სამედიცინო ტექნიკის ცვეთით გამოწვეული დანახარჯების ზრდა და მომსახურების ხარისხის დაცემა).

4. უმუშევრობის ზრდა, რაც, ბუნებრივია, იწვევს შეთანხმებათა რიცხვის შემცირებას. ცხადია, უმუშევრობის პირობებში ადამიანს უჭირს მოგზაურობის დაგეგმვა, ხშირ შემთხვევაში მაშინაც კი, როცა ეს მოგზაურობა პარალელურად

მკურნალობასაც ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს უმუშევრობის ისეთი სახეები, როგორცაა: სტრუქტურული (რომელიც უკავშირდება ნაციონალური ეკონომიკის დარგობრივ ცვლილებას, რასაც მივყავართ მოკლე და საშუალოვადიანი მოთხოვნების საგრძნობლად შემცირებამდე) და ციკლური (რომელიც უკავშირდება ეკონომიკური ციკლის ახალ ეტაპს - ციკლურ დაცემას, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა დარგზე).

5. სავალუტო კურსის დინამიკაში ცვლილება შესაძლებელია სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე აისახოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. რაც მაღალია ნაციონალური ვალუტის დევალვაციის დონე, მით მეტ კონკურენტულ უპირატესობას იძენენ შესაბამისი სამედიცინო ორგანიზაციები. ამასთან გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში აუცილებლად უნდა გასათვალისწინებელ ფაქტორთა შორის, რომლებიც გულისხმობს - შიდა ტურიზმის უპირატესობას გასვლითზე, დესტინაციის ან რეგიონის საექსპორტო შესაძლებლობებს, რომლის ტერიტორიაზეც რეალიზდება სამედიცინო ტურიზმის პროგრამები, მოიაზრება - მომავალი სავალუტო კურსის პროგნოზებიც.

ის ცვლილებები სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე, რომლებსაც კრიზისულ მდგომარეობამდე მივყავართ, ყოველთვის არ უკავშირდება ეკონომიკურ პრობლემებს. იმ არაეკონომიკური ხასიათის მიზეზთა რიცხვს, რომელიც იწვევს საბაზრო კონიუნქტურის გაუარესებას, უნდა მივაკუთვნოთ:

- ა). პოლიტიკური ამინდის ცვლილება, საომარი მოქმედებები, ტერორისტული მუქარა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტები და ა.შ.;
- ბ). საგანგებო მდგომარეობები, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივი კლიმატური და ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას;
- გ). ადამიანის მოღვაწეობით გამოწვეული ტექნოლოგიური კატასტროფები და საგანგებო ვითარებები;
- დ). ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და ა.შ.

მსოფლიო და ნაციონალურ ბაზარზე გაუთვალისწინებელი და ნაკლებად პროგნოზირებადი მოვლენების განვითარებას განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესება და ეკონომიკურ სიკეთეებზე მოთხოვნილების კლება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ კორონავირუსის ინფექციის გლობალურმა პანდემიამ შეასუსტა სამეწარმეო მოღვაწეობა და მომხმარებელმა შეამცირა თავისი დანახარჯები, რომლებსაც მოგზაურობაში დებდა. ამან კი თავის მხრივ გავლენა მოახდინა სამედიცინო ტურიზმის მომხმარებელთა არჩევანზე, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში იაფი სერვისები იზიდავთ. ასე რომ, შეგვიძლია ვისაუბროთ მომხმარებელთა უპირატესობების სტრუქტურაში მომხდარი სტრატეგიული ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეეხება სრულფასოვანი დასვენებისა და თავისუფალი დროის გატარების მიზნით გაკეთებულ შესაძლო არჩევანს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში. ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ტურისტული ბაზრის სტრუქტურის ცვლილებათა გეგმაში კორექციის შეტანაზე; მოგვცემს როგორც ახალი მარშრუტების, მიმართულებებისა და ტურიზმის ტიპის ფორმირების შესაძლებლობას, რომლის საფუძველშიც ჩადებული იქნება საკომუნიკაციო და ინფორმაციული სივრცის ვირტუალიზაცია და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. ამ უკანასკნელის მიზანი იქნება ტურისტებისთვის სრულფასოვანი და ხარისხიანი პაკეტის შეთავაზება, ასევე უკვე არსებულ ტურისტულ სეგმენტებში ახალი ტრაექტორიისა და ორგანიზაციის ფორმის განსაზღვრა.

ბოლო პერიოდის პანდემიურმა ვითარებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასაც. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის განსაკუთრებულ მგრძობიარობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. უპირველეს ყოვლისა ეს დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურასთან, სადაც დარგობრივად ყველაზე დიდი წილი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებზე მოდის, რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდნენ კორონავირუსის პირობებში - ესენია საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13.9 %) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4 %),

მშენებლობის სექტორი (8.3%) და საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები (6.1%). კიდევ ერთი გარემოება, რამაც კორონავირუსის პირობებში მაღალი ეკონომიკური დესტაბილიზაცია განაპირობა, დაკავშირებულია შრომის ბაზრის სტრუქტურასთან, სადაც დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა არაფორმალურ სექტორში თვითდასაქმებულთა რაოდენობას უტოლდება, მათ შორის მაღალია, ე.წ. პრეკარიულ და არასტაბილურ სამსახურებში დასაქმებულთა წილი, როგორცაა მომსახურების სფერო, ატიპიური დასაქმებები, სეზონური დასაქმება თუ სხვა. ამ პირობებში კი გასაკვირი არ არის, რომ უმუშევრობის რადიკალური ზრდაა ნავარაუდები, სადაც დაქირავებით დასაქმებულ მშრომელთა საერთო რაოდენობის 30% სამსახურის დაკარგვის მაღალი რისკის წინაშე დგას, ხოლო თვითდასაქმებულთა 83,5%-ს მოუწევს შემოსავლების ვარდნასთან და შემცირებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან გამკლავება. ამასთან, ტურისტული სექტორის გაჩერებამ, რომელიც წლებია ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად მოიაზრება, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა როგორც შრომით ბაზარს, ასევე ლარის კურსის სტაბილურობას - ტურიზმიდან შემოსული ფინანსური კაპიტალი, უცხოეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებთან და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, ლარის კურსის გამყარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა. ამიტომ ამ სფეროს დაზარალებამ წარმოშვა მთელი რიგი თანმდევი პრობლემები. ტურიზმის კოლაფსმა გაზარდა უმუშევრობა, დაეცა შემოსავლები, შემცირდა შიდა მოთხოვნა და შესაბამისად, შემცირდა საბიუჯეტო შემოსავლები. ამას დაემატა ლარის დაბალანსების პრობლემა და დოლარიზაციის ნეგატიური გავლენის ზრდა შინამეურნეობებზე თუ იმ ადამიანებზე, რომელთაც სესხები დოლარში აქვს აღებული (მთლიანი გაცემული სესხების დაახლოებით 70%) (სოციალური ეფექტი..., 2018).

პანდემიისგან მოყენებული ზარალი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აისახა ზოგიერთ სფეროზე. ტურიზმი სწორედ ის სფეროა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის გამო ყველაზე მეტად დაზარალდა. და ამის მიზეზი არის ის, რომ ახალ კოვიდპანდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი იყო ახალი ვირუსის გავრცელების შესაფერხებლად მიღებული ზომები - ქვეყნებმა გადაკეტეს

თავიანთი საზღვრები. კოვიდპანდემიასთან საბრძოლველად ეს იარაღი გამოიყენა საქართველომაც. გარკვეული პერიოდით დაიკეტა საქართველოს საზღვრები მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის. გარკვეული პერიოდულობით იხსნებოდა საზღვრები გარკვეულ ქვეყნებთან. თუმცა ქვეყანაში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებული იყო გაეწყო ორკვირიანი კარანტინი. ბუნებრივია, რომ ასეთი შეზღუდვების პირობებში საგრძნობლად იკლო ქვეყანაში შემოსული ტურისტების რიცხვმა.

ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესებამ, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა სამედიცინო ტურიზმის სექტორზეც. ძირეულ ასპექტად ამ თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ ტურისტულ მომსახურებებზე მომხმარებლის მოთხოვნილების შემცირება, რომელსაც მთელი რიგი მიზეზები აქვს. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ:

- ა). დაწესებული შეზღუდვების გამო როგორც შიდა რეგიონული, ასევე საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობის არარსებობა;
- ბ). მოსახლეობის შემოსავლების შემცირება;
- გ). ტურისტული მოგზაურობის შემთხვევაში ვირუსის გადადების მაღალი რისკი;
- დ). სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდვა: რეგულარული და ჩარტერული ავიარეისების გაუქმება, სარკინიგზო ტრანსპორტის მგზავრების რაოდენობის შეზღუდვა, ტურისტულ დესტინაციებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა;
- ე) უარყოფითი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც ხელის შემშლელი პირობაა ტურისტული მიზნებით გადაადგილებისთვის და ა.შ.

ამ ყველაფერმა მოიტანა ის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ტურისტების ნაკადი ყველა რეგიონში გამონაკლისის გარეშე.

ტურისტული ნაკადების შემცირება სხვადასხვა ხარისხით მსოფლიოს ყველა რეგიონს შეეხო, რამაც მოიტანა ის, რომ შემცირდა ორგანიზაციათა ფუნქციონირებისთვის საჭირო შემოსავლები და ტურიზმის დესტინაციებში

გაუარესდა სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ამიტომ განსაკუთრებით აქტუალური ხდება ტურიზმის სტრატეგიული განვითარების ძირეული მიმართულების არჩევა და კრიზისამდელი პერიოდის მდგომარეობის აღდგენა ტურისტული მომსახურების მოცულობის თვალსაზრისით, ტურისტული მოღვაწეობის ყველა სფეროსა თუ დესტინაციაში.

ცხრილი №3: რეგიონების მიხედვით მსოფლიოში ტურისტული ნაკადების შემცირების დინამიკა 2020 წლის მდგომარეობით.

გეოგრაფიული რეგიონის სახელწოდება	ტურისტული ნაკადის შემცირების პროცენტული მაჩვენებელი %	ძირითადი ტურისტული მიმართულებები
ჩრდილო-აღმოსავლეთი აზია	39,6	ჩინეთი, სამხრეთ კორეა
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	33,3	ტაილანდი, კამბოჯა, ვიეტნამი
ოკეანეთი	23,4	ფიჯი, ტონგა
სამხრეთი ევროპა	22,5	იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი
სამხრეთი აზია	22,2	ინდოეთი, შრი-ლანკა
კარიბის ზღვის რეგიონი	20,0	კუბა, დომინიკის რესპუბლიკა
დასავლეთ ევროპა	19,2	საფრანგეთი, ნიდერლანდები
სამხრეთ ამერიკა	19,1	ბრაზილია, პერუ, არგენტინა
ჩრდილოეთი აფრიკა	17,5	ეგვიპტე, ტუნისის, მაროკო
ჩრდილოეთი ევროპა	17,2	შვედეთი, ნორვეგია
ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპა	14,9	ჩეხეთი, უნგრეთი
ცენტრალური ამერიკა	14,5	მექსიკა
ჩრდილოეთი ამერიკა	12,7	აშშ
ახლო აღმოსავლეთი	10,8	თურქეთი, ისრაელი

წყარო: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია „UNWTO“

თანამედროვე ახალი კორონავირუსის პირობებში, რომელიც მძიმე ინფექციური დაავადებაა და მოითხოვს არა მხოლოდ უახლესი აპარატურით უზრუნველყოფილი მედიკამენტოზური, რთული მკურნალობის ციკლს და სპეციალიზებულ სტაციონარში მკურნალობას, არამედ დაავადების შემდგომ

ხანგრძლივ რეაბილიტაციას, გამაჯანსაღებელი პროცედურების თანხლებით, იმ შემთხვევაში, თუ დაავადებამ ნეგატიური კვალი დატოვა ადამიანის ორგანიზმზე. ამ სამედიცინო ფაქტორების გათვალისწინებით სამედიცინო ტურიზმი სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საერთაშორისო დონეზე.

ამ ტენდენციას განაპირობებს:

1. ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი პნევმონიური გართულება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც ახალი ინფექციის მიერ, ასევე მისი სხვა ფორმებით, ზრდის მთელ მსოფლიოში სამედიცინო მომსახურების მნიშვნელოვნებას. თუ გარკვეული შეზღუდვების პირობებში (რომლებიც გულისხმობს არამხოლოდ სახელმწიფოებს შორის, არამედ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს შორის გადაადგილების შეზღუდვასაც) სამედიცინო ტურიზმით სარგებლობა შეუძლებელია, ამას აქვს სხვა უპირატესობა - შემდგომი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურები და რეაბილიტაცია მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობად იქცევა სამედიცინო და სანიტარულ-საკურორტო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ამ სექტორში არიან დაკავებული.

2. დაავადების რიცხვის მატება და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესება ხდება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, დასვენების რა ფორმასა და მიმართულებას აირჩევს მთელი მსოფლიოს მოსახლეობა. როგორც ბოლო სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, სერიოზული ქრონიკული დაავადებები პირდაპირ კავშირშია ვირუსის მიმდინარეობის სირთულესთან. ის ასევე ზრდის ლეტალური შედეგების რიცხვს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხანში შესული ადამიანების შემთხვევაში. ქრონიკული დაავადებებისგან სიკვდილის რისკი ყველაზე მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. ამ დროს ის - 13,2%-ს უტოლდება, დიაბეტის დროს - 9,2%-ია, ჰიპერტონიისას - 8,4%, სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების დროს - 8%, ონკოდაავადებებისას - 7,6% - ეს არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სტატისტიკა, რომელიც ასახავს ქრონიკული დაავადებების ფონზე გამოწვეული კოვიდ-19-ის სიკვდილიანობას.

3. ამგვარად, პოსტკრიზისულ პერიოდში უნდა ველოდოთ, რომ ადამიანები ყურადღებას გაამახვილებენ საკუთარ ჯანმრთელობაზე და გაიზრდება მკურნალობასა და გამაჯანსაღებელ პროცედურებზე გაწეული ხარჯები, რაც ასევე ხელს შეუწყობს სამედიცინო ტურიზმის განვითარებას ხანგრძლივ პერსპექტივაში. შემზღუდავი ღონისძიებების მოხსნის თვალსაზრისით, მოკლევადიან პერიოდში სწორედ სამედიცინო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის სფერო და შესაბამისი ინფრასტრუქტურა ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს.

4. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც სამედიცინო ტურიზმის, როგორც ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის სასარგებლოდ იმეტყველებს, შეიძლება გახდეს ის, რომ სამედიცინო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების დონე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ნორმასთან შესაბამისობაშია.

5. სახელმწიფო მხარდაჭერის მაღალი ხარისხი ტურისტული ბაზრის მოცემული სექტორის, როგორც ინდუსტრიის ნაწილის, ასევე სოციალური მიმართულებისა და ამ ტიპის ტურიზმის საზოგადო მნიშვნელობის გასაზრდელად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო ტურიზმის განვითარება ჩვენს ქვეყანაში შეიძლება წარმატებით განვითარდეს, თუ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთმანეთთან ითანამშრომლებს და მზად იქნებიან ამ ბიზნესში ფულის ჩასადებად.

სამედიცინო ტურიზმის სფეროს მკვლევრის, ელენა ეგნატოვას აზრით, სამედიცინო ტურიზმის მეტ-ნაკლებად პერსპექტიულ და დროულ მიმართულებებად შეიძლება დასახელდეს:

1. შიდა რეგიონული სამედიცინო ტურიზმის განვითარება, რომელიც დაფუძნებული იქნება ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გამოყენებაზე უშუალოდ რეგიონის მცხოვრებთა მიერ, რაც ამცირებს სატრანსპორტო დანახარჯებს და იძლევა დროის ეკონომიას ტურისტული მოგზაურობისთვის.
2. სამედიცინო ტურიზმის სფეროში ტურისტული მოგზაურობის ახალი ფორმის დანერგვა. მაგალითად, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ შეზღუდული

გადაადგილების და პოტენციური ტურისტების მსყიდველობითი უნარის დაქვეითების პირობებში გამოსასვლელი დღეების ტური არის სამედიცინო ტურიზმის სფეროს მომსახურების შეთავაზების პერსპექტიული ფორმა.

3. სამედიცინო ტურიზმის პროგრამის შედგენისას გასათვალისწინებელია, ის, თუ საითკენ არის მიმართული სამედიცინო მომსახურება (პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, რეაბილიტაცია, პრევენციული მკურნალობა და ა.შ.). გასათვალისწინებელია თვითონ დაავადების სპეციფიკაც.
4. სამედიცინო ტურიზმის შესაძლებლობების გაფართოება თანამედროვე ინოვაციების გამოყენებით, უპირველესად ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის ელემენტების დანერგვით, რაც უზრუნველყოფს ურთიერთკავშირს მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევასა და უშუალოდ სამედიცინო ტურიზმს შორის.
5. არა მხოლოდ სამედიცინო ტურიზმის ტრადიციული მიმართულებების (სტომატოლოგიური მიმართულება, პლასტიკური ქირურგია და სხვა) გაძლიერება, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებების გაძლიერებაც, მაგალითად, მავნე ჩვევებთან ბრძოლის, დევიანტური ქცევის მართვის, სამედიცინო ტურიზმის ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების ფარგლებში (ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულება, ფსიქოლოგიური და სოციალური გადახრები, ჭარბ წონასთან ბრძოლა).
6. სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე სამედიცინო მომსახურების გაწევის ტექნოლოგიური პროცესის რეალიზაციის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ვაღიაროთ როგორც კერძო, ასევე კორპორაციული კლიენტების მიერ უზრუნველყოფილი ტურიზმი (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში). კორპორაციული კონტრაქტები უზრუნველყოფს სამედიცინო ტურიზმის ბაზრის მონაწილე ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობას, და შეამცირებს კომერციული მოღვაწეობის წარმოების რისკის დონეს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისულ პერიოდში.

7. სამედიცინო ტურიზმის საექსპორტო პროგრამების განვითარება, მომსახურების გაუმჯობესებისთვის ახალი ფორმებისა და გზების ძიება, ინდივიდუალური მიდგომა პოტენციური კლიენტის მიმართ და ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ფორმირება - მოგვცემს უცხოელი ტურისტის მიღების საშუალებას.
8. ტურისტული ბაზრისა და სხვა მომიჯნავე სფეროს მონაწილეებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, კლასტერული სტრუქტურის ფორმირების, ქსელური ურთიერთობების გაფართოებისა და რეგიონთაშორისი პროექტებში მონაწილეობის მიზნით. (Игнатова, 2020)
9. ასე რომ, სამედიცინო ტურიზმის განვითარების ზემოთ წარმოდგენილი პერსპექტიული მიმართულებების რეალიზაცია, პოსტკრიზისულ პერიოდში საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ სამედიცინო ტურიზმის ეფექტურობა და მომავალი ფუნქციონირება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ძალიან ბევრი უნიკალური კურორტი და რეკრეაციული ზონაა, მას დიდი პოტენციალი აქვს პოსტპანდემიურ პერიოდში უცხოელი ტურისტების სარეაბილიტაციოდ მოსაზიდად.

ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის განსავითარებლად, რომელიც გულისხმობს მკურნალობას, რეაბილიტაციას, დასვენებას, გართობასა და ა.შ., აუცილებელია სავაჭრო ობიექტების, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, ინტერნეტ და საბანკო მომსახურების გამართული ფუნქციონირება. მსოფლიო პანდემიის პირობებში, არსებითად მნიშვნელოვანია მომსახურების ხელმისაწვდომობა. დარგის მენეჯმენტი ორიენტირებული უნდა მუშაობდეს როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაზე. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა მოხდეს ფასების რეგულირება, ის აუცილებლად უნდა იყოს ხარისხთან შესაბამისობაში. მიუღებელია, როცა საქართველოში გაწეული საშუალო დონის მომსახურების ღირებულება უტოლდება წამყვანი ტურისტული ქვეყნების ფასებს.

მოსაწესრიგებელია კურორტებისა და სარეკრეაციო სივრცეების ეკოლოგიური მდგომარეობა, განსაკუთრებით შავიზღვისპირა რაიონებში, სადაც ზაფხულობით, ტურისტთა და დამსვენებელთა მოზღვაების პირობებში განსაკუთრებით ჭუჭყიანდება პლაჟები, ზღვის წყალი, ზოგადად უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა. მისახედაა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები და სამკურნალო პანსიონატები არ არის აღჭურვილი შესაბამისი თანამედროვე აპარატურით. საკურორტო ადგილებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. პრობლემურია სასტუმროებში, დასასვენებელ პანსიონატებსა და საკურორტო ობიექტებში მომსახურე პერსონალის კულტურისა და პროფესიული მომზადების დონეც. მოსაწესრიგებელია სპორტული ნაგებობების, გართობისა და დასვენების ინფრასტრუქტურა.

საქართველოს მდიდარია სამკურნალო-რეკრეაციული რესურსებით. აქ არის - მთის კლიმატური კურორტები, შავიზღვისპირეთის მაგნიტური ქვიშები, სამკურნალო ტალახები, კასტრული მღვიმის სპეციფიკური მიკროკლიმატი, თერმული სულფიდური, რადონული, აზოტოვანი, სილიციუმისანი მინერალური წყლები.

ამ სიმდიდრის გათვალისწინებით, სწორი მართვისა და პოზიციონირების პირობებში ის შესაძლოა ძალიან მიმზიდველ და მოთხოვნად ქვეყნად იქცეს, განსაკუთრებით პოსტპანდემიისას, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სამედიცინო ტურისტებისთვისაც.

თავი III. სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის წარმატებული პრაქტიკის ბიზნესმოდელებისა და მექანიზმების ორგანიზაციულ-მმართველობითი ანალიზი

მსოფლიოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების პროგნოზები, რომლებიც ეფუძნება სპეციალიზებული სააგენტოების მონაცემებს, აჩვენებს, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში სამედიცინო ტურიზმიდან შემოსავალი წელიწადში 25%-ით გაიზრდება, და მსოფლიოს მოსახლეობის 3%-4% სამედიცინო მომსახურების მისაღებად უცხოეთში გაემგზავრება (**Medical Tourism Index, 2016**).

ყველა ქვეყანა სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის აქტიურად იყენებს მარკეტინგულ და სარეკლამო მექანიზმებს (**Vist Medical Korea...; Rerkrujipimol, 2011; Тастанбекова, 2016**). სარეკლამო მოღვაწეობის ძირითადი აქცენტი სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ორგანიზებაში კეთდება ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებზე: სამედიცინო მომსახურების ფასსა და ხარისხზე, სამედიცინო ტურისტებისთვის დამატებით სერვისებზე, რამდენად კომფორტულად ახერხებს ქვეყანა ტურისტის მიღებას.

სხვადასხვა წყაროს მონაცემების თანახმად (**UniMed, 2019; Medical..., 2016**) სამედიცინო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საუკეთესო ქვეყნების ათეულში შედიან - კანადა, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, სინგაპური, ინდოეთი, გერმანია, საფრანგეთი, სამხრეთი კორეა, იტალია და კოლუმბია. ამასთან ამ ქვეყნებში სამედიცინო ტურიზმის წარმატებას არ განაპირობებს ძლიერი დამოკიდებულება ჯანდაცვის მოდელის ორგანიზებასა და მისი დაფინანსების საბაზისო წყაროებზე. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სამედიცინო ტურიზმის ლიდერ ქვეყნებში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში, რეალიზებულია ჯანდაცვის ორგანიზების სახელმწიფო მოდელი, უპირატესად საბიუჯეტო დაფინანსებით; გერმანიასა და საფრანგეთში მოქმედებს ჯანდაცვის ორგანიზებისა და დაფინანსების შერეული - საბიუჯეტო-სადაზღვევო - მოდელი, ხოლო აშშ-ში - კერძო და სადაზღვევო მექანიზმი. (**Numbeo, 2016; Medical..., 2016; Bloomberg, 2016**)

სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ლიდერი ქვეყნების გამოცდილების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, განვსაზღვროთ ყველზე წარმატებული

ბიზნესმოდელების ტექნოლოგიები, კერძოდ, მიზნობრივი სტრატეგიის ძირითადი მექანიზმები და ბერკეტები.

მოცემულ თავში განვიხილავთ სამედიცინო მომსახურების ექსპორტის მსხვილი სამედიცინო ორგანიზაციების - დიდი ბრიტანეთის, სამხრეთი კორეის, იტალიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის - საორგანიზაციო პრაქტიკას.

3.1. სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმის ექსპორტის ორგანიზების თანამედროვე ტექნოლოგიების მოწინავე გამოცდილება

სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმის ექსპორტის საინტერესო გამოცდილება აქვს ამ ბიზნესის ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას **დიდ ბრიტანეთს**.

დიდ ბრიტანეთში სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ორგანიზაციული ტექნოლოგიების პრაქტიკა შეგვიძლია განვიხილოთ Great Ormond Street Hospital -ის - ბავშვთა საავადმყოფოს მაგალითზე.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ჯანმრთელობის სახელმწიფო საბიუჯეტო მოდელი. აქ ჯანდაცვაზე მწირი ბიუჯეტი იხარჯება. ჯანმრთელობის დაზღვევა ცოტას აქვს. ცოტაა სადაზღვევო კომპანიებთან მომუშავე კერძო სამედიცინო ორგანიზაციებიც. ამიტომ არ არსებობს ჯანმრთელობის სავალდებულო სადაზღვევო სისტემა, სამედიცინო ორგანიზაციები პირდაპირ სახელმწიფო ფონდებიდან ფინანსდება. დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციებში სამედიცინო მომსახურება არ მოითხოვს მოქალაქეობას.

ბავშვთა საავადმყოფო არის საზოგადოებრივი სამედიცინო ორგანიზაცია, რომელიც 1852 წელს დაარსდა. ის წარმოადგენს პედიატრიული კარდიოქირურგიის უდიდეს ცენტრს ბრიტანეთში და გულის გადანერგვის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს მსოფლიოში. სამედიცინო ორგანიზაცია მუშაობს შემდეგი მიმართულებებით - ბავშვთა კარდიოლოგია, კარდიოქირურგია, ჰემატოლოგია, ონკოლოგია, გენური თერაპია და პედიატრიის სხვა სფეროები.

ჯეიმზ მეთიუ ბარიმ „პიტერ პენის“ საავტორო უფლებები საავადმყოფოს გადასცა. მისგან შემოსული შემოსავლები საავადმყოფოს განვითარებას ხმარდება.

სამედიცინო ორგანიზაციის პრეზიდენტებად შეირჩეოდნენ საპატიო პირები, მათ შორის იყო - პრინცესა დიანა.

საავადმყოფო სისტემურად ვითარდება. ის სამედიცინო მომსახურებას უწევს 63 უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ძირითადი ქვეყნები, რომელთა მოქალაქეები აქ სამედიცინო მომსახურებას იღებენ, არის საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, ირანი, საბერძნეთი და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები. აქ მომსახურების მისაღებად ჩამოდიან ლონდონში მცხოვრები მდიდარი უცხოელი მოქალაქეებიც, ასევე - რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებიც.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების ინფრასტრუქტურა შემდეგნაირადაა აგებული: სამედიცინო მომსახურების სისტემურ მიღებაზე მუშაობს საერთაშორისო განყოფილება, რომელიც მდებარეობს ცალკე კორპუსში, და ემსახურება მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ეს სტრუქტურა მოიცავს - ადმინისტრაციულ ნაწილს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, საერთაშორისო განყოფილებას, 1-2-ან 3-ოთახიან სხვადასხვა განყოფილების პალატებს, რომლებშიც განთავსებულია სადღეღამისო საწოლები. ყოველ განყოფილებაში არის ექთნის კუთხე, პერსონალი მუშაობს მხოლოდ უცხოელ მოქალაქეებთან. პაციენტების დიდი ნაწილის დონორია არაბული ქვეყნები. ამიტომ პერსონალი საუბრობს არაბულად. კორპუსის თითოეულ სართულზე მოწყობილია საპროცედურო ოთახი, რომელშიც მკურნალი ექიმები იკვლევენ პაციენტებს და უტარებენ ინექციებს. შენობაში არ არის რენტგენის, კომპიუტერის, მაგნიტურ-რეზონანსული ან სხვა კვლევების ჩასატარებელი ტექნიკა, ასევე არ არის საოპერაციო ბლოკი და აღჭურვილობა შემდგომი რეაბილიტაციისთვის.

სამედიცინო მომსახურების მისაღებად გამოიყენება ინფრასტრუქტურა და ტექნიკა, რომელიც საავადმყოფოს მთავარ შენობაში მდებარეობს. ექიმები, რომლებიც უცხოელ მოქალაქეებს სამედიცინო დახმარებას უწევენ, ყოველი წარმატებით დასრულებული მკურნალობის შემდეგ ხელფასს დანამატით იღებენ.

ადგილობრივი მოსახლეობა და უცხოელი მოქალაქეები სამედიცინო მომსახურებას სხვადასხვა ადგილას იღებენ. უცხოელი პაციენტებისთვის გამოყოფილია ცალკე შენობა, აუცილებელ გამოკვლევებსა და პროცედურებს მედდის

თანხლებით მკაცრად განსაზღვრულ დროს იტარებენ. ამით არ ირღვევა ადგილობრივი პაციენტების უფლებები, რადგან მოქმედებს სამედიცინო ორგანიზაციის ელექტრონული სისტემა, რომელშიც დაცულია გამოკვლევებისა და სამედიცინო პროცედურების გრაფიკი.

ელექტრონული სისტემა ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე უცხოელი პაციენტების გამოკვლევებს და გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში ავტომატურად ცვლის გეგმას. ხარისხის კონტროლის განყოფილება ყოველთვიურად აანალიზებს ჩანაწერებს და ამოწმებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დასაბუთებულობას. ელექტრონული სისტემა ასევე ინახავს საოპერაციო ოთახების განრიგს. იმისთვის, რომ რეზერვში ყოველთვის იყოს თავისუფალი ოთახები, სისტემით ყოველთვის გათვალისწინებულია ორი თავისუფალი, დიდი და პატარა, საოპერაციო ბლოკი.

მთლიანობაში, საერთაშორისო კორპუსი ფუნქციონირებს როგორც საავადმყოფოს ცალკე განყოფილება, რომელშიც გათვალისწინებულია ხარჯებისა და შემოსავლების ბუღალტრული აღრიცხვა, ოფიციალურად გამოყოფილი ტარიფები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საერთაშორისო განყოფილებასა და მის ხელმძღვანელობას აკისრია შემდეგი ფუნქციები - საავადმყოფოს, როგორც სამედიცინო ტურიზმის ცენტრის პოპულარიზაცია მსოფლიოში სპეციალიზებული პედიატრიული პროფილებისთვის, უცხოურ კლინიკებთან თანამშრომლობა, შემოსული უცხოელი პაციენტებისათვის აუცილებელი დოკუმენტების რეგისტრაცია და მომზადება, მუშაობა შუამავალ კომპანიებთან, პაციენტების განაწილება მკურნალ ექიმებთან, მათი შემდგომი მკურნალობა, პაციენტის რეგისტრაცია და მათი მონიტორინგი გაწერის შემდეგ, მკურნალობის ღირებულების დაანგარიშება და ღირებულების გადახდა.

იმისათვის, რომ სამედიცინო ორგანიზაციამ მოიპოვოს პოპულარობა, როგორც სამედიცინო ტურიზმის ცენტრმა, საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელობა მას საავადმყოფოს სამედიცინო ტურიზმისთვის მიმღვნილ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად წარადგენს. სწორედ საერთაშორისო განყოფილება მუშაობს იმ ქვეყნების საელჩოებთან, რომელთა მოქალაქეები

მკურნალობენ მათ სამედიცინო დაწესებულებებში ან რომელთა მოქალაქეების სამკურნალოდ მოზიდვას გეგმავენ; თანამშრომლობენ ან ახლა ამყარებენ თანამშრომლობას იმ ქვეყნის ორგანიზაციებთან, რომლებიდანაც პაციენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოდის.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის სისტემა შემდგენიერად მოქმედებს. სამედიცინო ორგანიზაციაში უცხოელი პაციენტების დაშვების ორი ძირითადი გზა არსებობს:

- 1) იმ ქვეყნიდან შემოსვლა, რომელთანაც დამყარდა თანამშრომლობა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და იმ სამედიცინო ორგანიზაციის ხაზით, რომელიც ახდენს სამკურნალოდ პაციენტების მოძიებას. პაციენტის მიღების ორგანიზება ხორციელდება შუამავალი კომპანიის დახმარებით;
- 2) უცხოელი პაციენტების მიღება იმ ქვეყნებიდან, რომლებთანაც არ არის ფართო თანამშრომლობა და პაციენტის მიღების ორგანიზება შუამავალი კომპანიის დახმარებით ხორციელდება.

პირველ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქე პაციენტის ოჯახს შუამავალი კომპანიის მომსახურებას სთავაზობენ ის შუამავალი კომპანიები, რომლებიც თანამშრომლობენ ამ მოქალაქის ქვეყანაში არსებულ სამედიცინო ორგანიზაციასთან, საავადმყოფოსთან, ბრიტანეთის საელჩოსთან, პაციენტის სადაზღვევო ორგანიზაციასთან ან სამთავრობო ფონდთან (დამოკიდებულია გადახდის ფორმაზე). საზღვარგარეთ მკურნალობის გასაგრძელებლად ოჯახის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემდეგ შუამავალი კომპანია იწყებს საავადმყოფოში განსახილველად გასაგზავნი დოკუმენტების შეგროვებას. შუამავალი კომპანია არ განიხილავს უცხოელი პაციენტის მკურნალობის სამედიცინო ასპექტებს და არც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იღებს პასუხისმგებლობას.

საავადმყოფოს საერთაშორისო დეპარტამენტის თანამშრომლები აწარმოებენ უცხოელი პაციენტების ელექტრონული რეგისტრაციის სისტემურ აღრიცხვას და აგროვებენ მკურნალობისთვის საჭირო სტანდარტიზებულ ინფორმაციას (სამედიცინო ისტორია, ეპიკრიზი და აუცილებელი ანალიზების შედეგები). საერთაშორისო განყოფილების ელექტრონულ სისტემაში საჭირო ინფორმაციის

შეგროვებისა და შეყვანის შემდეგ, შესაბამისი პროფილის განყოფილების უფროსი იღებს შეტყობინებას პირად ფოსტაზე, რათა განიხილოს უცხოელი პაციენტის მკურნალობის შესაძლებლობა. განყოფილების ხელმძღვანელი განყოფილების ექიმს პაციენტს სამკურნალოდ აბარებს, ბუნებრივია, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, და აძლევს ელექტრონულ სისტემასთან წვდომის შესაძლებლობას ან იტოვებს ამ პაციენტის დამოუკიდებლად მკურნალობის უფლებას. შემდეგ, მკურნალი ექიმი ირჩევს მკურნალობის ტაქტიკას, ელექტრონულ სისტემის მკურნალობის პროტოკოლის (კლინიკური რეკომენდაციების) შესაბამისად. ამის შემდეგ, საერთაშორისო განყოფილების თანამშრომლები აფასებენ უცხოელი პაციენტის მკურნალობის სავარაუდო ღირებულებას. პაციენტს შეუძლია ჩაიტაროს მეტი გამოკვლევა და/ან შემდგომი რეაბილიტაცია, ასევე გადაყვანილი იქნას ერთ ან ორადგილიან პალატაში - თუ გადაიხდის დამატებით საფასურს.

საავადმყოფო უცხოელი პაციენტის მკურნალობის სავარაუდო ღირებულების ჯამს მიაწოდებს შუამავალ კომპანიას. შუამავალი კომპანია გააცნობს პაციენტის ოჯახს, კანონიერ წარმომადგენელს, სადაზღვევოს ან სახელმწიფო ფონდს მკურნალობის სავარაუდო ფასს და სთავაზობს, მომსახურების სხვა პაკეტებსაც: დახმარება ვიზის აღებაში, საავადმყოფოში ტრანსპორტირების ორგანიზება, უკეთესი პალატა, თარჯიმანი, მომვლელი, სხვადასხვა მომსახურება ოჯახის წევრებისთვის ან უცხოელი პაციენტის კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

მას შემდეგ, რაც შუამავალი კომპანია მიიღებს შეტყობინებას მკურნალობის საფასურის შესახებ, უკავშირდება საავადმყოფოს და წარუდგენს გადახდის დოკუმენტს. საავადმყოფოს საერთაშორისო განყოფილება ადგენს პაციენტის ჰოსპიტალიზაციის თარიღს და გაიცემა ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტები.

დიდ ბრიტანეთში სამკურნალოდ უცხოელ პაციენტს სჭირდება სამედიცინო ვიზა. ვიზის მისაღებად მან უნდა წარადგინოს დიაგნოზი, მკურნალობის სავარაუდო ღირებულება, მკურნალობის წინასწარი გადახდის დამადასტურებელი საბუთი, და ანგარიში, რომლითაც დადასტურდება, რომ პაციენტს ანგარიშზე სამკურნალოდ და ქვეყანაში დასარჩენად საკმარისი თანხა აქვს. სასურველია ჰქონდეს სადაზღვევო პოლისი, თუმცა მისი ქონა სავალდებულო არ არის. უცხოელ პაციენტებზე,

რომელთაც აქვთ ინფექციური დაავადება, სამედიცინო ვიზა არ გაიცემა. შემდეგ, შუამავალი კომპანია ზრუნავს უცხოელი პაციენტის ჰოსპიტალიზაციის ორგანიზებაზე, რის შედეგადაც პაციენტი რეგისტრირდება საავადმყოფოს ზოგად ელექტრონულ სისტემაში და სამედიცინო პერსონალი იწყებს მასთან მუშაობას, როგორც სხვა რიგით პაციენტთან. სამედიცინო პერსონალს ხელი მიუწვდება მის ყველა სამედიცინო დოკუმენტაციაზე. მკურნალობა მიმდინარეობს დიდი ბრიტანეთის „ჯანმრთელობისა და კლინიკური სრულყოფის ეროვნული ინსტიტუტის, NICE“-ის პროტოკოლის შესაბამისად.

გაწერისას მიმდინარეობს მომსახურების ხარისხის კონტროლი და პაციენტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის გამოკითხვა, რამდენად კმაყოფილი დარჩნენ სამედიცინო მომსახურებით. ამის შემდეგ, პაციენტის ეპიკრიზი, შემდგომი რეაბილიტაციის რეკომენდაციები და სხვა სამედიცინო დოკუმენტაცია გადაეცემა პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს, შუამავალ კომპანიასა და სამედიცინო ორგანიზაციას პაციენტის საცხოვრებელ ქვეყანაში.

შემდგომ, პაციენტი იმყოფება დაკვირვებისა და რეაბილიტაციის ქვეშ საცხოვრებელი ქვეყნის სამედიცინო ორგანიზაციაში, რომლის ექიმები მუშაობენ პაციენტთან ბრიტანეთის „ჯანმრთელობისა და კლინიკური სრულყოფის ეროვნული ინსტიტუტის, NICE“-ის მკურნალობის პროტოკოლის შესაბამისად. პაციენტის მკურნალობა გრძელდება უკვე თავისთავად საცხოვრებელ ქვეყანაში. საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ორგანიზაციის ექიმები პაციენტის შემდგომ მკურნალობაზე სათათბიროდ დიდი ორმონდის საავადმყოფოს მკურნალ ექიმს მიმართავენ (Дайхес, 2020).

დიდ ბრიტანეთში უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების სისტემის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- პედიატრიული მომსახურების ფართოდ ცნობილი სამედიცინო ორგანიზაცია;
- ბავშვთა კარდიოირურგიისა და გულის ტრანსპლანტაციის მრავალპროფილური საავადმყოფო და დიდი ცენტრი;

- საავადმყოფოს ბრენდი ასოცირებულია პრემიუმკლასის სამედიცინო მომსახურებასთან;
- მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცნობილი და გავლენიანი ადამიანები;
- უცხოელ პაციენტებს ათავსებენ პრემიუმკლასის განცალკევებულ კორპუსში;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის არსებობს სამედიცინო მომსახურების გამართული სისტემა;
- საქმიანი ურთიერთობები შუამავალ კომპანიებთან - არსებობს საერთაშორისო განყოფილება, რომელიც მუშაობს უცხო ქვეყნის პაციენტებთან და ცდილობს მომსახურების სამედიცინო ორგანიზაციის მსოფლიო ბაზარზე წარმოჩენას;
- საშუალო სამედიცინო რგოლი, რომელიც მხოლოდ უცხო ქვეყნის პაციენტებთან მუშაობს და ფლობს უცხო ენებს;
- სამედიცინო დახმარების განვითარებული და მოქნილი ელექტრონული სისტემა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების მოქნილი სისტემა, რომელიც იძლევა მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის დასახვის შესაძლებლობას.

სუსტი მხარეები:

- მნიშვნელოვანი სხვაობა უცხო ქვეყნის პაციენტებისა და ადგილობრივი პაციენტების პირობებს შორის;
- უცხო ქვეყნის პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების მაღალი ფასი;
- სამედიცინო ორგანიზაციისა და პერსონალის ძლიერი დატვირთვა სამედიცინო მომსახურებისას. პაციენტების დიდი ნაკადი;
- ელექტრონული სამედიცინო სისტემაზე ძლიერი დამოკიდებულება. არსებობს სამედიცინო მომსახურების ვერგაწევის რისკი, თუკი შეფერხდა ელექტრონული სისტემა;
- ბუღალტრული აღრიცხვის გართულებული სისტემა, მათ შორის პრეპარატების, სამედიცინო ხარჯების, უცხო ქვეყნის პაციენტების

მომსახურებისთვის შესყიდული სამედიცინო ორგანიზაციების თვალსაზრისით;

- უცხო ქვეყნისა და ადგილობრივი პაციენტების მომსახურებაზე გაწეული სამუშაო დროის აღრიცხვის გართულებული სისტემა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის დასრულებული მკურნალობის რეალური ღირებულების ფინანსური აღრიცხვის გართულებული სისტემა;
- უცხო ქვეყნის პაციენტებისთვის (და არამარტო მათთვის) გამოყენებული დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სახელმწიფო ბალანსზე არსებული ამორტიზებული სამედიცინო მოწყობილობის აღრიცხვის გართულებული სისტემა.

შესაძლებლობები

- მთელ ქვეყანაში ხანგრძლივი მოლოდინის დრო დაგეგმილი უფასო სამედიცინო დახმარების მისაღებად;
- საავადმყოფოს ბრენდი ცნობილია ახლო აღმოსავლეთის შეძლებული ქვეყნებისთვის;
- დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით დადგენილი სამედიცინო ვიზა;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ბევრ ქვეყანასთან დადგენილი თანამშრომლობა;
- სამედიცინო პაციენტის ქვეყნის ორგანიზაციებთან საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით მკურნალობის გადახარების შესაძლებლობა.

საფრთხეები:

- დიდ ბრიტანეთში დადგენილი სამედიცინო დახმარების მიღების წესების შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს (რომელიც არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე) აქვს უფლება, მიიღოს უფასო სამედიცინო დახმარება;
- სახელმწიფო სამეთვალყურეო ორგანოების მიერ რთული ფინანსური აღრიცხვის წარმოებაში დარღვევების გამოვლენა;
- სადაზღვევო მედიცინის განვითარებული სისტემის არარსებობა;
- ადგილობრივ მოსახლეობაში უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;

- სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა და დიდი ბრიტანეთისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის თანაბარი სამედიცინო მომსახურების პირობების შექმნის იძულება;
- დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლამ შესაძლოა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეს შეუზღუდოს სამედიცინო ტურიზმის მიზნით თავისუფალი გადაადგილება.

საინტერესო გამოცდილებას გვთავაზობს ამ ბიზნესის ერთ-ერთი ახალი წარმატებული მონაწილე **სამხრეთი კორეა, რომლის** ჯანდაცვის პოლიტიკას ჯანდაცვის სამინისტრო განსაზღვრავს, თუმცა მასში ხაზგასმით დაბალია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციების წილი - 5,5%. ქვეყანაში უპირატესად სახელმწიფო სამედიცინო საწარმოები და არაკომერციული ორგანიზაციებია. სამხრეთ კორეის ჯანდაცვის სისტემა ჯამში ითვლის 66,000-ზე მეტ სამედიცინო ორგანიზაციას, 674,700 -ზე მეტ საწოლს, 110,000-ზე მეტ ექიმს და 270,000 ექთანს, ექიმების 73% სპეციალიზებულია.

ქვეყნის სისტემაში მოქმედებს სახელმწიფო დაზღვევა. სახელმწიფო დაზღვევა დასრულებული ამბულატორიული მკურნალობის შემდეგ ანაზღაურებს ღირებულების 80%-ს (ონკოლოგიის შემთხვევაში 90%-ს), ჰოსპიტალიზაციისას - 50%-დან 70%-მდე (დაავადების ტიპის მიხედვით). განსხვავებას სოციალურად დაუცველ პირთა შემთხვევაში ანაზღაურებს საქველმოქმედო ორგანიზაციები.

დამატებით კერძო დაზღვევას დიდი სამედიცინო ორგანიზაციები მოსახლეობას სთავაზობენ საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად. უმეტეს შემთხვევაში, დამატებითი დაზღვევის შეძენა ხდება მსხვილი კომპანიების მიერ და შემდეგ ისინი მას თავიანთ თანამშრომლებს სთავაზობენ. დამატებითი დაზღვევა მოიცავს მომსახურების სხვადასხვა პაკეტს: იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მოცემულ სამედიცინო ორგანიზაციას მიმართავს, ხდება ხარჯების სრული დაფარვა, დამატებით სკრინინგები და მკურნალი ექიმის აქტიური დაკვირვება.

სამხრეთ კორეაში სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ორგანიზაციული ტექნოლოგიების პრაქტიკა განვიხილოთ ბუნდანგის ჰოსპიტლის- Seoul National University Bundang Hospital – მაგალითზე.

ბუნგანის ჰოსპიტალი სამხრეთ კორეის ერთ-ერთი მთავარი სამედიცინო ორგანიზაციაა, რომელიც 1885 წელს დაარსდა. ის პირველი სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაციაა, რომელიც დასავლური მოდელის მიხედვით შეიქმნა. 1978 წელს იგი გარდაიქმნა განსაკუთრებული ტიპის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებად. ბუნდანგის ჰოსპიტალში ყოველდღიურად საშუალოდ 1 447 ამბოლათორიული შემთხვევა მოდის. აქ არის სადღეღამისო და დღიური სტაციონარის 1 330 საწოლი. საშუალოდ სტაციონარულ მკურნალობას გადის 418 900 პაციენტი. კეთდება 39 300 ოპერაცია.

სამედიცინო მომსახურება მიმდინარეობს ყველა ძირითად პროფილით, გარდა ტუბერკულოზისა. ეს სამედიცინო ორგანიზაცია ერთ-ერთი წამყვანია ქვეყანაში, რომელსაც შეუძლია მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების გაწევა შემდეგ სფეროებში: ონკოლოგია, ნეიროქირურგია, ორთოპედია და ტრავმატოლოგია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. ორთოპედიის სფეროში ქირურგიული ჩარევისთვის წინასწარ ხდება დაზიანებული უბნის კომპიუტერული მოდელირება და იგეგმება ქირურგიული ჩარევა. ქირურგიული ოპერაციების 90% ხორციელდება ლაპაროსკოპიული მეთოდით.

ჰოსპიტალში აქტიურად გამოიყენება სამედიცინო გამოთვლითი სისტემა (EMR) და ხდება თითოეული პაციენტის ელექტრონულ სამედიცინო ისტორიის წარმოება. სამედიცინო ორგანიზაცია შეიმუშავებს და გამოიყენებს ორგანიზაციისა და სამედიცინო პროცესების სტანდარტიზაციის იდეოლოგიას, მუშაობის ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესებისა და სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით. ამ მიზნით შეიქმნა ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი - სამედიცინო ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების სტანდარტიზაციისა და სისტემატიზაციისათვის. ამ პრაქტიკის მთავარი მიზანია სამედიცინო მომსახურების უსაფრთხოების ამაღლება და მკურნალობისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის

კონტროლი. შეფასების პარამეტრი დგება 840 კლინიკური მაჩვენებლით, ორგანიზაციის მუშაობა კი შეფასებულია 740 მაჩვენებლით.

სამხრეთ კორეაში, კერძოდ, ბუნდანგის ჰოსპიტლის მუშაობაში აქტიურად ერთვება საშუალო სამედიცინო პერსონალი (ექთნები), რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ. ისინი ერთვებიან სამკურნალო და ორგანიზაციულ პროცესებში, რათა გაზარდონ შრომის ეფექტურობა და შეამსუბუქონ ექიმის ტვირთი.

2006 წლიდან საავადმყოფო იწყებს ფილიალების სხვადასხვა ქვეყანაში გახსნას, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად და, შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ექსპორტისათვის. 2008 წელს იხსნება განყოფილება ლოს-ანჯელესში, შემდეგ - კონსულტაციურ-დიაგნოსტიკური განყოფილება ჩინეთში, ქალაქ იანცზიში; 2011 წლიდან სამკურნალოდ იზიდავენ პაციენტებს აზუ-დაბიდან.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა ხდება შემდეგნაირად: სამედიცინო ორგანიზაციაში ფუნქციონირებს დიდი საერთაშორისო დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია უცხოელი პაციენტების მოზიდვაზე, მკურნალობის ორგანიზებასა და შემდგომ მენეჯმენტზე, ასევე ბუნდანგის ჰოსპიტლის ყველა საერთაშორისო საქმიანობაზე, წარმომადგენლობით ოფისებთან და პარტნიორ უცხოურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ჩათვლით.

საერთაშორისო განყოფილება დამატებით არის პასუხისმგებელი უცხოელი სპეციალისტების მოზიდვაზე საზღვარგარეთ სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ასევე, კონსულტაციებზე უცხოურ სამედიცინო ორგანიზაციებთან პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის ორგანიზაციული ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო დეპარტამენტი ფუნქციონირებს როგორც სამედიცინო ორგანიზაციის ცალკე ქვედანაყოფი. ის ორგანიზებას უწევს უცხოელი პაციენტების მოზიდვას ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით უკეთესი შედეგის მისაღებად.

ჰოსპიტალი აქტიურად მუშაობს ორგანიზაციის ბრენდის შექმნასა და პოპულარიზაციაზე, როგორც სამხრეთ კორეაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

უცხოელი მოქალაქეების სამკურნალოდ მოსაზიდად საგარეო საქმეთა სამინისტრო ორგანიზებას უწევს კონფერენციებისა და გამოფენების გამართვას, ონლაინ რეკლამების განთავსებას.

ბუნდანგის ჰოსპიტალში უცხოელი პაციენტებისათვის გამოყოფილია ცალკე შენობა. ამავე შენობაშია განთავსებული საერთაშორისო განყოფილებაც. ადმინისტრაციის თანამშრომლები ემსახურებიან სამკურნალოდ შემოსულ უცხოელ პაციენტებს, ეხმარებიან მათ რეგისტრაციაში და განიხილავენ მოსახურების პირობებს. ამის შემდეგ, პაციენტები გადაიან დეტალურ სამედიცინო გამოკვლევებს ჰოსპიტალიზაციის გარეშე ან ჰოსპიტალიზაციის გზით უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განკუთვნილ ცალკეულ პალატებში (სადღეღამისო ან დღის სტაციონარში) ღირებულების შესაბამისი სხვადასხვა დონის კომფორტით, რათა მომავალში საჭიროების შემთხვევაში მიიღონ სამედიცინო მომსახურება. უცხოელი პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას გამოიყოფა მასზე პასუხისმგებელი ექთანი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს პაციენტს სამედიცინო ორგანიზაციაში და ყველა საჭირო დახმარებას უწევს. მედდები, რომლებიც მუშაობენ უცხოელ პაციენტებთან, შეირჩევიან გარკვეული საკვალიფიკაციო კრიტერიუმებისა და საავადმყოფოს მიერ შემუშავებული შიდა გამოცდების საფუძველზე. კვალიფიკაციის კრიტერიუმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ ქვეყნების ენებისა და კულტურული თავისებურებების ცოდნას, რომელთა მოქალაქეები სამედიცინო ორგანიზაციაში მკურნალობენ.

პალატაში კომფორტის დონისა და პაციენტების განსხვავებული რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ საწოლს აქვს ელექტრონული კონსოლი, რომელიც იძლევა ინფორმაციას პაციენტის მდგომარეობის, მკურნალობის სტატუსის, ანალიზების შედეგების, მომავალი მკურნალობის გეგმებისა და მათთვის მზადების შესახებ. ინფორმაცია წარმოდგენილია რეალურ დროში, კონსოლი სინქრონიზებულია ელექტრონულ სამედიცინო სისტემასთან, რაც იძლევა პაციენტის მდგომარეობის შესახებ სწრაფად ინფორმაციის მიღების საშუალებას არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალისთვის, არამედ თავად პაციენტისთვისაც, რათა მასაც ჰქონდეს ინფორმაცია მკურნალობის კურსისა და მომავალი გეგმების შესახებ.

ბუნდანგის ჰოსპიტალს აქვს პაციენტთა ელექტრონული რეგისტრაციისა და მკურნალობის პროცესების აღრიცხვის განვითარებული რთული სისტემა, რომელიც გამოიყენება უცხოელ პაციენტებთან ურთიერთობაშიც. თითოეული პაციენტის სამედიცინო ისტორია ინახება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ეს ელექტრონული სისტემა შემუშავებულია და ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიის 40-კაციანი შტატის მხარდაჭერით.

სამედიცინო ინფრასტრუქტურა ადგილობრივი მოსახლეობისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის არის ერთიანი, დიაგნოსტიკური და თერაპიული აღჭურვილობის ჩათვლით. უცხოელი პაციენტის სპეციალისტთან ჩაწერა, და/ან მათი კონკრეტული გამოკვლევა ან მკურნალობის ტაქტიკის შემუშავება ხდება ელექტრონული სამედიცინო სისტემის გამოყენებით.

სამედიცინო დახმარების გაწევის სისტემა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მოქმედებს შემდეგნაირად:

სამედიცინო ორგანიზაცია იზიდავს უცხოელ პაციენტებს სამკურნალოდ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, თუმცა პაციენტები ძირითადად მაინც ჩინეთიდან, აშშ-დან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან, რუსეთიდან და ყაზახეთიდან შემოდიან.

უცხოელი მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად ჰოსპიტალს აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია. ის არის სამხრეთ კორეის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო მომსახურების ძირითად ექსპორტიორთა სიის წევრი. სამინისტრო ეწევა მოცემული სიის პოპულარიზაციას იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც ამ ტიპის მკურნალობა არ არის ხელმისაწვდომი ან იშვიათია, მკურნალობის ხარისხი დაბალია, და იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებშიც გარკვეული ტიპის მკურნალობა ქვეყნის მოსახლეობისთვის უფრო ძვირია, ვიდრე სამხრეთ კორეის სამედიცინო ორგანიზაციებში.

სამედიცინო მომსახურების ექსპორტისთვის სახელმწიფო ინტერნეტრესურსს იყენებს. სხვადასხვა ენაზე ოფიციალური ინტერნეტრესურსების არსებობა საშუალებას აძლევს უცხოელ მოქალაქეს, გაეცნოს სამხრეთ კორეაში მკურნალობისთვის საჭირო ინფორმაციას, ასევე მთავრობის ისეთ ზომებს,

რომლებიც წახალისებს ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მიღებას, მაგ. ზოგიერთი სამედიცინო მომსახურებისას ფასნამატზე გადასახადის დაბრუნება (VAT).

უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც გეგმავენ მკურნალობას სამხრეთ კორეაში, ვალდებულნი არიან, განაცხადი გააკეთონ შესაბამისი სამედიცინო ვიზის მიღებაზე. ვიზაზე განაცხადის ფარგლებში, უცხოელ მოქალაქეს გაუთვალისწინებელი სამედიცინო გართულების დასაზღვევად აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამედიცინო დაზღვევა. მან ასევე უნდა დაადასტუროს მზაობა, რომ შეუძლია მკურნალობის ხარჯების დაფარვა.

თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მომსახურებისას, ისევე როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებისას, არ არსებობს ცენტრალიზებული სახელმწიფო მენეჯმენტი. კორეული სამედიცინო ორგანიზაციები ბუნდანგის ჰოსპიტლის მაგალითზე უშუალოდ მუშაობენ უცხოურ სამედიცინო ორგანიზაციებთან, უცხოელ აღმასრულებელ ხელისუფლებასთანაც კი, შუამავალ კომპანიებთან, სადაზღვევო კომპანიებთან და ხსნიან წარმომადგენლობებს სხვადასხვა ქვეყანაში.

ბუნდანგის ჰოსპიტალი პაციენტებს ინტერნეტრესურსებისა და შუამავალი კომპანიების საშუალებით იზიდავს, რომლებიც თავის მხრივ მკურნალობას სთავაზობენ მათ, მათი წარმომადგენლობების, უცხოური სამედიცინო ორგანიზაციებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ბუნდანგის ჰოსპიტალში უცხოელი პაციენტების მიღების ძირითადი გზებია:

- 1) პაციენტების თვითრეფერალი;
- 2) ქვეყანაში შუამავალი კომპანიების მიერ პაციენტების მოზიდვა. იგივე კომპანიები მონაწილეობენ პაციენტების სხვა ქვეყანაში სამკურნალოდ გაგზავნის შემთხვევაშიც;
- 3) პაციენტების გაგზავნა ქვეყნის წარმომადგენლობითი ოფისებიდან უცხო ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური მკურნალობის მისაღებად.

ყველა შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პაციენტს აგზავნიან ქვეყნის წარმომადგენლობა, ელექტრონულ სისტემაში პაციენტები რეგისტრირდებიან, როგორც ახალი შემთხვევები და გადიან აუცილებელ კვლევებსა და სპეციალისტების კონსულტაციას. ეს ზომა უკავშირდება იმას, რომ ბუნდანგის ჰოსპიტალში შენარჩუნდეს ხარისხი და მკურნალობის სტანდარტი. თუმცა პაციენტებს შეუძლიათ წინასწარი კონსულტაციის გავლა, თუ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაწყების წინ ჰოსპიტალში გააგზავნიან სამედიცინო ამონაწერს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას და/ან MRT-ს. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს სამკურნალოდ აგზავნიან თავისი ქვეყნის წარმომადგენლობა, ეს პროცესი მოკლდება, ვინაიდან წარმომადგენლობა მკურნალობისა და გამოკვლევის იმავე სტანდარტს იყენებს, რომელიც ბუნდანგის ჰოსპიტალშია დადგენილი.

ჰოსპიტალი აქტიურად თანამშრომლობს შუამავალ კომპანიებთან და ამ მომსახურებას უცხო ქვეყნის პაციენტსაც სთავაზობს. მომსახურებაში შედის ტრანსპორტირება (რომელიც შესაბამისობაშია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან), საცხოვრებლით უზრუნველყოფა, გასართობი პროგრამები სამედიცინო დაწესებულების გარეთ, თარჯიმნისა და მომვლელის მომსახურება. შუამავალი კომპანიები არ ერევიან პაციენტის სამედიცინო მომსახურების ნაწილში. ბუნდანგის ჰოსპიტალი პაციენტს მკურნალობის სრულ ციკლს სთავაზობს - ყველა აუცილებელი გამოკვლევის, სპეციალისტის გასინჯვის, დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის მეთოდის განსაზღვრის, ყველა სამედიცინო პროფილით მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარების გამოყენებისა და შემდგომი რეაბილიტაციის ჩათვლით. პაციენტს ან მის სადაზღვევო კომპანიას უფლება აქვს ჰოსპიტალში შემოსვლისთანავე გადაიხადოს ყველა სამედიცინო ჩარევის საფასური - ღრმა სამედიცინო გამოკვლევების ღირებულება (სკრინინგი / გამოკვლევა); შეიძინოს ექიმის მეთვალყურეობის პაკეტი და მიიღოს საჭირო სამედიცინო მომსახურება კონკრეტული სამედიცინო პროფილით გარკვეული პერიოდის განმავლობაში (უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებლობა არ საჭიროებს პაციენტის მუდმივ ყოფნას ბუნდანგის ჰოსპიტალში. პაციენტს შეუძლია ეწვიოს სამედიცინო ორგანიზაციას,

მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში, არ არის აუცილებელი გადაიხადოს ყოველი ვიზიტის ღირებულება).

ცალკე, უნდა აღინიშნოს სამედიცინო მომსახურების ფასწარმოება, რომელსაც ბუნდანგის ჰოსპიტალში უცხო ქვეყნის მოქალაქეს უტარებენ. ამ დროს აქტიურად გამოიყენება სამედიცინო ორგანიზაციის ელექტრონული სისტემა. უცხო ქვეყნის მოქალაქეს პირადი სახსრებიდან სამედიცინო მომსახურების გადახდისას სჭირდება სადაზღვევო პოლისი, იმ შემთხვევისთვის, თუ დაავადება გართულდება და აუცილებელი გახდება პაციენტის საცხოვრებელ ქვეყანაში ტრანსპორტირება.

ბუნდანგის ჰოსპიტლის ელექტრონული სისტემის მუშაობა ეფუძნება ინტერნეტ ტექნოლოგიებს. შესაძლებელია შეტანილ იქნას ჩანაწერი, დაინიშნოს გამოკვლევა ან მკურნალობა; სამედიცინო ისტორია, ანალიზების შედეგები, სურათები და სხვა სამედიცინო ინფორმაცია ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ამ ორგანიზაციის ნებისმიერი მოწყობილობიდან, არამედ სამედიცინო პერსონალის ან თავად პაციენტის პირადი სმარტფონიდანაც.

ელექტრონული სისტემა აღრიცხავს არა მხოლოდ სამედიცინო ინფორმაციას, ჩანაწერებსა და დანიშნულებებს, არამედ ნებისმიერ წამალსა და ხარჯებს, იმ შტრიხკოდის სკანირებით, რომელიც გამოიყენებოდა პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას. ეს ხელს უწყობს დაავადების ისტორიისა და გამოყენებული მედიკამენტების ზუსტი რაოდენობის მონაცემების აღრიცხვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისას. გარდა ამისა, შესაძლებელს ხდის ეფექტურად მოხდეს უცხოელი პაციენტების მკურნალობის საფასურის ზუსტი განსაზღვრა და შესაბამისად - მკურნალობის საერთო ღირებულების გამოთვლა, ისე, რომ სამედიცინო ორგანიზაცია არ დარჩეს წაგებული.

სისტემა იძლევა ექიმის ელექტრონული ხელმოწერის შესაძლებლობას, ამიტომ მკურნალ ექიმს შეუძლია დაუყოვნებლივ დასვას დიაგნოზი და გააგზავნოს პაციენტი დამატებით გამოკვლევებზე.

ბუნდანგის ჰოსპიტლის აპლიკაცია, საშუალებას იძლევა, პაციენტს ხელი მიუწვდებოდეს თავის სამედიცინო ისტორიაზე, სურათებზე, კვლევის შედეგებზე და სხვა სამედიცინო ინფორმაციაზე მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან.

ბუნდაგის ჰოსპიტლის სამედიცინო სერვისით სარგებლობისას, ამ პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია კონსულტაციისთვის მკურნალ ექიმთან კონტაქტი. შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ექსპორტისას ეს აპლიკაცია კარგი იარაღია ტელემედიცინის განსავითარებლად.

უცხოელი პაციენტის მკურნალობის დასასრულ ეპიკრიზი, შემდგომი მკურნალობისა და რეაბილიტაციის რეკომენდაციები და სხვა თანმხლები სამედიცინო დოკუმენტაცია გაიცემა პაციენტის მშობლიურ ენაზე (შესაძლებლობის შემთხვევაში). თუ უცხოელი პაციენტის საცხოვრებელ ქვეყანაში არსებობს ბუნდაგის ჰოსპიტლის პარტნიორი სამედიცინო ორგანიზაცია, პაციენტს ეძლევა რეკომენდაცია მკურნალობის გასაგრძელებლად მიმართოს მას (*Дайхес, 2020*).

სამხრეთ კორეაში უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების სისტემის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- საკუთარი და უცხო ქვეყნის მოქალაქეების კერძო დამატებითი სამედიცინო დაზღვევა;
- სამედიცინო დაზღვევის პაკეტის შეთავაზება და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მორგება;
- სამედიცინო დაწესებულების ავტონომიური სახელმწიფო საორგანიზაციო მოდელი - სახელმწიფო სამედიცინო კორპორაცია;
- სამხრეთ კორეაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, სამედიცინო ორგანიზაცია, ონკოლოგიისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ცენტრი;
- ჰოსპიტალ ბუნდაგის, როგორც მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ცენტრის ცნობადი ბრენდი, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე საზღვარგარეთ;
- თანამედროვე შენობაში მდებარე სამედიცინო ორგანიზაცია, რომელიც ექსპლოატაციაში 2013 წელს შევიდა;
- მოწინავე სამედიცინო გამომთვლელი სისტემა და დაავადების წარმოების ელექტრონული სისტემა;

- ონკოლოგიური პაციენტების სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობა; დაბალი წლიური ლეტალობა ქირურგიული ჩარევების შემდეგ;
- სამედიცინო მომსახურების კონტროლის გამართული სისტემა; განყოფილებები აშშ-ში, ჩინეთსა და დუბაიში;
- ფართო ფუნქციონალის მქონე დიდი საერთაშორისო დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს როგორც ცალკე ქვეგანყოფილება;
- უცხო ქვეყნის პაციენტების საცხოვრებლად ცალკე გამოყოფილი პრემიუმკლასის სივრცე;
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეების მომსახურების გასაწევად ფლობს უცხო ენებს;
- უცხო ქვეყნის პაციენტზე თვალ-ყურის დევნების გრძელვადიანი დისტანციური სისტემა, ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით;
- ტელემედიცინის დახმარებით კონსულტაცია უცხო ქვეყნის პაციენტთან.

სუსტი მხარეები:

- გეოგრაფიული სიშორე იმ რეგიონებთან, რომლებიც გამოირჩევიან სამედიცინო ტურიზმის მაღალი მოთხოვნით, მაგ. ევროპასთან, ევრაზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან, აფრიკასთან და სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკასთან;
- მკურნალობის მაღალი ფასი;
- პერსონალისა და ტექნიკის გადატვირთვა, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნით, როგორც იქ მცხოვრებ მოსახლეობის, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან;
- ელექტრონულ სამედიცინო სისტემაზე მაღალი დამოკიდებულება. ელექტრონული სისტემის გათიშვის შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ შეყოვნდეს სამედიცინო მომსახურება;
- უცხო ქვეყნისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებისა და სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების საბუღალტრო აღრიცხვის რთული სისტემა;

- სამედიცინო ორგანიზაციის დიდი კრედიტები;
- იურიდიული რისკები, რომლებიც უკავშირდება ტელემედიცინის საშუალებით დაავადების არაკორექტულ განსაზღვრას.

შესაძლებლობები:

- ქვეყნის სადაზღვევო მედიცინის განვითარებული მოდელი;
- სამხრეთ კორეის კანონმდებლობაში სამედიცინო ვიზის არსებობა;
- განათლებული და კვალიფიცირებული საშუალო სამედიცინო პერსონალი. მედებს აქვთ უმაღლესი განათლება;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის სახელმწიფო აკრედიტაცია. შედის სამხრეთ კორეის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო მომსახურების მთავარ ექსპერტთა ჩამონათვალში;
- სამედიცინო ტურიზმის სტიმულირება სახელმწიფოს მხრიდან. უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებისთვის სახელმწიფო ვებსაიტის არსებობა. ფასნამატზე გადასახადის აწევის შესაძლებლობა;
- ცენტრალიზებული სახელმწიფო მართვის უქონლობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის სისტემაში, სწრაფი და მოქნილი რეაგირების შესაძლებლობა;
- პარტნიორების ეფექტური მოზიდვა.

საფრთხეები:

- უცხოელი პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის ძლიერი კონკურენცია. ფართო არჩევანი იმ სამედიცინო ორგანიზაციების, რომლებიც ხარისხიან მომსახურებას ეწევიან;
- სამედიცინო ორგანიზაციებს შორის მაღალკვალიფიციური სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაზრდილი კონკურენცია;
- რეგიონის გეოპოლიტიკური არასტაბილურობა;
- სამედიცინო დაწესებულების მაღალი კრედიტის პირობებში მსოფლიო ფინანსურ რისკებზე მაღალი დამოკიდებულება.

განვიხილოთ იტალიის პრაქტიკა:

სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული ტექნოლოგიების ექსპორტის პრაქტიკა იტალიაში შეგვიძლია განვიხილოთ სირკოლოს ჰოსპიტლის მაგალითზე (Ospedale di Circolo e Fondazione Macchi).

სირკოლოს ჰოსპიტალი ჩამოყალიბდა 1929 წელს და წარმოადგენს სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაციას, რომელიც არის ქვეყნის სამედიცინო ორგანიზაციების მემკვიდრე და ტრადიციის გამგრძელებელია უკვე 80 წელია. 1995 წელს იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურმა ორგანომ ჰოსპიტალი სირკოლო ნაციონალური მნიშვნელობის სამედიცინო ორგანიზაციად გამოაცხადა. ჰოსპიტლის ტერიტორიაზე განთავსებულია ინსუბრიას უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის, ბიო-ქიმიისა და მედიცინის ფაკულტეტები.

ჰოსპიტალ სირკოლოს განკარგულებაშია 1050 სადღეღამისო და დღიური სტაციონარი. სამედიცინო ორგანიზაციას სამედიცინო მომსახურების მისაღებად წელიწადში საშუალოდ 360 000 პაციენტი მიმართავს. მედიცინის დების საშუალო რიცხვი შეადგენს 2050-ს, ექიმების 190-ს. ამ სამედიცინო ორგანიზაციის 2016 წლის ბიუჯეტმა 459 მილიარდი ევრო შეადგინა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევისას შემდეგი სქემა მოქმედებს:

იტალიაში სამედიცინო დახმარების ექსპორტის ხელშესაწყობად არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა. სამედიცინო დახმარების მისაღებად აქ ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოდან ჩამოსულ უცხოელ მოქალაქეს ევალეზა ქვეყნის სპეციალური კატეგორიის ვიზის მიღება. უცხოელმა მოქალაქემ ვიზის ასაღებად, რომელიც სამედიცინო მომსახურების მისაღებად სჭირდება, აუცილებლად უნდა წარმოადგინოს სამედიცინო ორგანიზაციის მოწვევა, რომელშიც მითითებული იქნება მომსახურების საფასური და მკურნალობის ხანგრძლივობა; მკურნალობის 30%-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; სამედიცინო დოკუმენტაცია იმ ქვეყნის სამედიცინო ორგანიზაციიდან, რომლის მოქალაქეც არის; სამედიცინო დაზღვევის საერთაშორისო პოლისი, რომელიც მოქმედებს შენგენის ქვეყნებში.

უცხოელი პაციენტების მოსაზიდად სისტემური მუშაობა არ ხდება - სამედიცინო ორგანიზაციებში არ არსებობს უცხოეთის მოქალაქეებზე მომუშავე

საერთაშორისო დეპარტამენტი, არ აქვთ ინგლისურენოვანი ინტერნეტპორტალი. პაციენტების გაფორმებისთვის საჭირო აუცილებელ ფუნქციებს ასრულებს ეკონომიკური და საორგანიზაციო-მეთოდური განყოფილება.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ორგანიზაციის თანამშრომელთა უმეტესობამ, იტალიურის გარდა, სხვა ენა არ იცის. ინგლისურად მხოლოდ ცალკეული ექიმები და ადმინისტრაციის თანამშრომლები საუბრობენ. ინგლისურ ენაზე არ საუბრობს არც საშუალო სამედიცინო რგოლი. სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია პაციენტის ჰოსპიტალიზაციისთვის, ავადმყოფობის ისტორიის, ეპიკრიზისა და ანალიზის პასუხების ჩათვლით, მიიღება მხოლოდ იტალიურ ენაზე. სამედიცინო დოკუმენტაციას ადგილზე ასევე იტალიურ ენაზე ადგენენ.

ამასთან, სირკოლოს ჰოსპიტალი აქტიურად იზიდავს იტალიურ შუამავალ კომპანიებს უცხოელი მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად. შუამავალი კომპანიები ჰოსპიტალთან და უცხოელ პაციენტთან ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ შუამავლის როლს ორ მხარეს შორის. შუამავალი კომპანიები აგვარებენ უცხოელი პაციენტის ტრანსპორტირების, მისთვის მომვლელისა და თარჯიმნის შეთავაზების, სამედიცინო დოკუმენტაციის ნოტარიულ თარგმნისა და ნებისმიერ სხვა არასამედიცინო ურთიერთობის პრობლემას პაციენტსა და ჰოსპიტალს შორის.

ჰოსპიტალს შემუშავებული აქვს სამედიცინო მომსახურებათა ჩამონათვალი, რომელსაც უცხოელ მოქალაქეებს უწევენ, და შესაბამისი ღირებულება. სამედიცინო დაწესებულება სპეციალიზებულია შემდეგი მიმართულებებით - ონკოლოგია (ქირურგიული მკურნალობა და რეკომენდაციები შემდგომი მკურნალობისთვის), კარდიოქირურგია და კარდიოლოგია, გასტროენტეროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგია. დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში პაციენტს შეუძლია აირჩიოს პალატა. სხვა მომსახურების არჩევის უპირატესობით უცხოელი პაციენტი არ სარგებლობს. უცხოელი პაციენტები იმავე საწოლებზე არიან განთავსებულნი, რომლებზეც განათავსებენ ადგილობრივ პაციენტებს. პალატის - ერთადგილიანი ან რამდენიმეადგილიანი - შერჩევა ხდება უცხოელი პაციენტის არჩევანის მიხედვით.

უცხოელი მოქალაქისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის სისტემა ფუნქციონირებს შემდეგნაირად:

სირკოლოს ჰოსპიტალში მკურნალობას გადიან პაციენტები აღმოსავლეთ ევროპიდან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან, ასევე რუსეთის ფედერაციიდან. პაციენტები იყოფიან ორ ძირითად კატეგორიად: უცხოელი პაციენტები ევროკავშირის ქვეყნებიდან, და უცხოელი პაციენტები სხვა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან. უცხოელ პაციენტს ნებისმიერ შემთხვევაში მოეთხოვება სამედიცინო სადაზღვევო პოლისის წარდგენა სამედიცინო ორგანიზაციაში მკურნალობის ჩასატარებლად. ეს უკავშირდება რისკების შემცირებას, იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს დამატებითი სამედიცინო ჩარევა დასჭირდება, დაავადება გართულდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესდება.

თუ უცხოელი პაციენტი ევროკავშირის წევრი ქვეყნიდანაა, ჰოსპიტალი არ ითხოვს ვიზას მისი მკურნალობის ჩასატარებლად. თუ პაციენტი ფლობს იტალიურ ენას და არის იტალიაში, მას პირდაპირ შეუძლია მიმართოს სამედიცინო ორგანიზაციას და შესაბამისი ღირებულების გადახდის საფუძველზე გაიაროს დაგეგმილი ჰოსპიტალიზაცია.

არსებობს ევროკავშირის ქვეყნებიდან პაციენტების მოზიდვის სისტემური პრაქტიკა შუამავალი კომპანიების მიერ. შუამავალი კომპანიები დებენ ხელშეკრულებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამედიცინო ორგანიზაციებთან, ჰოსპიტალ სირკოლოში განსაზღვრული მკურნალობისთვის პაციენტების გამოსაგზავნად. უცხოური სამედიცინო ორგანიზაციები მოიძიებენ პაციენტს სირკოლოს ჰოსპიტალში სამკურნალოდ. სთავაზობენ მას, ისარგებლოს შუამავალი კომპანიების მომსახურებით, რომელშიც გადაიხდის მომსახურების საფასურს. პაციენტის თანხმობის შემთხვევაში აუცილებელი სამედიცინო დოკუმენტაცია ითარგმნება იტალიურ ენაზე და განსახილველად გადაეცემა ჰოსპიტლის საორგანიზაციო-მეთოდურ განყოფილებას, ღირებულებისა და უცხოელი პაციენტის გეგმური ჰოსპიტალიზაციის თარიღის დასადგენად. ღირებულების დათვლა ხდება ერთობლივად, ეკონომიკურ განყოფილებასთან ერთად. საერთო ღირებულება

ითვლება ნაციონალური კლინიკურ-სტატისტიკური ჯგუფის საფუძველზე, რომელიც მოიცავს აუცილებელ გამოკვლევებს, ქირურგიულ მანიპულაციებს, თერაპიასა და აუცილებლობის შემთხვევაში - შემდგომ რეაბილიტაციას. ამ გამოთვლას ემატება დამატებითი ღირებულება, რომელსაც ადგენს სამედიცინო ორგანიზაცია. აუცილებელი ინფორმაცია მიდის საორგანიზაციო მეთოდურ განყოფილებამდე და გადაეცემა შუამავალ კომპანიას. უცხოელი პაციენტის ჰოსპიტალიზაციის თარიღი შეაქვთ ჰოსპიტლის გეგმური ჰოსპიტალიზაციის ელექტრონულ ჟურნალში. მკურნალი ექიმი და მედდები, რომლებიც უცხოელ მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, მკურნალობის დასრულების შემდეგ თითოეულ უცხოელ პაციენტზე ხელფასზე დანამატს იღებენ.

ყველა მხარის შეთანხმებისა და მომსახურების წინასწარი გადახდის შემდეგ პაციენტი იგზავნება ჰოსპიტალში, შუამავალი კომპანიის დახმარებით. შემთხვევათა უმეტესობაში სირკოლოს ჰოსპიტალში მკურნალობის გავლის შემდეგ უცხოელი პაციენტები იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ და რეაბილიტაციას გადიან ევროკავშირის ქვეყნის იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომლიდანაც ის ჰოსპიტალში გააგზავნეს.

ანალოგიური სისტემური მიდგომა მოქმედებს იმ პაციენტების შემთხვევაშიც, რომლებიც ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან არიან. შესაძლებელია პაციენტის მოძიება სამედიცინო ორგანიზაციების მიერ, რომელშიც შემდეგ მონაწილეობას მიიღებს შუამავალი კომპანია, ჰოსპიტალში მკურნალობის გასაველეად. პაციენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს სამედიცინო ვიზა. პაციენტს შეუძლია თვითონ მიმართოს შუამავალ კომპანიას, სირკოლოს ჰოსპიტალში სკრინინგისა და მკურნალობის გასაველეად (**Дайхес, 2020**).

იტალიაში უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების სისტემის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ნაციონალური მნიშვნელობის მსხვილი მრავალპროფილური სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაცია;

- მკურნალობის მაღალი ხარისხი, ორგანიზაციის ბაზაზე განთავსებულია სამედიცინო ფაკულტეტი;

- პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კუთხით სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა;

- სამედიცინო ორგანიზაციას დამატებითი საფასურის შემთხვევაში შეუძლია უკეთესი პალატის შემოთავაზება როგორც უცხო ქვეყნის, ასევე ადგილობრივი პაციენტებისთვის;

- უცხო ქვეყნის მოქალაქეების ნაკადის შედგენა, პაციენტების მოძიების თვალსაზრისით უცხოურ სამედიცინო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ყველა არასამედიცინო მომსახურების შუამავალი კომპანიების აუტსორინგზე გადატანა, რაც ათავისუფლებს სირკოლოს ჰოსპიტლის რესურსს და უფრო მოქნილს ხდის პროცესებს;

- საავადმყოფოს ბრენდი პლასტიკური და ესთეტიკური მედიცინის კუთხით ცნობილია ახლო აღმოსავლეთისა და ირანის ყურის ქვეყნებისთვის.

სუსტი მხარეები:

- საერთაშორისო განყოფილების არქონა. უცხოელ პაციენტებთან ურთიერთობის საკითხებზე მუშაობს არასპეციალიზებული ქვეგანყოფილებები;

- სისტემური მიდგომის არარსებობა უცხო ქვეყნის პაციენტების მომსახურებაში. მომსახურების მისაღებად საჭიროა საერთო რიგში დგომა;

- არ ხდება სისტემური მუშაობა უცხო ქვეყნის პაციენტების მოსაზიდად;

- არ არსებობს ინტერნეტპორტალი ინგლისურ ენაზე;

- საშუალო სამედიცინო რგოლი და ადმინისტრაციული პერსონალი არ ფლობს უცხოურ ენებს, მათ შორის არც ინგლისურ ენას;

- ყველა აუცილებელი სამედიცინო დოკუმენტაცია მიიღება მხოლოდ იტალიურ ენაზე. ასევე, გამოწერის დროს პაციენტი სამედიცინო დასკვნას იღებს იტალიურ ენაზე;

- შუამავალ კომპანიებზე ძლიერი დამოკიდებულება უცხო ქვეყნის პაციენტების მოძიების თვალსაზრისით.

შესაძლებლობები:

- იტალია ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია დაუბრკოლებლად მოიზიდოს პაციენტები სხვა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან;

- შენგენის ზონის ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, სამედიცინო ვიზის არსებობა;

- ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან გეოგრაფიული სიახლოვე, რაც კარგი წინაპირობაა აქაური პაციენტების მოსაზიდად;

- კულტურულ-ესთეტიკური ტენდენციები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. სამედიცინო მომსახურებათა შორის სახის კორექციისთვის უპირატესობის მინიჭება, განსაკუთრებით პოპულარულია რინოპლასტიკა.

საფრთხეები:

- სამედიცინო ტურიზმის განვითარების კუთხით არ ტარდება სისტემური სახელმწიფო პოლიტიკა;

- სამედიცინო ორგანიზაციებზე სახელმწიფო კონტროლი.

რა გამოცდილებას გვთავაზობს სამედიცინო ტურიზმის ტექნოლოგიების კუთხით **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა**.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არ არსებობს აუცილებელი სრულფასოვანი სამედიცინო დაზღვევის სისტემა და მოსახლეობისთვის სახელმწიფო გარანტიის პროგრამები. პაციენტმა გეგმური სამედიცინო მომსახურების გაწევამდე აუცილებელია სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაციას გადაუხადოს გასაწევი სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების 60%. დარჩენილ საფასურს იხდის სახელმწიფო. მოცემული სახელმწიფო პოლიტიკა ვრცელდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ზოგიერთ ტიპზეც. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოს აღმასრულებელი ხელისუფლება არ ატარებს სამუშაოებს შემოსვლითი სამედიცინო ტურიზმის განსავითარებლად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამედიცინო მომსახურების ექსპორტის საორგანიზაციო ტექნოლოგიის პრაქტიკა შეგვიძლია განვიხილოთ ცზიამუსის ცენტრალური საავადმყოფოს მაგალითზე. ცზიამუსი არის ხეილუნცზიანის პროვინციის ყველაზე მსხვილი სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაცია, რომელშიც

ამბულატორიულ მკურნალობას ყოველწლიურად 700 000 ადამიანი გადის, ხოლო დღიურ და სადღეღამისო სტაციონარში მკურნალობას კი - 65 000 ადამიანი. სამედიცინო დაწესებულება მრავალპროფილურია. აქვს 1700 საწოლი. ცზიამუსის მთავარი განყოფილებებია: კარდიოლოგიის, საერთო ქირურგიის, გინეკოლოგიისა და ნეფროლოგიის განყოფილება (აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამედიცინო ორგანიზაცია წარმოადგენს რეგიონის დიალიზის ცენტრს), ჩინეთის ტრადიციული მედიცინის განყოფილება. ორგანიზაციის სამედიცინო პერსონალი შედგება 2 400 პირისგან, მათ შორის 2 000 მედიკოსი, 200 ექიმისგან, დანარჩენი - ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალია. ცზიამუსის ცენტრალურ საავადმყოფოს არ შეუძლია მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების გაწევა. ის წარმოადგენს მეორე დონის სამედიცინო ორგანიზაციას (ზოგიერთი ქვეყნის კრიტერიუმის მიხედვით). აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაცია დახმარებას უწევს პაციენტებს ბავშვთა ცერებრალური დამბლით.

ცზიამუსის ცენტრალურ საავადმყოფოს არ აქვს სისტემური მიდგომა, როგორ გაუწიოს სამედიცინო დახმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. საავადმყოფოს არც სპეციალური ინფრასტრუქტურა აქვს, რომელიც განკუთვნილი იქნება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. უცხო ქვეყნის პაციენტი სამედიცინო მომსახურების მისაღებად ფორმდება, როგორც ჩვეულებრივი პაციენტი, რომელმაც მომსახურება თავისი ჯიბიდან უნდა დაფაროს. სამედიცინო პერსონალმა იცის მხოლოდ ჩინური ენა.

უცხოელი პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების სისტემა არ გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით. მათ სამედიცინო მომსახურებას ორგანიზებას უწევს შუამავალი კომპანიები, რომლებიც ცდილობენ უცხოელი პაციენტების მოზიდვას.

ცზიამუსის ცენტრალურ საავადმყოფოში უცხოელ პაციენტებს არ უტარებენ რადიკალურ მკურნალობას, კერძოდ, არ უტარებენ სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას, მაგრამ მათ ასეთი მკურნალობა უტარდებათ გადაუდებელი შემთხვევებისას.

არსებობს ტენდენცია, როცა შუამავალი კომპანიები ცდილობენ, მოიზიდონ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შორეული აღმოსავლეთიდან კონსერვატიული მკურნალობის ჩასატარებლად. კერძოდ, ჩინური ტრადიციული მეთოდებით - ცზიამუსის ცენტრალურ საავადმყოფოსა და კერძო კლინიკაში, რომელიც დახმარებას უწევს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს.

ცზიამუსის ცენტრალური საავადმყოფოს უცხოელი პაციენტების მოზიდვის ძირითადი ფაქტორია დაბალი ფასი და ჩინური ტრადიციული მეთოდებით მკურნალობის რეკლამა (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ამ მეთოდების ეფექტურობის დამადასტურებელი სამეცნიერო შრომები). მკურნალობა გულისხმობს ჩინური ბალახების მიღებას, ჩინურ მასაჟებსა და მანუალური თერაპიის მომსახურებას, ნემსებით მკურნალობას, ჯგუფურ მუშაობას წვრილი მოტორიკის განსავითარებლად (ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვებში). უცხოეთის მოქალაქეებს სთავაზობენ კომპლექსურ მომსახურებას, რომელშიც იგულისხმება სარკინიგზო თუ ავიაბილეთების შექმნა, საცხოვრებელი ადგილი, თარჯიმნისა და მომვლელის მომსახურება. შუამავალი კომპანიები ჩინეთში მკურნალობის მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ვიზის მიღებაშიც უწევენ დახმარებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არ არსებობს უცხოელი მოქალაქისთვის სამედიცინო მომსახურების მისაღებად განსაკუთრებული ვიზა. შემთხვევების უმეტესობაში გამოიყენება ან ტურისტული ვიზა, ან რუსეთის ფედერაციის იმ მოქალაქეებისთვის განკუთვნილი ვიზა, რომლებიც ცხოვრობენ ჩინეთის საზღვარზე. ეს ვიზა ფორმდება ჩინური მხარის მოწვევის საფუძველზე.

ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გაწეული მომსახურება უმეტეს შემთხვევაში არის კონსერვატიული, ხდება ქირურგიული მეთოდების გამოყენების გარეშე და ცზიამუსის ცენტრალურ საავადმყოფოში არ მუშაობს სადაზღვევო სამსახური. გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდა ხდება ნაღდი ფულით, არ არის საჭირო სამედიცინო დაზღვევა. გადახდა ხდება მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ და მკურნალობის დასრულების შემდეგ არ აქვთ პაციენტისთვის თვალ-ყურის დევნების პრაქტიკა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცზიამუსის ცენტრალურ საავადმყოფოს არ აქვს უცხო ქვეყნის პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის განვითარებული პრაქტიკა. თუმცა უცხოელი პაციენტების სამკურნალოდ მოზიდვა საკმაოდ მომგებიანი მიმართულებაა შუამავალი კომპანიებისთვის. (Дайхес, 2020)

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების სისტემის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- რეგიონული მნიშვნელობის მსხვილი მრავალპროფილური სამედიცინო ორგანიზაცია;
- ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის საშუალება ჩინური ხალხური მედიცინის მეთოდების გამოყენებით;
- მკურნალობის დაბალი ფასი; შუამავალი კომპანიების ფართო სპექტრი, რომლებიც ახორციელებენ პაციენტების მოზიდვას, გაფორმებასა და გაძღოლას.

სუსტი მხარეები:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად საჭირო განვითარებული სისტემის არქონა. უცხოელი პაციენტები ფორმდებიან, როგორც გადამხდელი პაციენტები;
- ყველაზე ხშირად იტარებენ თერაპიულ მომსახურებას. არ ატარებენ, ან არ არსებობს მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება;
- სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია;
- სამედიცინო დაწესებულების პერსონალი ფლობს მხოლოდ ჩინურ ენას.

შესაძლებლობები:

- ჩინური ტრადიციული მედიცინის მიმართ მზარდი ინტერესი;
- სამედიცინო ტურიზმის სფერო პრაქტიკულად არ არის რეგლამენტირებული.

საფრთხეები:

- სამედიცინო ვიზის არქონა. პაციენტი, რომელიც ჩინეთში გადაწყვეტს მკურნალობას, ამას პრაქტიკულად უკანონოდ აკეთებს;
- გართულების შემთხვევაში მკურნალობის გასაგრძელებლად ან საცხოვრებელ ქვეყანაში ევაკუაციის ხარჯების დასაფარავად სამედიცინო დაზღვევის განვითარებული სისტემის არარსებობა;
- სამედიცინო ორგანიზაციების კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან.

ამგვარად, ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში უცხოელი მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის ორგანიზაციული სისტემა მაღალი ჰეტეროგენულობით ხასიათდება. არსებობს სამედიცინო მომსახურების ექსპორტის ორგანიზების შემდეგი ძირითადი მიდგომები: სამედიცინო ექსპორტის ორგანიზების შემადგენლობაში არის განსაკუთრებული ქვეგანყოფილება, რომელიც სპეციალიზებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან ურთიერთობაზე, პაციენტების საშუაშვლო კომპანიებით მოზიდვასა და სამედიცინო პერსონალის მომზადებაზე. შესაძლებელია მოცემული მიდგომების შეთავსება. დიდი ბრიტანეთისა და კორეის რესპუბლიკის მაგალითი წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების ექსპორტის პირველი მიდგომის დემონსტრირებას.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სამედიცინო ტურიზმის განვითარებას, არის სამედიცინო ორგანიზაციების მხრიდან სისტემატური მუშაობა სამიზნე ქვეყნის საელჩოებთან და უცხოურ სამედიცინო ორგანიზაციებთან, რომელიც ემსახურება სამედიცინო ორგანიზაციების წარმატებას; ცალკე შენობა უცხო ქვეყნიდან ჩამოსული პაციენტებისთვის; სამედიცინო პერსონალის მიერ უცხო ენების ფლობა; უცხოელი პაციენტებისთვის შემუშავებული თანმხლები საოპერაციო პროცესები; შემდგომი თვალ-ყურის დევნების შესაძლებლობები საცხოვრებელ ქვეყანაში და ტელემედიცინის კონსულტაციების ჩატარება.

სახელმწიფოს მხრიდან სამედიცინო ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს: სპეციალური ვიზის ქონა, ამ ტიპის მოღვაწეობის ხელშესაწყობად შემუშავებული საკანონმდებლო რეგულაციები, დიპლომატიური უწყებების სისტემატური მუშაობა უცხოელ კოლეგებთან და სამედიცინო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების უგულებელყოფას მივყავართ სამედიცინო მომსახურების ექსპორტის შესაძლებლობების შეზღუდვასთან, რაც ნათლად ჩანს იტალიის, განსაკუთრებით კი, ჩინეთის მაგალითიდან.

3.2. რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

საქართველოში სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმის განსავითარებლად ერთ-ერთი პერსპექტიული რეგიონია - აჭარა. ამ რეგიონს ბევრი თვალსაზრისით ისეთი უპირატესობები აქვს, რომლებიც ხელს მისცემდა ამ სფეროს განვითარებას. ამ მიზეზთაგან უპირველესად უნდა დასახელდეს მისი ბუნებრივი და კულტურული პოტენციალი.

აჭარა საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონია, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა ტურისტების სიმრავლით. მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა ზღვისა და სამთო კურორტები რეგიონს ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. სწორედ მისი მდებარეობა გამოა, რომ ამ რეგიონს ახალი კორონავირუსის პირობებშიც კი არ დაუკარგავს მომხმარებელი, თუმცა პანდემიამ ტურისტების რაოდენობაზეც დატოვა კვალი.

ვინაიდან სამედიცინო ტურიზმი მკურნალობასთან ერთად დასვენებასა და განტვირთვას გულისხმობს, მნიშვნელოვანია, სამედიცინო ტურისტებისთვის განკუთვნილი დაწესებულებები, სადაც ისინი სამედიცინო დახმარებას მიიღებენ, განლაგებული იყოს ისეთ ადგილებში, სადაც ისინი ხარისხიან დასვენებასა და განტვირთვას შეძლებენ. ამ თვალსაზრისით აჭარის რეგიონს საკმაოდ მომგებიანი პოზიცია აქვს.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი რეგიონია. მისი დარგობრივი მრავალფეროვნება და საწარმოო ძალების სიმრავლე სხვადასხვა ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. აქ მუდამ დგას ისეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორცაა - დასვენება და მკურნალობა.

ვფიქრობთ, აჭარისთვის, როგორც კომპლექსური ეკონომიკის, მომგებიანი გეოპოლიტიკისა და სპეციფიკური დემოგრაფიული რეგიონისთვის სამედიცინო მომსახურების ინოვაციურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს სამედიცინო კლასტერი. სამედიცინო კლასტერი ეს არის ორგანიზაციული მოდელი, რომლის ფორმირებაც ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ეფუძნება სახელმწიფო კერძო რესურსების ინტეგრაციას და ეფექტურადაა ჩართული პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის, დასვენებისა და გაჯანსაღების პროცესებში. კლასტერი მოიცავს სამედიცინო ობიექტებს, შესაბამისი პროფილის დაწესებულებებს, მსხვილ ტურისტულ ობიექტებსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. ინტეგრაციის ასეთი ფორმა თავის მხრივ ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების დანერგვას და განვითარებას რეგიონში.

საკურორტო ზონების თვალსაზრისით აჭარის რეგიონის მიმზიდველობასა და პერსპექტიულობაზე მეტყველებს ბუნებრივი რესურსების სიმრავლეც.

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო სამკურნალო, გამაჯანსაღებელი, დასასვენებელი, საკურორტო ადგილებით: ამას ხელს უწყობდა საქართველოს ბუნებრივი მდებარეობა ზომიერ განედში. კავკასიონის ქედი, რომელიც ქვეყანას ჩრდილოეთიდან აკრავს, არ იძლევა აქ ცივი მასების შემოჭრის საშუალებას. ამიტომ კლიმატი რბილი და სასიამოვნოა. სამხრეთიდან კი ცხელი მასების თავისუფალ გადაადგილებას კავკასიონის მცირე ქედები აბრკოლებს. დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო ზოლის თბილი და ნოტიო ჰავა განაპირობებს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს კლიმატი რბილი და სუბტროპიკულია, ხოლო აღმოსავლეთით შედარებით მშრალი და რბილი. საკურორტო ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯანსაღი ჰავა. საქართველო ამ ნიშნითაც გამორჩეულია. ზომიერი ნოტიო ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მშრალი კონტინენტური კასპიის აუზებსშორისი მდებარეობა იმის განმაპირობებელია, რომ საქართველოში თბილი და ნოტიო ჰავაა.

ასეთი ბუნებრივი მოცემულობა განაპირობებს საქართველოში მიმზიდველ საკურორტო კლიმატურ პირობებს როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში

დასვენებისათვის. ამაზე მეტყველებს მისი მიმზიდველი, ლამაზი ბუნება, ზომიერი კლიმატური პირობები, მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტი, თოვლითა და ყინულით მუდმივად დაფარული კავკასიონის ქედი, შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მთის მდინარეები და ჩანჩქერები, კასტრული მღვიმეები, მრავალგვარი კურორტები, სამკურნალო ცივი და ცხელი მინერალური წყაროები, მტკნარი წყლის მნიშვნელოვანი მარაგი.

აქ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ადამიანებს მუდამ იზიდავდა - ხუროთმოძღვრული ძეგლები, მვირფასი არქეოლოგიური მასალა, უნიკალური ნაკრძალები, ხელუხლებელი ველური ბუნების ნაწილები, ნაციონალური პარკები, ქართული ფოლკლორი, ტრადიციები, სტუმართმოყვარეობა.

საქართველო გამოირჩევა ჰიდრომინერალური რესურსების მრავალფეროვნებით. ქვეყანაში 2000-ზე მეტი მინერალური წყალია, რომელთაგან 1700-ზე მეტს ბუნებრივი გამოსავალი აქვს. აქაური მინერალური წყლების ბუნება შეისწავლა სხვადასხვა მკვლევარმა. აღმოჩენილი ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლებით დადგინდა, რომ წყლების უმრავლესობას სამკურნალო თვისებები აქვს.

საქართველოში შესაძლებელია სამედიცინო ტურიზმის ისეთი სპეციფიკური სახეების განვითარება, როგორცაა, კლიმატური (მთის, ზღვის სანაპირო, ტყის და ველის კურორტები) და ბალნეოლოგიური კურორტები (სასმელი წყლისა და აბაზანებით სამკურნალო). ისინი ოდითგანვე წარმოადგენდნენ ქვეყნის ტურისტულ ღირსებას. ქვეყანაში კურორტების განვითარება 19-20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ამ პერიოდში დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი ბორჯომსა და აბასთუმანში, ხოლო მოგვიანებით მე-19 საუკუნის ბოლოს შავი ზღვის სანაპიროზე. საბჭოთა პერიოდში ქართული კურორტები აღიარებული იყო, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სამედიცინო დანიშნულების ადგილები.

აჭარის შავიზღვისპირეთი ოდითგანვე ცნობილი იყო ბუნებრივი სამკურნალო-რეკრეაციული რესურსებით. მიუხედავად მცირე ფართობისა, ქვეყნის ტერიტორიაზე 11 კლიმატური სარტყელია, რის გამოც აქ სპეციფიკური გეოგრაფიული პირობები და ლანდშაფტის მკვეთრად განსხვავებულ ტიპებია. ეს ქმნის ისეთ კლიმატურ

პირობებს, რომელიც ხასიათდება გამოხატული თერაპიული ეფექტით სხვადასხვა დაავადებისა და პათოლოგიის სამკურნალოდ (ფარესიშვილი,... 2020).

მარადთოვლიანი მწვერვალები და მყინვარები, შავი ზღვის სუბტროპიკული სანაპირო და უამრავი მინერალური წყარო საკურორტო ადგილების სიუხვეს განაპირობებს. ამ ეტაპზე ოფიციალურად რეგისტრირებულია 103 კურორტი და 180-მდე საკურორტე ადგილი, 2300-მდე მინერალური წყლის გამოსავალი. ისეთ ცნობილ მინერალურ წყლებთან ერთად, როგორცაა ბორჯომი, ნაბეღლავი, ფასანაური, აგრეთვე მაღალი თერაპიული ეფექტიანობით ხასიათდება თერმული სულფიდური, რადონული, აზოტოვანი, სილიციუმის მინერალური წყლები, რომლებიც გამოიყენება სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, გინეკოლოგიური თუ სხვა დაავადებების სამკურნალოდ (ფარესიშვილი..., 2020).

მთის კურორტები მკურნალობისა და დასვენებისთვის საჭირო უნიკალური კლიმატური პირობებით გამოირჩევა. ამ უკანასკნელის მიზეზი კი მზის სპექტრის, განსაკუთრებით, ულტრაიისფერი სხივების მაღალი აქტივობა და ნათების ხანგრძლივობა, ასევე სუფთა ჰაერი და ზომიერი ტემპერატურაა. განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება შავიზღვისპირეთის ზონა, სადაც კლიმატური თერაპია ეფექტიანია მთელი წლის განმავლობაში. ნოტიო ზღვის ჰავა და ქვიშა ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი და ნერვული სისტემების დაავადებების დროს, ასევე სასარგებლოა სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენილია სამკურნალო ტალახების ფართო სპექტრი, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელ ინდუსტრიაში. აგრეთვე, არსებული კარსტული მღვიმის სპეციფიკური მიკროკლიმატი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა სასუნთქი ორგანოებისა და ნერვული დაავადებების სამკურნალოდ.

ამ რეგიონში მონაცვლეობენ გარდამავალი ზონები - სუბტროპიკულიდან ალპურამდე, სუფთა ჰაერით, ბიომრავალფეროვნებით, მდიდარი მცენარეული და მინერალური რესურსით: პელოიდებით, მინერალური წყლებით. აჭარის ბუნებრივი ეკოსისტემების მიმართ დღითიდღე მზარდი ინტერესის მიზეზად - ამ მცირე

ტერიტორიაზე თავმოყრილი მრავალფეროვანი ლანდშაფტების ერთობლიობა, წყლისა და ტყის მდიდარი რესურსები, ზღვისა და მთის კურორტები უნდა დასახელდეს. სანაპირო ზოლიდან (რომელიც მოიცავს დაბლობ რაიონებს) ყველაზე მაღალ მთამდე სიმაღლე ზღვის დონიდან 100-დან - 3000 მეტრს შორის მერყეობს. (ზაკურიძე..., 2017) საერთაშორისო კონფერენცია.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას აჭარის კურორტების გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატის, ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების შესახებ



(სააკაშვილი..., 2011) და ასევე იმას - რა სახის მკურნალობის ჩატარება შეგვიძლია აქ ბუნებრივი რესურსის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.

შედგენილია ავტორის მიერ

კურორტი ბათუმი - აჭარის დედაქალაქია. გეოგრაფიული კახაბრის დაბლობზე მდებარეობს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ეკვრის შავშეთისა და მესხეთის ქედები, თბილისიდან 350 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 5 მ. რელიეფურად – ვაკე-ბორცვიანი; კლიმატურად – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკულია.

აქ ზამთარი რბილი, უთოვლოა. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,5C. ზაფხული ძლიერ თბილი და ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2718 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 81%.

აქ ხარობენ სუბტროპიკული მცენარეები (მაგნოლია, ევკალიპტი, დაფნა, ბამბუკი და სხვა). გარეუბნებში ხარობს ციტრუსოვანი პლანტაციები (მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი). ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი. მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.) (სააკაშვილი..., 2011)

კურორტი მახინჯაური - ადმინისტრაციულად მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონში. გეოგრაფიული მდებარეობა - შავი ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლი, კარა-დარესა და მწვანე კონცხს შორის მოთავსებული ველი, ქ. ბათუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 15 მ. რელიეფურად – ვაკე; კლიმატურად – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული რაიონია.

ზამთარი რბილი, უთოვლო იცის. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,7C. ზაფხული ძალიან თბილია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2750 მმ. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 81%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი.

აქ ხარობს სხვადასხვა ხეხილი (ციტრუსოვანი) და დეკორატიულ-სუბტროპიკული ჯიშები. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი და სუბთერმული (ტემპერატურა 23C - 26C), სუსტად სულფი-დური, კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,2 გ/დმ³. მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.), მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი მწვანე კონცხი - ადმინისტრაციულად ხელვაჩაურის რაიონში მდებარეობს. ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით, შავი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლზე,

მესხეთის ქედის ფერდობებზე მდებარეობს. სიმაღლე ზღვის დონიდან – 90 მ; რელიეფი – მთაგორიანი; კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკულია.

ზამთარი რბილი, უთოვლო იცის. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,5°C. აქ ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიოა. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21,1°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2897 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 80%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1815 საათი. აქ ხარობს სუბტროპიკული მცენარეები. კურორტს ამშვენებს მსოფლიო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღი.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი. მკურნალობის სახეობა - თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ქობულეთი – ქალაქის ტიპის რაიონული ცენტრია. მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობებზე, ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 21 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 5 მ. რელიეფურად – ვაკე, კლიმატურად – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკულია. ზამთარი აქ რბილი, უთოვლო იცის. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,8°C. ზაფხული ძლიერ თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 2514 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 81%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

აქ ხარობს სუბტროპიკული, დეკორატიული მცენარეულობა, ჩაის პლანტაციები. ქობულეთისთვის დამახასიათებელი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი. მკურნალობის სახეობა - თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქობულეთის უნიკალური ქვიშის პლაჟი, რომლის სიგრძე 12 კილომეტრია და ერთ-ერთ საუკეთესო პლაჟად ითვლება კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. აქაური სამკურნალო თერაპიული ფაქტორებია: ზღვის ჰავა, ზღვაში აბაზანები, ქვიშიანი პლაჟი; კურორტი რეკომენდებულია

სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური, ნერვული და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების, სისხლნაკლებობისა და რაქიტის სამკურნალოდ. პლაჟსა და დასახლებულ ტერიტორიას შორის მდებარეობს ფიჭვის ჭალები, რომლებიც განსაკუთრებულ მიკროკლიმატს ქმნის და ძალიან სასარგებლოა გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებების სამკურნალოდ (ფარესაშვილი..., 2020).

კურორტი ციხისძირი – ადმინისტრაციულად ქობულეთის რაიონს ეკუთვნის. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლი, მოსაზღვრე მაღლობების (მცირე კავკასიონის განშტოებები) კალთები, რომლებიც ეშვებიან ზღვაში და ქმნიან კონცხს, ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 19 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 50 მ. რელიეფი – მთაგორიანი. კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო იცის. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,2C. ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2732 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200-2300 საათი. გამოირჩევა სუბტროპიკული, დეკორატიული მცენარეულობით, ციტრუსის ბაღებითა და ჩაის პლანტაციებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი. მკურნალობის სახეობა - თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ბეშუმი ადმინისტრაციულად – ხულოს რაიონში მდებარეობს, არსიანის ქედის აღმოსავლეთი ფერდობზე, აჭარის მთიანეთში. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1850-1900 მ. რელიეფი – მთაგორიანი, კლიმატი – საშუალო მთის (ზედა სარტყელი), ზომიერად მშრალია. ზამთარი ცივი, უხვთოვლიანი იცის. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5C. ზაფხული ზომიერად თბილი, ნოტიოა. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17C. ნალექების წლიური რაოდენობა – 1100 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%-ია. მზის ნათების ხანგრძლივობაა წელიწადში – 2000 საათი. აქაური ფლორა – წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი) ტყეებია.

ცნობილია საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავით. მკურნალობის სახეობაა - პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი გომარდული ადმინისტრაციულად - შუახევის რაიონში მდებარეობს, გეოგრაფიულად კი - მდინარეების აჭარის წყლისა და ვანის წყლის (ნადვარევის წყლის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფის ჩრდილოეთი კალთაზე. შუახევიდან 23 კმ-ის მანძილზე.

სიმაღლე ზღვის დონიდან - 1120 მ. რელიეფი - მთაგორიანი, კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი) ზომიერად ნოტიოა. ზამთარი ზომიერად რბილი, უხვთოვლიანი იცის. დეკემბრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე მდგრადი თოვლის საფრითაა დაფარული. იანვრის საშუალო ტემპერატურა - 1,3C. ზაფხული თბილი იცის. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 19,9C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 65%-ია. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900 საათს უტოლდება. აქ ხარობს წიწვოვანი ტყეები და ხეხილის ბაღები. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია - საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა. მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია (სააკაშვილი..., 2011).

განსაკუთრებული კლიმატური პირობებითა და განვითარების სწრაფი ტემპებით გამოირჩევა მაღალმთიან აჭარაში მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტი **გოდერძი**, რომელიც ზღვის დონიდან 2025 მ.-ზე. მდებარეობს, რომელიც წელიწადში 7 თვის განმავლობაში დაფარულია თოვლის საფრით, უხვთოვლიანობა და განსაკუთრებული ჰავა ამ კურორტის მნიშვნელოვანი ღირსებაა.

ასეთია აჭარაში მდებარე კურორტების მოკლე, არასრული ჩამონათვალი. აჭარის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალს განაპირობებს რელიეფისა და კლიმატის მრავალფეროვნება.

ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ოთხი დაცული ტერიტორია ქობულეთი, კინტრიში, მტირალა და მაჭახელა, რომელთა საერთო ფართობი 39 035 ჰა-ს ტოლია, რაც რეგიონის მთელი ფართობის 13.3%-ს შეადგენს. ველური ბუნების ეს ოაზისები მრავალ ტურისტს იზიდავს (**ბაკურიძე...**, 2017).

აჭარა მდიდარია ყველა სახის ბუნებრივი სამკურნალო რესურსით, რომელთა რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ საერთოდ მედიცინისა და ტურიზმის განვითარებასაც.

ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებდა დიდი რაოდენობით თიხების, პელოიდების, მტკნარი და მინერალური წყლის რესურსებს, რომლებიც გვხვდება როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთიანეთში.

არსებობს მონაცემები, რომლებიც შეისწავლა სხვადასხვა მკვლევარმა და რომლებიც შეეხება აჭარის რეგიონში არსებული 58 პელოიდის, 8 თიხისა და 38 მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობას (მიკრო- და მაკროელემენტები).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პელოიდები გაჯერებულია მაკროელემენტებით (კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი, ნატრიუმი, ფოსფორი, ქლორი, გოგირდი). მიკროელემენტებიდან პელოიდები დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას. სპილენძი, კობალტი, თუთია, ნიკელი, მანგანუმი, ქრომი, ბორი და ბარიუმი კი არის მცირე რაოდენობით. იოდი იდენტიფიცირებულია ბეშუმის, კვირიკეს და მერისის პელოიდებში. სელენის შემცველობა დადასტურებულია შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არსებულ 2 და 3 პელოიდში (შესაბამისად). ვერცხლი აღმოჩნდა 9 პელოიდში: ბეშუმის, მერისის, ტბეთის, ზვარეს, მწვანე ტბის, ქორთხმელას, ფაცხების, კვირიკეს და ისპანის.

მინერალური წყლების სრული ქიმიური ანალიზითა და მიკრო- და მაკროელემენტების შემცველობის შესწავლით ირკვევა, რომ: ხულოს მუნიციპალიტეტი, დანისპარაულის აბანოს წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით ჰიდროკარბონატს ($\text{HCO}_3^- = 4575,0$). წყლის pH არის 6,49. ამასთან წყალს აქვს მჟავე გემო, რაც განპირობებულია თავისუფალი ნახშირმჟავით ($\text{H}_2\text{CO}_3 = \text{H}_2\text{O} + \text{CO}_2$). ამასთან წყალი დიდი რაოდენობით შეიცავს მაღალი ბიოლოგიური ღირებულების მქონე ელემენტებს: კალციუმს ($100,2 \text{ მგ/დმ}^3$) და მაგნიუმს ($449,92 \text{ მგ/დმ}^3$). გარდა აღნიშნულისა, ის არის ძალიან ხისტი, მიეკუთვნება მინერალურ წყლებს (ბაკურიძე..., 2017).

ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩაო „ფაცხები“ - აღნიშნული წყლის შემადგენლობის თითქმის 90%-ს შეადგენს ჰიდროკარბონატები, რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შემდგომი შესწავლისათვის, სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

ქედის, სოფ. გეგელიძეების წყალში კალციუმის დიდ შემცველობასთან (220.44მგ/დმ 3) ერთად დადგენილია ფთორის შემცველობაც (1,45 მგ/დმ 3). აღნიშნული წყალი სულფატური, მჟავა ხასიათისაა. კალციუმის (421 მგ/დმ 3) და ფთორის მაღალი შემცველობა (1.45 მგ/დმ 3) ასევე დადგენილია მერისი, გუნდაურის წყალშიც.

შესწავლილი ობიექტებიდან ღომას წყლებს აქვთ მკვეთრად გამოხატული მჟავა რეაქცია. ასევე მჟავა ბუნებისაა შემდეგი 8 მინერალური წყალი: ჩაო „ფუხარაგვერდები“ (3,37), მერისი-მერიახევის მდინარესთან ქვემოთ I (2,95), მერისი-მერიახევის მდინარესთან ქვემოთ I I (3,65), მერისი, ფოთოლდლები (2,52), მერისი მიქალწმინდა (3,1), ქედა ხაბიზის ქედი (3,38), ქედა გეგელიძეები (4,42), ხულო ხიდისთავი (4,98); ნეიტრალური რეაქციისაა ასევე 8 მინერალური წყალი: სოფ. ჩაო „ფაცხები“ (6,65) „ქედა ოქტომბერი (6,45), ხელვაჩაური კაპნისთავი (6,05, 6,38), მერისი ნაქონას კლდის აბანო (6,02), მერისი გუნდაურის წყალი (6,47), კვირიკეს წყალი (6,57), ბეშუმი (6,22), დანისპარაულის წყალი (6,49); სუსტი ტუტე რეაქციისაა - 2 - ხულო სოფ. ჩაო „ნაფლატე“ (7,28), სოფ. ჩაო „ქორთხმელა“ (7,45); ტუტე რეაქციისაა: მერისი ნამონასტრევის კლდის ზემოთ (10,85) (ზაკურიძე..., 2017).

ფარმაკოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის, შუბნის მინერალური წყალი ახდენს კუჭის მჟავა და ფერმენტწარმომქმნელი ფუნქციის მნიშვნელოვან სტიმულირებას, ამასთან გავლენას არ ახდენს პერიფერიული სისხლის შემადგენლობაზე; ასტიმულირებს: ნაღვლის მჟავების სინთეზსა და გამოყოფას, ბილირუბინის სეკრეციას, ნაღვლით ქოლესტერინის ექსკრეციას და ზრდის ქოლატო-ქოლესტერინულ კოფიციენტს. სხეულის მასის 2%-ით დატვირთვით (ერთჯერადად) მინერალური წყალი ზომიერად ამცირებს ნაღვლის და ბილირუბინის სეკრეციას (Tsertsvadze, 2020).

თიხა ჩირუხის ფუძეზე მომზადებული ანტიბაქტერიული კრემი კეთილხარის-ხოვნების მაჩვენებლებით აკმაყოფილებს რბილი წამლის ფორმების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

თიხა ცეცხლაურის ფუძეზე მომზადებული კანის დამცავი პასტა ხასიათდება ოპტიმალური სტრუქტურულ-მექანიკური და რეოლოგიური თვისებებით. აგარის დიფუზიის მეთოდით და ფრანსის დიფუზური უჯრედების გამოყენებით, *in vitro* ცდაში გამოთავისუფლების შესწავლით დადგენილია, რომ თიხა ცეცხლაურის ფუძეზე მომზადებული კანის დამცავი პასტა ხასიათდება სალიცილის მჟავას უპირატესი გამოთავისუფლებით, ვიდრე ოფიციალური რეცეპტურით მომზადებული (Tsertvadze, 2020.)

თიხა ბეშუმზე დამზადებული თეიმუროვის პასტა ინარჩუნებს კოლოიდურ და თერმოსტაბილურობას სხვადასხვა ტემპერატურაზე შენახვისას და ცენტრიფუგირებისას.

ჭახათისა და კვირიკეს პელოიდების წყლიან გამონაწვლილში დადგენილია ბაქტერიოფაგების შემცველობა, რომელსაც აქვს ნაწლავის ჩხირის და სტაფილოკოკის ლიზირების უნარი.

დღეისათვის 4 ბუნებრივ რესურსზე (ქობულეთის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან) დამუშავებულია ბალნეოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენების ინსტრუქციები (ბაკურიძე..., 2017).

განხორციელებული კვლევების შედეგების შემდგომი განვითარება და პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას, გამაჯანსაღებელი, ბალნეოლოგიური კურორტების მოწყობას. ამასთან მინერალური რესურსების, წამალთფორმებში დამხმარე ნივთიერებების სახით გამოყენების შესაძლებლობას.

აჭარის რეგიონში ტურისტების რაოდენობის ზრდას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. გეოპოლიტიკური მდგომარეობა - აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთით ესაზღვრება თურქეთი, აღმოსავლეთით - სამცხე-ჯავახეთი, შავი ზღვის საშუალებით კი აჭარა ესაზღვრება თურქეთის შავი

ზღვისა და მარმარილოს, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთის საზღვაო პორტებს. არსებული მდებარეობა რეგიონს სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, ისეთში როგორცაა - საერთო სახმელეთო და საზღვაო საზღვრის მქონე ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამები და პროექტები.

ცხრილი №4: საერთაშორისო ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით

ვიზიტის მიზანი/წელი	2015		2016		2017		2018		2019–2020	
	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	137,3	31,4	152,2	33,9	203,9	37,7	256,3	42,7	119,1	31,9
მეგობრების/ნათესავების მონახულება	103,1	23,5	104,5	23,2	120,2	22,2	121,9	20,3	90,3	24,2
მკურნალობა, გაჯანსაღება	18,7	4,3	17,1	3,8	14,6	2,7	16,4	2,7	9,6	2,6
შოპინგი	41,5	9,5	42,2	9,4	51,6	9,5	41,5	6,9	27,1	7,2
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	82,9	18,9	82,0	18,2	97,8	18,1	99,1	16,5	61,9	16,6
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	47,4	10,8	45,5	10,1	44,3	8,2	52,0	8,7	49,0	13,1
სხვა	7,1	1,6	6,0	1,3	7,8	1,4	13,0	2,2	16,6	4,4
სულ	438,0	100	449,4	100	540,2	100	600,3	100	373,5	100

წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.


აჭარის რეგიონში გადის აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც რეგიონს დამაკავშირებელი კორიდორის

ფუნქციას ანიჭებს. ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო აეროპორტი, რკინიგზა და ბათუმის საზღვაო პორტი. მიმდინარეობს აჭარა - სამცხე-ჯავახეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, რითაც რეგიონი დაუახლოვდება სამხრეთ საქართველოს და სომხეთისა და ირანის ბაზრებს. აღსანიშნავია, რომ სახმელეთო და საჰაერო კომუნიკაციასთან ერთად ბათუმის პორტზე გადის ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის TRACECA-ის ნაწილი. ბათუმის გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობა, ბუნებრივი და ტურისტული რესურსების მრავალფეროვნება რეგიონში ტურისტული ნაკადის ზრდას განაპირობებს.

სწორედ რეგიონის ბუნებრივ-კულტურულ და გეოპოლიტიკურ პოტენციალს უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ პანდემიის პირობებშიც კი ტურისტული ნაკადები აჭარის მიმართულებით არ შეწყვეტილა.

სამედიცინო ტურიზმი საქართველოში ყოველდღიურად ვითარდება, რადგან ქვეყნის სამედიცინო მომსახურების დონე დღითიდღე მატულობს, მაღალკვალიფიციური კადრების რაოდენობა იზრდება და შესაბამისად, უცხოელი პაციენტების მხრიდან საქართველოს სამედიცინო სერვისის მიმართ ნდობას ყოველწლიურად სტაბილურად მზარდი ტენდენცია ახასიათებს (ცხრილი 1).

დიაგრამა №5: ადგილობრივი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მკურნალობა-გაჯანსაღების მიზნით განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა ასე განაწილდა



წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა შიდა ვიზიტორთა მხრიდან მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით მოგზაურობების თვალსაზრისით. 2015–2016 წლების ტენდენცია 8–11%–ის ფარგლებში მერყეობს. 2020 წელს პანდემიისას დაწესებული შეზღუდვების გამო აღნიშნული მიზნით მოგზაურობათა რაოდენობა 8,6%–მდე დაეცა.

ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, ბუნებრივია, სამედიცინო ტურისტების შემოსვლამ საქართველოშიც იკლო. რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს:

1. ადამიანები კორონავირუსის გავრცელების შიშით ნაკლებად გეგმავენ მსგავს მოგზაურობებს, თუ ეს გადაუდებელ საჭიროებასთან არ არის კავშირში;
2. სატრანსპორტო შეზღუდვების პერიოდული დაწესება;
3. მომსახურების ფასების გაძვირება (მაგ, სამედიცინო ტურისტი სხვა თანხის გადახდა ჰქონდა დაგეგმილი კონკრეტული მომსახურებისთვის, ინფლაციის პირობებში კი ეს თანხა რამდენადმე გაიზარდა), რამაც გავლენა მოახდინა სამედიცინო ტურისტის გადაწყვეტილებაზე, გადაედო მომსახურების მიღება;
4. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს უმუშევრობის ზრდაც, რაც ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერ ბიზნესზე.

პანდემიისას დაწესებულმა შეზღუდვებმა ბუნებრივია, დააზარალა აჭარის ტურისტული სექტორიც, იკლო ტურისტულმა ვიზიტებმა, თუმცა რეგიონის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ტურისტების შემოსვლა აჭარაში არ შეწყვეტილა. საინტერესოა ბათუმის აეროპორტით შემოსული ტურისტთა რაოდენობის ზრდაც, რომელიც 2019 წლის ივლისის თვესთან შედარებით (48 647 მგზავრი) გაზრდილია 2021 წლის ივლისში 55735 მგზავრამდე.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამედიცინო ტურისტების სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის ბიძგის მიმცემი ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს არა მხოლოდ ის ფაქტი, რამდენად შესაძლებელია ქვეყანაში ხარისხიანი სამედიცინო დახმარების მიღება, არამედ დამატებით ისიც, რამდენად მომხიბლავია ეს ქვეყანა, როგორც საკურორტო და რეკრეაციული ზონა, რამდენად საინტერესოა ის ისტორიული ძეგლების, მუზეუმების, არქეოლოგიის და სხვა კულტურულ-

ისტორიული სანახაობების თვალსაზრისით, აჭარაში ამ ბიზნესის განვითარებას დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს.

ცხრილი №5: ქ. ბათუმის აეროპორტში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა 2019-2021

პერიოდი	2019	2020	2021
იანვარი	7448	10323	51
თებერვალი	7258	9182	144
მარტი	10822	3316	2493
აპრილი	19106	780	10586
მაისი	23507	343	16834
ივნისი	58824	26	36474
ივლისი	48647	491	55735
აგვისტო	46452	675	
სექტემბერი	37065	164	
ოქტომბერი	22337	55	
ნოემბერი	12694	45	
დეკემბერი	13822	45	

წყარო: ავტორის კვლევა


საქართველოში სამედიცინო ტურიზმი დღეს ვითარდება. მას შეუძლია ვიზიტორების მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან მოზიდვა. ჯერჯერობით, საქართველოში ამ ბაზრის მომხმარებელი შედარებით დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდანაა. მისი ყველაზე ხშირი ვიზიტორებია დსთ-ისა და თურქეთის მოქალაქეები. თუმცა ბოლო პერიოდში გახშირდა ვიზიტები შუა აღმოსავლეთიდან და ირანიდანაც. სამედიცინო ტურისტები ყველაზე ხშირად სარგებლობენ შემდეგი მომსახურებებით: სტომატოლოგია, კოსმეტიკური ქირურგია, კარდიოლოგია და უშვილობის მკურნალობა. ამ დარგებში საქართველოს სამედიცინო ტურიზმი კონკურენტუნარიანია მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

აჭარის რეგიონში სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმის განსავითარებლად ყველა ბუნებრივი პირობა არსებობს.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკაში, სოციალურ-დემოგრაფიული და ინდუსტრიული პრობლემების შემსუბუქებაში. მის წამყვან მნიშვნელოვან სფეროებს წარმოადგენს - მშენებლობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა, ინფორმაციული და ტურისტული ინდუსტრია. ქვეყანაში პრიორიტეტულია და განვითარებული სტატუსით სარგებლობს აგრარული, რეკრეაციული და სასურსათო კომპლექსი და სამრეწველო მშენებლობაც.

რეგიონის ზღვისპირა მდებარეობა, შავი ზღვა, მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი კლიმატური პირობები, დარგობრივი მრავალფეროვნება და საწარმოო ძალების სიმრავლე ქმნის რეგიონის მაღალეფექტურ, საერთაშორისო დონისა და იმიჯის, სხვადასხვა მიმართულების ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას და დღის წესრიგში აყენებს მოსახლეობისა და ტურისტული ინდუსტრიის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობას.

დიაგრამა №6: მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2020



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020

რეგიონული მთლიანი პროდუქტის აბსოლუტური მოცულობით, ასევე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით აჭარა ერთ-ერთი ლიდერია სხვა მხარეებთან შედარებით. ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, მთლიანი პროდუქტიულობის სტრუქტურა 2019 წელს შემდეგნაირად ხასიათდება:

2019 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა 49 252.7 მლნ. ლარი შეადგინა. რეგიონულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა: ქ. თბილისი - 51.2 %; იმერეთი - 8.5 %; აჭარის ა.რ. – 10.1 %; ქვემო ქართლი - 7.5 %; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5.7 %.

ცხრილი №6: მშპ-ის განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

რეგიონები	2018	2019
თბილისი	20 063.7	22 077.4
აჭარის ა.რ.	3 491.5	4 377.1
გურია	651.3	723.6
იმერეთი	3 587.2	3 654.7
კახეთი	2 017.6	2 187.6
მცხეთა-მთიანეთი	932.3	1 040.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	214.0	261.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 067.6	2 466.1
სამცხე-ჯავახეთი	1 200.2	1 422.5
ქვემო ქართლი	3 039.6	3 227.9
შიდა ქართლი	1 513.6	1 698.3
მშპ საბაზისო ფასებში	38 778.5	43 137.8
+გადასახადები პროდუქციაზე	6 031.2	6 348.3
-სუბსიდიები პროდუქციაზე	210.3	233.4
მშპ საბაზრო ფასებში	44 599.3	49 252.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ქვეყნის დამატებული ღირებულების მოცულობის მიხედვით მესამეა ქვეყანაში. რეგიონული მთლიანი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2018 წელს ასე გამოიყურებოდა:

1. მშენებლობა - 16.6 %;
2. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობა - 15.5 %;
3. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი - 10.6 %.

ცხრილი №7: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2018	2019
სულ	1,317,071.4	1,335,810.6
მათ შორის:		
ქ. თბილისი	1,047,913.5	935,266.7
აჭარა	78,209.2	197,808.2
კახეთი	-8,237.7	846.0
სამცხე-ჯავახეთი	45,241.7	50,734.2
ქვემო ქართლი	86,374.8	48,110.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	-8,616.1	47,478.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-8,917.7	45,828.8
გურია	301.6	1,649.4
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	26,989.3	46,225.7
იმერეთი	26,784.3	44,481.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	204.9	1,744.6
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	49,196.8	9,341.2
შიდა ქართლი	15,240.0	1,243.0
მცხეთა-მთიანეთი	33,956.8	8,098.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020

რეგიონების მიხედვით საინვესტიციო აქტივობის მაჩვენებლები რეგიონში ეკონომიკის განვითარების მძლავრი პოტენციალის დასტურია, სადაც აჭარა 2019 წლის მონაცემებით 197,808.2 ათასი დოლარით რეგიონებს შორის ისევ ლიდერის პოზიციაზეა.

საინვესტიციო მიმართულება განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და ტურიზმში. შესაბამისად, ამ დარგებში მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა, საექსპორტო პოტენციალის ამოქმედება, დასაქმება და სხვა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის, ნინო მიქავას კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. მან შეაფასა საქართველოს პერსპექტივები სამედიცინო ტურიზმის კუთხით. დასკვნისთვის გამოიყენა არამხოლოდ ამ სფეროს მკვლევრების შეფასებები, არამედ ტურიზმის ინდუსტრიაში მონაწილე პირთა და სერვისით მოსარგებლეთა შეფასებებიც. მისი აზრით, პაციენტები მეზობელი, მოსაზღვრე ქვეყნებიდან, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ჩამოდიან უკეთესი სამედიცინო ხარისხის მიღების მიზნით. პაციენტების საქართველოში მოგზაურობას ხელს უწყობს ლიბერალური კანონმდებლობა და შესაბამისად, მათ აქ სასურველ სერვისებზე მიუწვდებათ ხელი.

პაციენტების აქ ჩამოსვლის მიზეზად სახელდება მისაღები ხარისხი და ფასები. საქართველოში მოგზაურობისა და მკურნალობის არჩევისას პაციენტები ითვალისწინებენ ტურისტულად მომხიბვლელ პირობებს - მკურნალობასთან ერთად დასვენებისა და გართობის შესაძლებლობას. გარემო და უახლესი აპარატურით აღჭურვილი დაწესებულებები, სამედიცინო სერვისების ფართო სპექტრი მოთხოვნადს ხდის ამ კლინიკებს უახლოეს მეზობელი ქვეყნებისთვის. კვლევის რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია კულტურული სიახლოვე და ქვეყნის ცნობადობა, ასევე ტერიტორიული სიახლოვე. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ნაცნობია საქართველოს კულტურა, ჯანდაცვა.

სამედიცინო სერვისები, რომელთა მისაღებადაც სამედიცინო ტურისტები საქართველოში ჩამოდიან, არის: სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, კარდიოქირურგია, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროტეზირება. რაც შეეხება პლასტიკური და კოსმეტიკური ქირურგიის მიმართულებებს, ყველაზე ხშირად პაციენტები ჩამოდიან ისეთი სერვისების მისაღებად, როგორც არის რინოპლასტიკა, აბდომინოპლასტიკა, მკერდის კორექცია, ფეისლიფტინგი, თმის გადანერგვა, ლიპოსაქცია, ბლევაროპლასტიკა (ქუთუთოების კორექცია), სლიპოფილინგი (საკუთარი ცხიმით ყვრიმალეების გადიდება, ფეისლიფტის დროს). რეპროდუქციული სერვისების მიმართულებით იღებენ შემდეგ მომსახურებებს: სუროგაცია, ინ-ვიტრო განაყოფიერება; სტომატოლოგიის მიმართულებით - იმპლანტაციასა და პროტეზირებას.

ხშირია ვიზიტები რეპროდუქციული სერვისების მისაღებად. უცხოელ ტურისტს აქ სწორედ დაბალი ფასები და ლიბერალური კანონმდებლობა ხიბლავს, რადგან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სუროგაცია, კვერცხუჯრედის დონაცია, ხელოვნური განაყოფიერება დაკანონებულიც კი არ არის. აქ მიღებული მომსახურება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ფასები კი რამდენჯერმე დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ეს მომსახურება სამჯერ და მეტჯერ ძვირი ღირს მათ ქვეყნებში, ვიდრე საქართველოში, სადაც მისი საშუალო ღირებულება 15 000\$-ს უტოლდება (მიქავა, 2020).

სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე საქართველო კონკურენციას ვერ გაუწევს ისეთ ქვეყნებს, რომლებშიც სამედიცინო ტურიზმის განსავითარებლად მეტი სახსრები გამოიყოფა. მან უნდა გამოიყენოს თავისი ყველა უპირატესობა და შესაბამისი ბერკეტები დარგის განსავითარებლად. იმ დიდი კონკურენციის ფონზე, რომელიც დღეს ამ ბაზარზეა, საქართველოს თავის დამკვიდრება გაუჭირდება. პირველ რიგში მან უნდა შეისწავლოს ბაზარი, ბაზრის მოთხოვნები, სამედიცინო ტურისტების საჭიროებები, დაადგინოს ფაქტორები, რომლებიც მათ საქართველოში მოგზაურობას განაპირობებს და აქცენტები გააკეთოს თავის ძლიერ მხარეებზე.

ექსპერტების აზრით, კიდევ სამწლიანი მუშაობა იქნება საჭირო იმისთვის, რომ მსოფლიო გლობალურ ბაზარზე მოხდეს საქართველოს, როგორც ტურისტული

დესტინაციის გაცნობა. ტურისტულ ბაზარზე საქართველოს შანსების შეფასებისას, ხაზი უნდა გაესვას სამ ასპექტს, რომელთა გაუმჯობესებაც აუცილებელია საქართველოში ამ ბიზნესის განსავითარებლად. ესენია:

- კლინიკების სტანდარტიზაცია;
- წარუმატებელი შემთხვევების დაზღვევა;
- სპეციალურად სამედიცინო ტურისტებისთვის შეთავაზებული ფასდაკლებები ავიაბილეთებზე, პირდაპირი ავიარეისები ტურისტების დონორ ქვეყნებთან.

ექსპერტთა აზრით, ცივილიზებული ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოვლენ პლასტიკური ქირურგიის, სტომატოლოგიის, თმის გადანერგვისა და შესაძლოა სპათერაპიისთვის. შესაძლოა ჩამოვიდნენ ღვიძლის გადანერგვისთვის, თუ ეს მომსახურება პაციენტს სჭირდება სასწრაფოდ, საკუთარ ქვეყანაში კი ხანგრძლივი მოლოდინის გამო ოპერაცია ყოვნდება (მიქავა, 2020).

სამედიცინო პაციენტებისთვის მოსაზღვრე თუ ყოფილი დსთ-ის ქვეყნებიდან ჩამოსული სამედიცინო ტურისტებისთვის მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხი, მნიშვნელოვანია, ასევე დაბალი ფასიც, ოღონდ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხარისხიან მომსახურებას იღებს.

საქართველოში უცხოელი პაციენტების სამკურნალოდ ჩამოსვლის ძირითადი მოტივაციაა - მაღალტექნოლოგიური, უახლესი მეთოდებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები, მომსახურების ხარისხი, დაბალი ფასები მომსახურებაზე, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში და კულტურული სიახლოვე.

როცა უცხო ქვეყნის პაციენტი აქ ჩამოდის პლასტიკური ქირურგიისთვის და არა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, პაციენტისთვის ხარისხისა და ფასის მისაღები კომბინაციის გარდა, აქ ჩამოსვლის განმაპირობებელი მიზეზად შეიძლება იქცეს ტურისტულად მომხიბვლელი გარემო, მკურნალობასთან ერთად კარგად დასვენებისა და გართობის შესაძლებლობა (მიქავა, 2020).

სტომატოლოგიის მიმართულებით სამედიცინო ტურისტების რიცხვის ზრდა განპირობებულია იმით, რომ ის ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად ძვირიანი სერვისია, რომელიც განვითარებული ქვეყნების უმეტესობაშიც კი არ ფინანსდება. ხოლო ფასს

შორის სხვაობა კი 70%-80%-ია. ამ სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა განსაკუთრებით იზრდება ზაფხულის განმავლობაში. ხშირია ვიზიტები დუბაიდან, ყატარიდან, ირლანდიიდან, ამერიკიდანაც კი.

რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს საქართველოში, რომლებიც აფერხებს საქართველოს, როგორც სამედიცინო დესტინაციად ქვეყნის ჩამოყალიბებას?

მკვლევართა აზრით, პირველ რიგში ეს არის საქართველოს პოზიციონირების საკითხი მსოფლიო სამედიცინო ტურიზმის გლობალურ ბაზარზე. ფაქტობრივად არ ხდება მისი შესაძლებლობებისა თუ ბუნებრივი მოცემულობის პოპულარიზება. საჭიროა მსოფლიო ბაზარზე ცნობადობის ამაღლება, ინფორმაციის გავრცელებაზე მუშაობა - ქვეყნის, მისი კულტურული, ისტორიული, გასართობი ადგილების თუ საკურორტო ზონების შესახებ, ასევე ჯანდაცვის სერვისებისა და ხარისხის შესახებ. აუცილებელია ქვეყნის პრომოცია. საკმარისი არ არის ერთი რომელიმე კლინიკის ხარისხი და კვალიფიკაცია. იმისათვის, რომ საქართველო მსოფლიო ბაზარზე გლობალურად აღიქმებოდეს სამედიცინო დესტინაციის ქვეყნად, სამედიცინო კლინიკები უნდა ფლობდნენ საერთაშორისო აკრედიტაციას, რაც იქნება იმის დასტური, რომ სამედიცინო დაწესებულება პაციენტს ხარისხიან მომსახურებას სთავაზობს.

საჭიროა მთავრობის მხარდაჭერის გამლიერება, რომ გაიზარდოს საქართველოს ცნობადობა, თორემ ხშირია შემთხვევები, როცა ფასილიტატორი კომპანიები კლიენტს სთავაზობენ მომსახურების საქართველოში მიღებას, მას კი ამ ქვეყნის შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს და შეთავაზებას ეჭვის თვალთ უყურებს. (მიქავა, 2020)

ამიტომ აუცილებელია ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კამპანიაში ხარისხის რეგულირებისა და კონტროლის მიმართულებით. საჭიროა შესაბამისი სტრუქტურების ინტეგრირებული მუშაობა და სტრატეგიული გეგმის დასახვა, ქვეყნის აქტიური პოპულარიზაცია ტურიზმის გლობალურ ბაზარზე, ინვესტიციების განხორციელება.

სწორედ ხელისუფლების მხარდაჭერითაა შესაძლებელი ტურიზმის ბაზარზე დღეს წარმატების მიღწევა. დღეისათვის უკვე წარმატებული სამედიცინო ტურიზმის ქვეყნებმა თავის დროზე ამ წარმატებას სწორედ ხელისუფლების მხარდაჭერით მიაღწია.

2019 წელს შექმნილმა ტურიზმის საბჭომ, რომელიც ამ ეტაპზე ექვს კლინიკას აერთიანებს, შექმნა ონლაინპორტალი Treat in Georgia, სადაც განთავსებულია ინფორმაცია საქართველოს ჯანდაცვის სექტორის, წევრი კლინიკებისა და წევრი სპაკურორტების შესახებ. დაგეგმილია სამიზნე ქვეყნებისკენ მიმართული სამიზნე კამპანია, ინფოტურები სამიზნე ქვეყნების სამედიცინო ტურიზმის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, ასევე იგეგმება კონფერენციების ორგანიზება, სამედიცინო ტურიზმის სტატისტიკის წარმოება და ანალიზი, კლინიკების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით - მედიატორობა აკრედიტაციის პროცესში და სერვისის სტანდარტების შემუშავება წევრი კლინიკებისთვის და ა.შ.

იმისთვის, რომ სამედიცინო ტურიზმის განვითარდეს, ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, სამედიცინო დაწესებულების ხარისხი პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე აუცილებელია საერთაშორისო აკრედიტაციის ფლობა.

ჯანდაცვის სამინისტრომ 2016 წელს გააკეთა თბილისის ათი ყველაზე დიდი კლინიკის შემოწმების ანგარიში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კლინიკურ სექტორში სუსტია ხარისხის რეგულირება და მონიტორინგი. შემოწმებული კლინიკებიდან ვერცერთმა სრულად ვერ დააკმაყოფილა სანებართვო პირობებიც კი. აუცილებელია, გაძლიერდეს ჯანდაცვის სამინისტროს როლი ხარისხის რეგულირებასა და მონიტორინგში, ასევე, საჭიროა სამედიცინო სერვისების სტანდარტიზაცია. სერვისების სტანდარტიზების პრობლემა ექსპერტების მიერ დღეს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელდება.

სამედიცინო ტურიზმის საბჭო აუცილებლად მიიჩნევს აკრედიტაციის პროცესის დაწყებას ქვეყნის გლობალურ ბაზარზე პოზიციონირებისთვის, რაც აუცილებელია იმისთვისაც, რომ საზღვარგარეთის სადაზღვევო კომპანიებთან და ფონდებთან კონტრაქტის გაფორმება შეძლო. აკრედიტაცია არის იარაღი, მოიწვიო

უცხოელი სპეციალისტები ოპერაციის ჩასატარებლად. მაგალითად, თუ თავიანთ ქვეყანაში ოპერაცია ღირს 65 000\$, ჩვენთან ჩატარდება 25 000\$-ად, რაც შეიძლება დამატებით მოტივაციად იქცეს პაციენტისთვის ჩვენს ქვეყანაში ოპერაციის ჩასატარებლად. გარდა ამისა, აკრედიტაციის ქონის პირობებში ზოგიერთი დასავლური სადაზღვევო კომპანია თავის მოქალაქეს საზღვარგარეთ სწორედ აკრედიტებული სამედიცინო დაწესებულების მომსახურებას უფარავს.

სამედიცინო ტურისტზე დადებითად მოქმედებს ექიმის სახელი, კვალიფიკაცია და ცნობადობა. ინფორმაცია ექიმის განათლებასა და კვალიფიკაციაზე მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია ვებ-საიტზე. თუ ექიმი საერთაშორისო ასოციაციის წევრია ან რამე მნიშვნელოვანი მიღწევა აქვს, ეს დადებითად აისახება კლინიკის რეპუტაციაზე.

სამედიცინო ტურიზმის ფასილიტატორი კომპანიების წარმომადგენელთა აზრით, პაციენტები ხშირად თავს იკავებენ საქართველოში სამედიცინო დახმარების მიღებისგან სწორედ იმ მიზეზით, რომ არ აქვთ გარანტიები. ისინი შიშობენ, რომ დახვდებით მკურნალობის დაბალი ხარისხი, გაზრდილი ფასი, დაინფიცირდებიან, მაგალითად, C ჰეპატიტით ან აივ-ინფექციით, ჩაუტარებენ უხარისხო მკურნალობას და შემდეგ ის იძულებული გახდება, გააგრძელოს მკურნალობა ამ პრობლემების მოსაგვარებლად. ეს ყველაფერი არის მხოლოდ კლინიკის პასუხისმგებლობაზე. სახელმწიფო ამ საკითხში არაფერს არეგულირებს.

გარდა იმისა, რომ ჰოსპიტალურ სექტორში საერთაშორისო აკრედიტაცია სულ ერთ კლინიკას აქვს მინიჭებული, ასევე პროვაიდერი კომპანიების მიერ ექიმ-სპეციალისტების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ძალიან დაბალი მაჩვენებელია. საქართველოში სულ თითოეუ ჩამოსათვლელი ექიმებია, რომლებიც პროფესიულ საქმიანობაში არსებულ რისკებს აზღვევენ.

საქართველოში კლინიკებში პრობლემურია მენეჯმენტის ქვედა რგოლის მუშაობაც, - აგენტის მიერ დასმულ შეკითხვას სჭირდება დროული, ოპერატიული რეაგირება. თუ შეკითხვაზე ოპერატიულად არ ხდება პასუხის გაცემა, მაქსიმუმ 48 საათში, ეს მოთხოვნა კლინიკისთვის დაკარგულია. ამით კლინიკა კარგავს შემოსავლის მოცემულ წყაროს და ასევე ზარალდება მისი რეპუტაცია სააგენტოს

თვალში. ხშირად ექიმები და კლინიკა მზად არიან პაციენტის მისაღებად, მაგრამ ქვედა რგოლზე იქმნება მენეჯმენტის პრობლემა. არ ხდება დროული პასუხების მიწოდება შეკითხვებზე. და ამგვარად ილახება კლინიკის ავტორიტეტი სააგენტოს თვალში. ამიტომ მეტი მუშაობაა საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდებისა და დროული რეაგირების კუთხით.

სამედიცინო ტურიზმის მოწინავე ქვეყნების ინდუსტრიის უკვე განუყოფელი ნაწილია ამ სერვისით მოსარგებლე ადამიანისთვის მომსახურების სრული პაკეტის შეთავაზება - დახვედრა, დაბინავება, ტრანსპორტირება, მენიუს ფართო არჩევანი (კულტურის და რელიგიის შესაბამისად, ქაშერული მენიუ და ა.შ.), ბიზნესლაუნჯი დიაგნოსტიკური სერვისების დროს და სხვა. ასეთ მომსახურებას საქართველოში სულ თითზე ჩამოსათვლელი კლინიკები ახორციელებენ. ასეთ მომსახურებას, იშვიათი გამონაკლისების გარდა, საქართველოში პაციენტებს დღეს ვერ სთავაზობენ.

სამედიცინო ტურისტებისთვის კიდევ ერთ ბარიერად შეიძლება დასახელდეს სამედიცინო პერსონალის მხრიდან ენის ფლობის საკითხი. განსაკუთრებით თვალშისაცემია ეს პლასტიკური ქირურგიის სფეროში, როცა პაციენტი ვერ ახერხებს ზუსტად აუხსნას ექიმს, რის შეცვლა და კორექტირება სჭირდება. ხშირ შემთხვევაში კლინიკებს არ ჰყავს რუსულისა და ინგლისურის თარჯიმანი.

აჭარის ტურიზმის ბაზრის განსავითარებლად ყურადსაღებია მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტების რელიგიაც, რომელიც შესაძლოა ქალ პაციენტს უკრძალავდეს მამაკაც ექიმთან გასინჯვას, ან პალატაში, სადაც მას მოათავსებენ, იმ ფლიგელში არ უნდა იწვეს საპირისპირო სქესის პაციენტი.

სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიაში გამოცდილი პრაქტიკაა და ძალიან მნიშვნელოვანია სერვისების პაკეტებად დაყოფა. რა შედის პაკეტში - მკაფიოდ მითითებული ფასები, დამატებითი სერვისები და ა.შ. ყველა უპირატესობა უნდა იყოს ცხადად აღწერილი.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია პირდაპირი რეისების ნაკლებობა სამიზნე ქვეყნებთან. სფეროს ექსპერტების აზრით, უზბეკეთთან, ჩეჩნეთთან,

ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებთან აუცილებელია პირდაპირი რეისების დანიშვნა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ბიზნესის განვითარებას.

სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებშიც დასტურდება, რომ კომფორტულ ტრანსპორტირებას კრიტიკული როლი აქვს სამედიცინო ტურიზმის განვითარებაში და სამედიცინო ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ სამიზნე ქვეყნებთან ავიარების არარსებობა სახელდება.

ექსპერტების აზრით - ტრანსპორტირება და საინფორმაციო ტექნოლოგიები სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხერხემალია (მიქავა, 2020).

სამიზნე ბაზრების მოპოვებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით საქართველოს მთავარი კონკურენცია თურქეთი. თურქეთში მაღალ დონეზეა განვითარებული ჯანდაცვის სექტორი, სამედიცინო ტურიზმის მიმართულება და მომხმარებელთა სერვისი, თუმცა ფასებიც უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში.

სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე პლასტიკური ქირურგიის კუთხით ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა ტაილანდი, თუმცა ექსპერტთა აზრით, ბოლო პერიოდში ტაილანდმა ბევრი ხარვეზი გამოავლინა, მაგალითად, სქესის შეცვლის ოპერაციების დროს. ამიტომ მასთან კონკურენცია შედარებით გამარტივდა.

დაახლოებით მსგავსი სურათია უკრაინასთან მიმართებითაც, რომელიც საქართველოს კონკურენცია ინ-ვიტროსა და სუროგაციის მიმართულებით. ბოლო წლებში ამ თვალსაზრისით უკრაინის ავტორიტეტი დაეცა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც გახმაურდა ფაქტები, როცა უკრაინაში სუროგაციის ნაცვლად სერვისით მოსარგებლებს უკვე ორსულ დონორებს წარუდგენდნენ, როგორც სუროგატებს. ამ ფაქტმა შეასუსტა საშუამავლო სააგენტოების მიმართ ნდობა, რამაც გაამარტივა საქართველოს მხრიდან კონკურენცია და ამ მიმართულებით პაციენტების მოზიდვა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამედიცინო პერსონალის განათლების საკითხი. საშუამავლო სააგენტოებსა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვანია სამედიცინო სტუდენტების განათლების საკითხი. მათ აუცილებლად მიაჩნიათ სამედიცინო განათლების რეფორმა; ასევე - ექიმ-სპეციალისტების უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების დანერგვა საქართველოში. კონფერენციებში

მონაწილეობის დაფინანსება, ქვეყანაში სამეცნიერო კვლევების სტიმულირება პრაქტიკოსი ექიმების ჩართულობით და ა.შ.

დღეს პოსტპანდემიურ პერიოდში ქვეყნის რეკრეაციული სივრცეებისა და სამედიცინო ობიექტების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება და ახალ შინაარსს იძენს. ხანგრძლივმა იზოლაციამ და დახურულ სივრცეებში გამოკეტვამ დღის წესრიგში დააყენა ადამიანების არამხოლოდ ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროება, არამედ ზოგ შემთხვევაში სასუნთქი გზების, საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა პრობლემების მოგვარების საჭიროება. ამიტომ რეკრეაციული სივრცეები და სამედიცინო ობიექტები მაქსიმალურად უნდა მოწესრიგდეს პაციენტების მისაღებად.

საქართველოში მდებარე ძალიან ბევრი უნიკალური კურორტი და რეკრეაციული ზონა, საკმაოდ დიდი პერსპექტივებს აჩენს კორონავირუსის შედეგად ჩამოშლილი ტურიზმის გამოსაცოცხლებლად, რაც პოსტპანდემიურ პერიოდში უცხოელი ტურისტების სარეაბილიტაციოდ მოზიდვას გულისხმობს.

ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის განსავითარებლად, რომელშიც მკურნალობა, რეაბილიტაცია, დასვენება, გართობა და ა.შ. მოიაზრება, ქვეყანაში აუცილებელია:

ა) მოწესრიგდეს ეკოლოგიური მდგომარეობა კურორტებსა თუ რეკრეაციულ ზონებში განსაკუთრებით შავიზღვისპირა რაიონებში, სადაც ზაფხულობით, ტურისტთა და დამსვენებელთა დიდძალი ნაკადი განსაკუთრებით აჭუჭყიანებს პლაჟებს, ზღვის წყალს, ზოგადად უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა;

ბ) სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და სამკურნალო პანსიონატები უნდა აღიჭურვოს შესაბამისი თანამედროვე აპარატურით;

გ) მოსაწესრიგებელია სპორტული ნაგებობების, გართობისა და დასვენების ინფრასტრუქტურა;

დ) საკურორტო ადგილებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. უნდა გადამზადდეს სასტუმროებში, დასასვენებელ პანსიონატებსა და საკურორტო ობიექტებში მომსახურე პერსონალი;

ე) სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, ინტერნეტ და საბანკო მომსახურების ობიექტები უნდა ფუნქციონირებდეს შეუფერხებლად. მსოფლიო პანდემიის პირობებში, არსებითად მნიშვნელოვანია მომსახურების ხელმისაწვდომობა;

ვ) უნდა მოხდეს ფასების რეგულირება, ის აუცილებლად უნდა იყოს ხარისხთან შესაბამისობაში. მიუღებელია, როცა საქართველოში გაწეული საშუალო დონის მომსახურების ღირებულება უტოლდება წამყვანი ტურისტული ქვეყნების ფასებს;

ზ) დარგის მენეჯმენტი ორიენტირებული უნდა იყოს როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაზე;

თ) უნდა გაიმართოს დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც **(ფარესიშვილი, კვარაცხელია, მირზაევი - პოსტპანდემია)**.

იმ სიმდიდრის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არის მთის კლიმატური კურორტები, შავიზღვისპირეთის მაგნიტური ქვიშები, სამკურნალო ტალახები, კასტრული მღვიმის სპეციფიკური მიკროკლიმატი, თერმული სულფიდური, რადონული, აზოტოვანი, სილიციუმის მინერალური წყლები - სწორი მართვისა და პოზიციონირების პირობებში ის შესაძლოა ძალიან მიმზიდველ და მოთხოვნად ქვეყნად იქცეს, განსაკუთრებით პოსტპანდემიისას, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სამედიცინო ტურისტებისთვისაც.

ჩვენის აზრით, პოსტპანდემიის დროს სამედიცინო ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს მმართველობითი და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება. აჭარისთვის, როგორც კომპლექსური ეკონომიკური, გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური და სპეციფიკური დემოგრაფიული რეგიონისთვის, ასეთ ინოვაციურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს სამედიცინო კლასტერი.

სამედიცინო კლასტერი ეს არის, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ფორმირებული ორგანიზაციული მოდელი, რომელიც ეფექტურად ახორციელებს პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის, დასვენებისა და გაჯანსაღების პროცესებს და ეფუძნება სახელმწიფო კერძო რესურსების ინგერაციას.

რეგიონულ სამედიცინო კლასტერში შევა გეოგრაფიულ ერთეულში არსებული ზოგიერთი ურთიერთდამოკიდებული ორგანიზაცია, ფირმა და დაწესებულება, რომლებიც შეასრულებენ ურთიერთშემავსებელ ტექნოლოგიურ პროცესებს და ორიენტირებული იქნება შიდა ბაზრის მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე.

კლასტერი მოიცავს სამედიცინო ობიექტებს, შესაბამისი პროფილის დაწესებულებებს, მსხვილ ტურისტულ ობიექტებსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას.

რეგიონული სამედიცინო კლასტერი სარგებლიანი და ინოვაციურია შემდეგი მიმართულებებით: სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება პირველად რგოლებში, მკურნალობის მაღალი ხარისხი, სამედიცინო ბაზრისა და სამკურნალო საშუალებების მომარაგების მაღალი ხარისხი და მიწოდების ეფექტურობა, მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა, მოზიდვა და განაწილება, მმართველობის ეფექტური ფორმების დანერგვა, სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელი სივრცის მაღალი ორგანიზაცია, ეფექტური კავშირები საჭირო რგოლებთან.

ინტეგრაციის ასეთი ორგანიზაციული ფორმა პირველ რიგში ეფექტურს გახდის კერძო და სახელმწიფო პარტნიორობას, სამედიცინო მომსახურება გახდება სამდონიანი და მოიხსნება ყოველგვარი ბარიერი სოფლის მოსახლეობისა და ტურისტებისთვის, სამმართველო აპარატი გახდება ოპტიმალური და შემცირდება ინფრასტრუქტურული დანახარჯები.

აჭარის რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზმა გამოავლინა რეგიონის სატრანსპორტო, ეკონომიკური და ადამიანური პოტენციალის, ბუნებრივი რესურსების, მმართველობითი სისტემის, სოციალური სტაბილურობისა და სხვა კონკურენტუნარიანი ფაქტორების ერთობლიობის განსაკუთრებულობა, რომელიც ავტორის მიერ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავდა:

ძლიერი მხარეები:

ბუნებრივი პირობები და რესურსები

1. სუბტროპიკული კულტურის განვითარების შესაძლებლობები;
2. სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები;

3. სასათბურე მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები;
4. საკურორტო ტურისტული ინდუსტრიის განვითარების სეზონური შესაძლებლობები;
5. ინფრასტრუქტურის განვითარება;
6. ინდუსტრიის განვითარება.

ეკონომიკური და ადამიანური პოტენციალი

1. რეგიონის მაღალი იმიჯი ბიზნესის განვითარებისთვის;
2. საერთაშორისო ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა;
3. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში კვალიფიციური ჯგუფების არსებობა;
4. სამშენებლო და ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
5. დადებითი მიგრაციული პროცესები;
6. მიზნობრივ სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის მაღალი დონე.

გეოგრაფიული და სატრანსპორტო მეურნეობა

1. პირდაპირი გასასვლელი საერთაშორისო კავშირებზე;
2. ყველა სახის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება;
3. სოციალური სტაბილურობა;
4. ეფექტურად განვითარებული რეგიონული მმართველობითი სისტემა.

სუსტი მხარეები:

1. სხვადასხვა ცალკეულ დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების უკმარისობა;
2. შრომის დაბალი მწარმოებლურობა;
3. ეკონომიკის ზოგიერთი დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის დაბალი დონე;
4. თანამედროვე საბაზრო სისტემის გამოყენების, შრომის ორგანიზების, მმართველობის, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური განვითარებისა და სხვა მიმართულებების დაბალი დონე;
5. ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონეზე;

6. ტურისტული ინფრასტრუქტურის ზოგიერთი მიმართულების დაბალი იმიჯი;
7. ადგილობრივი წარმოების ზოგიერთი მომსახურებისა და პროდუქციის დაბალი დონის კონკურენტუნარიანობა;
8. რესურსების ფასზე დამოკიდებულება;
9. სოფლის მეურნეობისთვის საჭირო რესურსების იმიგრაციაზე დამოკიდებულება;
10. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბალი მსყიდველობითი შესაძლებლობები;
11. მთლიან მეურნეობაში სოფლების განფენილობა და ამ მიზეზით გამოწვეული პრობლემები განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში;
12. ზოგიერთ სფეროში პროფესიონალი კადრების უკმარობა.

შესაძლებლობები:

1. ადგილობრივი წარმოების საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ტექნოლოგიები;
2. საინვესტიციო მასშტაბური და სისტემური ღონისძიებები;
3. ინფრასტრუქტურული და დარგობრივი პროგრამების სახელმწიფო მხარდამჭერი გარემოს ფორმირება;
4. ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარების შესაძლებლობების მხარდაჭერა;
5. ტურისტული ინდუსტრიის სხვადასხვა პროგრამის რეალიზების მხარდაჭერა;
6. ადგილობრივი რეგიონული რესურსების რეგიონული გამოყენების მხარდაჭერა და წახალისება;
7. საერთაშორისო და რეგიონთაშორისი პროგრამების შემუშავება–რეალიზება;
8. რეგიონში გლობალური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, მისი დაჩქარებული განვითარების მყარი საფუძველი რეალურ ეკონომიკაში.

საფრთხეები:

1. მეზობელ ქვეყნებში პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის მაღალი ტემპით ზრდა, ვიდრე ჩვენს რეგიონში;
2. მეზობელ ქვეყნებში ტექნოლოგიური და ტექნიკური პარამეტრების დაჩქარებული ზრდა, რეალური ეკონომიკის ცალკეულ დარგში;
3. ეფექტური კადრების მიგრაციის მაჩვენებლის ზრდა;
4. გეოგრაფიული პროცესების არასასურველი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა;
5. ეკოლოგიური პროცესების გაჯანსაღების ტემპის შესაძლებლობა.

დასკვნები და წინადადებები:

1. საქართველოში, მ.შ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებობს სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმის განვითარების მრავალფეროვანი (უნიკალური) რესურსები, მრავალწლიანი გამოცდილება და ტურისტული ინდუსტრიის მართვის მაღალი კულტურა.
2. სამედიცინო და რეკრეაციული ტურიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორს. ის პირველ რიგში უზრუნველყოფს ვიზიტორის სოციალური და სოციოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ მიერ დახარჯული თანხები კი წარმოადგენს დასაქმების, მოსახლეობის შემოსავლისა და რეგიონის ეკონომიკური გაჯანსაღების სტაბილურ შესაძლებლობებს.
3. მიგვაჩნია, რომ ტურისტულმა კომპანიებმა და მათი საქმიანობის ხელშემწყობმა სამრეწველო სტრუქტურებმა უნდა გაითვალისწინონ მიზნის მისაღწევად არსებული სტრატეგია; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ისეთი შეზღუდვების შემსუბუქებაზე, როგორცაა - სამართლებრივი, გარემოსდაცვითი, ტექნიკური, ინფორმაციული, რესურსული შეზღუდვები. ამასთან, უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი ეკონომიკის, ბიზნესის უკუგების, რესურსების გამოყენების მხარდამჭერი სფეროების ოპტიმიზაცია, დარგში ინვესტიციების სტიმულირება.
4. ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მმართველმა და თვითმმართველობის ორგანოებმა ტურიზმის ეკონომიკური სარგებლის ყველა შესაძლებლობის ოპტიმალური გამოყენების მიზნით უნდა შეიმუშაონ წინადადებები ტრადიციული, სამოყვარულო და ინოვაციური დარგების განსავითარებლად; უნდა განახორციელონ ოპტიმალური, სტრუქტურული ცვლილებები საინვესტიციო პროცესების განსაზღვრაში, ტურისტული შემოსავლების საბოლოო მოსარგებლეებისა და ვიზიტორის ინტერესების გათვალისწინებით.
5. ტურისტულ ლოკაციებზე, მნიშვნელოვან სფეროებში უზრუნველყოს დაინტერესებული და ურთიერთშემავსებელი დარგების ოპტიმალური

შესაბამისობა, თანაბარზომიერი პრიორიტეტები, შემოსავლების ადეკვატური გადანაწილება, რესურსების რაციონალური განთავსება და მართვა.

6. შესამუშავებელია შესაბამისი ნორმატიული და საკანონმდებლო მექანიზმები ბიზნესსუბიექტების ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმების სრულყოფისთვის, მ.შ. ტურისტული (სამედიცინო) ჰოლდინგების, კლასტერებისა და სხვა ოპტიმალური ინფრასტრუქტურული მმართველობითი ფორმების დასაწარმოებლად.
7. უნდა წახალისდეს ტურიზმის მდგრადობის უზრუნველყოფის ღონისძიებები: დაგეგმვის, მენეჯმენტისა და მონიტორინგის პროცესების მოწინავე გამოცდილების გაზიარება, ტექნოლოგიების ინოვაციური დანერგვა, პროგრესული პროგრამები და პროექტები.
8. ტურისტულმა, სამედიცინო და გამაჯანსაღებელმა კომპანიებმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ პროდუქტების (მომსახურების) მიწოდებისას, მათი კლასიფიკაცია ვიზიტორისათვის საინტერესო და ხელმისაწვდომი ფორმით მოხდეს; კერძოდ: ბუნებრივი რესურსები და გარემო, შექმნილი გარემო (ინფრასტრუქტურა, მომსახურება), ოპერაციული სექტორი, მასპინძლობის სულისკვეთება (მზაობა) და კულტურული რესურსები.
9. მიწოდების კლასიფიკაციაში არსებულ ტრადიციულ პროდუქტებთან ერთად ყურადღება გამახვილდეს ვიზიტორთა ნაკადებზე, რომელთაც აქვთ დიფერენციული შემოსავალი, არიან 50+ სეგმენტის წარმომადგენლები, უნარშეზღუდულთა ჯგუფები, ჯგუფური მოგზაურობის მსურველები, რელიგიური (სუბსიდირებული) ჯგუფები და სხვა.
 - შეისწავლონ და გაითვალისწინონ საერთაშორისო ტურიზმის მახასიათებლები; ინფორმაცია არსებული სამოგზაურო ბარიერების თაობაზე, რეგიონის სპეციფიკურ თავისებურებებზე და ა.შ.
 - გაითვალისწინონ, რომ მათ საქმიანობა უწყვეტ მოულოდნელი და გლობალური პროცესებით გამოწვეული შეღავათების პირობებში. შეიმუშაონ ადეკვატური მექანიზმები ეკონომიკური, საინფორმაციო, რეპუტაციული, კომუნიკაციური და სხვა სახის შეზღუდვების შესამსუბუქებლად.

10. თანამედროვე ტექნოლოგიები ძირეულად ცვლის მიდგომებს ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი გარემოსათვის საჭირო სიმძლავრეების, მომსახურების, პროდუქტების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის საკითხებისადმი. მთავარი მოთხოვნაა - კვლევებზე დაფუძნებული და გაანალიზირებული ადეკვატური პასუხი ვიზიტორთა მთავარ გამოწვევებზე, დემოგრაფიულ და სოციალურ ცვლილებებზე, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ფორმირებაზე, საჭირო მომსახურების მიღებაზე.
11. ჩვენი შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს, ასევე აჭარის სუსტი და ძლიერი მხარეები გათვალისწინებული იქნას ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ პროგრამებსა და პროექტებში. აქცენტი უნდა გაკეთდეს საქართველოს ბუნებრივ მოცემულობაზე და კულტურულ, ისტორიულ და სხვა სანახაობებზე.
12. სამედიცინო ტურიზმის წარმატებული განვითარებისათვის სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და პროფესიონალ სამედიცინო საზოგადოებას შორის აუცილებელია კოორდინაციის მაღალი დონე.
13. თანამედროვე სამედიცინო ტურიზმის მომსახურების ბაზრისთვის მნიშვნელოვანია მართვისა და რეალიზაციის პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა; გარდა ამისა, ფასისა და ხარისხის გონივრული თანაშეფარდება არის ძირეული ფაქტორი, რომელიც ბიძგის მიმცემია პაციენტისთვის, რათა მიიღოს კონკრეტულ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ჩატარების გადაწყვეტილება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას რთული ოპერაცია და ხანგრძლივი რეაბილიტაცია სჭირდება.
14. მნიშვნელოვანი როლი სამედიცინო ტურიზმის ნაციონალური ბაზრის განვითარების საქმეში მიუძღვის ტურისტული მომსახურების განვითარების უნიფიცირებულ სისტემას, როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესსტრუქტურების დონეზე. ბაზრის ყველა მონაწილის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - ინფორმაციის გავრცელება, სამედიცინო ტურიზმის ნაციონალური ბაზრის შესაძლებლობებისა და სპეციფიკური თავისებურებების შესახებ ინფორმაციაზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

15. საქართველოში სამედიცინო ტურიზმი დღეს ვითარდება. მას შეუძლია ვიზიტორების მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან მოზიდვა. დღეს საქართველოს სამედიცინო ტურიზმის ბაზრის მომხმარებელი ძირითადად დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდანაა. მისი ყველაზე ხშირი ვიზიტორებია დსთ-ისა და თურქეთის მოქალაქეები. თუმცა ბოლო წლებში ხშირია ვიზიტები შუა აღმოსავლეთიდან და ირანიდანაც. სამედიცინო ტურისტები ყველაზე ხშირად სარგებლობენ შემდეგი მომსახურებებით: სტომატოლოგია, კოსმეტიკური ქირურგია, კარდიოლოგია და უშვილობის მკურნალობა. ამ დარგებში საქართველოს სამედიცინო ტურიზმი კონკურენტუნარიანია მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.
16. ჩვენი აზრით, საქართველოში უცხოელი პაციენტების სამკურნალოდ ჩამოსვლის ძირითად მოტივაციაა - მაღალტექნოლოგიური, უახლესი მეთოდებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები, მომსახურების ხარისხი, დაბალი ფასები მომსახურებაზე, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში და კულტურული სიახლოვე. ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ჩამომსვლელი სამკურნალო ტურისტების უმეტესობის სამშობლო დსთ-ის ქვეყნებია, მათთვის სხვა მამოტივირებელ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანია კულტურული სიახლოვეც. მათთვის ნაცნობია საქართველოს კულტურა, ხალხი და ჯანდაცვა.
17. იმისთვის, რომ საზღვარგარეთის სადაზღვევო კომპანიებთან და ფონდებთან კონტრაქტის გაფორმება შეძლო, აუცილებელია საერთაშორისო აკრედიტაციის ფლობა. დღესდღეობით საქართველოში JCI აკრედიტაცია აქვს მხოლოდ ერთ კლინიკას - „მედიქლაბს“, ჩაფიძის კლინიკას აქვს KTQ აკრედიტაცია, სერტიფიცირების მოლოდინშია სამედიცინო კორპორაცია „ვეექსი“. საჭიროდ მიგვაჩნია ამ პროცესში კლინიკების ჩართულობის დაჩქარების ხელშეწყობა ხელისუფლების მხრიდან.
18. აუცილებელია სამედიცინო ტურიზმის საექსპორტო პროგრამების განვითარება, მომსახურების გასაუმჯობესებლად ახალი ფორმებისა და გზების ძიება, ინდივიდუალური მიდგომა პოტენციური კლიენტის მიმართ და

ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ფორმირება - რაც მოგვცემს უცხოელი ტურისტის მიღების საშუალებას.

19. ქვეყნის რეკრეაციული სივრცეებისა და სამედიცინო ობიექტების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება პოსტპანდემიურ პერიოდში, როცა ხანგრძლივი იზოლაციისა და დახურულ სივრცეებში გამოკეტვის შემდეგ დღის წესრიგში დგება ადამიანების არამხოლოდ ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროება, არამედ ისინი შესაძლოა საჭიროებდნენ სასუნთქი გზების, საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა პრობლემების მოგვარებასაც. ამიტომ რეკრეაციული სივრცეები და სამედიცინო ობიექტები მზადყოფნაში უნდა იყვნენ პაციენტების მისაღებად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ძალიან ბევრი უნიკალური კურორტი და რეკრეაციული ზონაა, მას დიდი პოტენციალი აქვს პოსტპანდემიურ პერიოდში უცხოელი ტურისტების სარეაბილიტაციოდ მოსაზიდად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი... 1997: საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1997) (matsne.gov.ge/ka/document/view/3370?publication=11)
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2015-2018 წლების სტრატეგიული გეგმა, 2014.
3. ბაკურიძე, 2017: ბაკურიძე ს., „ინტეგრაციული ურთიერთობების თავისებურებები რეგიონული სამედიცინო მომსახურების ბაზარზე.“, *ეკონომიკა და ბიზნესი ISSN 1987-5789, 2017, N4, გვ. 101-110*
4. ბაკურიძე..., 2017: ბაკურიძე ა., მასიუკოვიჩი თ., გაფრინდაშვილი ა., სურმანიძე რ. „აჭარის მინერალური რესურსების (პელოიდების, თიხების, წყლების) კვლევა სამედიცინო (ბალნეოლოგიურ) და ფარმაცევტულ პრაქტიკაში გამოყენების მიზნით“ - *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მომავლის ტექნოლოგიები და სიცოცხლის ხარისხი“ ბათუმი, 2017.*
5. ვერულავა, 2016: ვერულავა თ., „სამედიცინო ტურიზმი და საქართველო: პრობლემების სპეციფიკა და რეკომენდაციები“, *1 საერთაშორისო კონფერენცია, „სამედიცინო ტურიზმი: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სამედიცინო პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ბათუმი, 2016.*
6. ერქომაიშვილი, 2016: “Georgian Wellness- საქართველოს ბრენდ-კოდი მსოფლიოში”, *გამომცემლობა უნივერსალი, 2016.*
7. მიქავა, 2020: მიქავა ნ., სადისერტაციო ნაშრომი - სამედიცინო ტურიზმში საქართველოს პერსპექტივების შეფასება, თბილისი, 2020.
8. მანველიძე, 2011: მანველიძე რ., „ეკონომიკური გლობალიზაცია და რეგიონული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები“ *ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ #1 (3), თბილისი 2011.*

9. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია „UNWTO“. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ოფიციალური მონაცემები ტურისტული ინდუსტრიის მდგომარეობის შესახებ კორონავირუსის პანდემიის პერიოდში.
<https://www.unwto.org/international-tourism-and-covid-19>
10. სააკაშვილი... 2011: სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ., - „საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია“ *გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2011.*
11. სამედიცინო ტურიზმი და საქართველო: პრობლემების სპეციფიკა და რეკომენდაციები; <http://chapidze.ge/news/116--.html>
12. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2015.
13. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2016.
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018, ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.geostat.ge>
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2019, ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.geostat.ge>
16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020, ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.geostat.ge>
17. ფავლენიშვილი..., 2021: ფავლენიშვილი ლ., ბურდული ა., კაცაძე მ., პაპავა გ., „Covid-19-ის სოციალური ეფექტი-უნივერსალური დახმარების შემოღების საფუძველი?“, *ISET, International School of Economics at TSU Policy Institute, iset-pi.ge/storage/media/other/2021-09-24/23843650-1d24-11ec-bdb8*
18. ფარესიშვილი..., 2020: ფარესიშვილი ო., კვარაცხელია ლ., „სამედიცინო (სარეაბილიტაციო) ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში“. - *ბიზნესი და კანონმდებლობა, 2020, გვ. 53-67.*

19. Adams, 2015: Adams K., "Tourism Discourse and Medical Tourists' Motivations to Travel." *Emerald Publishing - Tourism Review*, 2015. – Vol. 70, № 2. – P. 85-96. – doi: 10.1108/TR-04-2014-0015.
20. Alleman..., 2011: Alleman B.W., Luger T., Reisinger H. S., "Medical Tourism Services Available to Residents of the United States." *J Gen Intern Med*, 2011. – Vol. 26, № 5. – P. 492-497. – doi:10.1007/s11606-010-1582-8.
21. Alsharif..., 2010: Alsharif M. J., Labonte R., Lu Z., "Patients Beyond Borders: A Study of Medical Tourists in Four Countries." *Global Social Policy*, 2010. – Vol. 10, № 3. – P. 315-335. – doi:10.1177/1468018110380003.
22. Bakuridze S, 2021: "Opportunities to Improve Regional Health Services and their Effectiveness-On the Example of the Autonomous Republic of Adjara), *Journal Geostrategiya, Baku*, 2021 N5 (65), ISSN 2664-4975
23. Bayzakov..., 2017: Bayzakov S., Adilbekova B. S., "Public-Private Partnership Models in Medical Tourism." *News of Kazakhstan Science N2*, 2017.
24. Beladi, 2015: Beladi H., "Medical Tourism and Health Worker Migration in Developing Countries." *Economic Modelling*, 2015. – Vol. 46. – P. 391-396. – doi: 10.1016/j.econmod.2014.12.045.
25. Bell, 2015: Bell D., "Transnational Healthcare, Cross-Border Perspectives." *Social science & medicine*, 2015. – Vol. 124. – P. 284-289. – doi: 10.1016/j.socscimed.2014.11.014.
26. Bies..., 2007: Bies W., Zacharia L., "Medical Tourism: Outsourcing Surgery." *Mathematical and Computer Modelling*, 2007, Vol. 46, № 7-8. – P. 1144-1159, doi: 10.1016/j.mcm.2007.03.027.
27. Boon-Anan, 2018: Boon-Anan P., "Health Tourism Management: The Case of Thai Tourism Industry." *NIDA Development Journal Vol. 58:3*.
28. Carrera..., 2006: Carrera P.M., Bridges J. F. P.M, "Globalization and Healthcare: Understanding Health and Medical Tourism." *Expert review of pharmacoeconomics & outcomes research*, 2006. – Vol. 6, № 4. – P. 447-454. – doi:10.1108/09526861111160580.

29. Cesario, 2018: Cesario S.K., "Implications of Medical Tourism" *Nursing for Women's Health*, 2018, Vol. 22, № 3 P. 269-273.
30. Chuang, 2014: Chuang T. C., "The Main Paths of Medical Tourism: From Transplantation to Beautification." *Tourism Management*, 2014. – Vol. 45. – P. 49- 58. – doi: 10.1016/j.tourman.2014.03.016.
31. Connell, 2006: Connell J., "Medical Tourism: Sea, Sun, Sand and... Surgery." *Tourism management*, 2006. – Vol. 27, № 6. – P. 1093-1100. – doi:10.1016/j.tourman.2005.11.005.
32. Crooks, 2011: Crooks V. A., "Promoting Medical Tourism to India: Messages, images, and the marketing of international patient travel." *Social Science & Medicine*, 2011. – Vol. 72, № 5. – P. 726-732. – doi:10.1016/j.socscimed.2010.12.022.
33. Crush..., 2015: Crush J., Chikanda A., "South Medical Tourism and the Quest for Health in Southern Africa." *Social Science & Medicine*, 2015. – Vol. 124. – P. 313-320, doi: 10.1016/j.socscimed.2014.06.025.
34. Deb, 2011: Deb P.K., "Marketing Medical and Health Tourism in India." *Anvesha*, 2011. – Vol. 4, № 1. – P. 76.
35. Esiyok..., 2017: Esiyok B., Çakar M., Kurtulmuşoğlu F.B., "The Effect of Cultural Distance on Medical Tourism." *Journal of Destination Marketing & Management*, 2017. – Vol. 6, № 1. – P. 66-75. – doi: 10.1016/j.jdmm.2016.03.001.
36. Fan, 2014: Fan V.Y., "Tracking the Flow of Health aid from BRICS Countries." *Bulletin of the World Health Organization*, 2014. – Vol. 92. – P. 457-458. – doi: 10.2471/blt.13.132472.
37. Fetscherin..., 2016: Fetscherin M., Stephano R.M., "The Medical Tourism Index: Scale Development and Validation." *Tourism Management*, 2016. – Vol. 52. – P. 539-556. – doi, 10.1016/j.tourman.2015.08.010.

38. Gabor 2019: Gabor M.R., Oltean F.D., “Babymoon Tourism Between Emotional Well-being Service for Medical Tourism and Niche Tourism. Development and Awareness on Romanian Educated Women.” *Tourism Management*, 2019. – Vol. 70. – P. 170- 175, doi: 10.1016/j.tourman.2018.08.006.
39. Galt & Taggart, 2016: First Wealth is Health, <http://galtandtaggart.com/main/press-releases/info/galttaggart-presented-report-about-tourism-sector-in-georgia-623/>
40. Galt & Taggart, 2018: Tourism at Full Speed, <http://galtandtaggart.com/research/researchreports/sector/all-all/1/>
41. Ganguli..., 2017: Ganguli S.A., Ebrahim A.H., “Qualitative Analysis of Singapore's Medical Tourism Competitiveness.” *Tourism Management Perspectives*, 2017. – Vol. 21. – P. 74-84, doi:10.1016/j.tmp.2016.12.002.
42. Han..., 2018: Han H., Hwang J., “Growing Competition in the Healthcare Tourism Market and Customer Retention in Medical Clinics.” *New and experienced travelers*, 2018, № 21, 680–702.
43. Heung..., 2010: Heung, V. C. S., Kucukusta D., Song H., “A Conceptual Model of Medical Tourism: Implications for Future Research.” *Journal of Travel & Tourism Marketing*, 2010. – Vol. 27, № 3. – P. 236-251. – doi: 10.1080/10548401003744677.
44. Connel, 2013: Connell J., “Contemporary Medical Tourism: Conceptualization, Culture and Commodification.” *Tourism Management*, 34, 1-13. – <https://doi.org/10.1016/j.tourman.2012.05.009>
45. Kangas, 2010: Kangas B., “Traveling for Medical Care in a Global World.” *Medical Anthropology*, 2010. – Vol. 29, № 4. – P. 344-362. – doi: 10.1080/01459740.2010.501315.
46. Khan..., 2016: Khan M.J., Chelliah S., Haron M. S., “International Patients’ Travel Decision Making Process-A Conceptual Framework.” *Iranian journal of public health*, 2016. – Vol. 45, № 2. – P. 134.
47. Li, 2014: Li H., “Patients Without Borders: The historical Changes of Medical Tourism.” *UWOMJ, History of medicine*, 2014. –Vol. 83, № 2. – P. 22-24.

48. Lovelock, 2008: Lovelock B., "Ethical Travel Decisions Travel Agents and Human Rights." *Annals of Tourism Research*, 2008. – Vol. 35, № 2. – P. 338-358. – doi: 10.1016/j.annals.2007.08.004.
49. Lunt, 2016: Lunt N., Horsfall D., Hanefeld J., "Medical Tourism: A Snapshot of Evidence on Treatment Abroad" *Maturitas*, 2016. – Vol. 88. – P. 37-44. doi: 10.1016/j.maturitas.2016.03.001.
50. Malik, 2019: Malik G., "The Creation of a Medical Tourist Destination: Exploring Determinants of Perception." *International Journal of Healthcare Management*, 2019. – P. 1-11. - doi: 10.1080/20479700.2019.1677023.
51. Mathijssen, 2019: Mathijssen A., "Home, Sweet Home? Understanding Diasporic Medical Tourism Behaviour. Exploratory research of Polish immigrants in Belgium." *Tourism Management*, 2019. – Vol. 72. – P. 373-385. – doi: 10.1016/j.tourman.2018.12.009.
52. Millbank, 2018: Millbank J., "The Role of Professional Facilitators in Cross-border Assisted Reproduction." *Reproductive Biomedicine & Society Online*, 2018. – Vol. 6. – P. 60-71 - doi:10.1016/j.rbms.2018.10.013.
53. Mohamad..., 2012: Mohamad W. N., Omar A., Haron M. S., "The Moderating Effect of Medical Travel Facilitators in Medical Tourism." *Procedia-Social and Behavioral Sciences*, 2012. – Vol. 65. – P. 358-363. – doi: 10.1016/j.sbspro.2012.11.134.
54. Momeni, 2018: Momeni K., "Barriers to the Development of Medical Tourism in East Azerbaijan Province, Iran: A qualitative study." *Tourism Management*, 2018. – Vol. 69. – P. 307-316. – doi: 10.1016/j.tourman.2018.05.007.
55. Moody, 2007: Moody M., "Medical Tourism: Employers Can Save Significant Healthcare Dollars by Having Employees Seek Overseas Options." *Rough Notes*. – 2007. – Vol. 150, № 11. – P. 114-116.
56. Musa..., 2012: Musa G., Thirumoorthi T., Doshi D., "Travel Behaviour Among Inbound Medical Tourists in Kuala Lumpur." *Current Issues in Tourism*, 2012. – Vol. 15, № 6. – P. 525-543. – doi: 10.1080/13683500.2011.626847.

57. Rerkrujipimol..., 2011: Rerkrujipimol J., Assenov I., “Marketing Strategies for Promoting Medical Tourism in Thailand.” *Journal of Tourism, Hospitality & Culinary Arts, 2011.* – Vol. 3, № 2. – P. 95-105.
58. Runnels..., 2012: Runnels V., Carrera P. M., “Why Do Patients Engage In Medical Tourism?” *Maturitas, 2012.* – Vol. 73, № 4. – P. 300-304. – doi: 10.1016/j.maturitas.2012.08.011.
59. Sheppard, 2014: Sheppard C.E., “The Cost of Bariatric Medical Tourism on the Canadian healthcare System.” *The American Journal of Surgery, 2014.* – Vol. 207, № 5. – P. 743-747, doi: 10.1016/j.amjsurg.2014.01.004.
60. Snyder..., 2012: Snyder J., Crooks V. A., Johnston R., “Perceptions of the Ethics of Medical Tourism: Comparing Patient and Academic Perspectives.” *Public Health Ethics, 2012.* – Vol. 5, № 1. – P. 38-46. – doi: 10.1093/phe/phr034.
61. Sudheer Muhammed, Sunil C D` Souza. Medical Tourism and Market feasibility in an emerging economy. *Twelfth AIMS International Conference on Management. P.1922-1928.*
https://www.researchgate.net/profile/Sudheer_Km4/publication/271854546_Medical_Tourism_and_Market_feasibility_in_emerging_economy/links/54d
62. Tham, 2018: Tham A., “Sand, Surgery and Stakeholders: A Multi-Stakeholder Involvement Model of Domestic Medical Tourism for Australia’s Sunshine Coast.” *Tourism management perspectives, 2018.* – Vol. 25. – P. 29-40. – doi: 10.1016/j.tmp.2017.11.002.
63. Tsertvadze, 2020: Tsertvadze A., Bakuridze A., Machutadze I., “A Study on the Chemical Composition of Kolkheti’s Sphagnum Peat Peloids to Evaluate the Perspective of Use in Medical Practise.” *9th international research conference; 2020 Zurich, Switzerland.*
64. Tsetsxladze L., Bakuridze S., Opportunities for the Development of Recreational and Medical Tourism”, International Scientific and Practical Conference, - *Organization’s Strategy vs Realities of the Vuca-world, Ukraine, 2021. ISBN 978-966-926-392-6*

65. Wendt, 2012: Wendt K., “Medical Tourism: Trend and Opportunities.” <https://digitalscholarship.unlv.edu/thesedissertations/1483/>
66. Whitmore..., 2015: Whitmore R., Crooks V.A., Snyder J., “Ethics of Care in Medical Tourism: Informal Caregivers' Narratives of Responsibility, Vulnerability and Mutuality.” *Health & Place*, 2015. – Vol. 35. – P. 113-118. – doi: 10.1016/j.healthplace.2015.08.004.
67. Woodman..., 2015: Woodman J., Abbate J., “Patients Beyond Borders: Everybody's Guide to Affordable, World-Class Medical Travel.” *New York, Patient Beyond Borders*, 2015.
68. Веселова, 2016: Веселова Э.Ш., “Медицинский Туризм – Бизнес на путешествиях с пользой для здоровья.” *Всероссийский экономический журнал ЭКОБ 2016*. – № 3. – С. 142-164.
69. Грошев..., 2017: Грошев И.В., Краснослободцев А.А., “Мировой рынок медицинского туризма.” *Мировая экономика и международные отношения*. 2017. Том 61. №10. С.87-95.
70. Дайхес, 2020: Дайхес Аркадий Николаевич, “Научное обоснование организации экспорта медицинских услуг в регионе.” *Докторская диссертационная работа 2020*.
71. Жилиева, 2013: Жилиева Е.А., “Современный пациент в условиях глобализации.” *Проблемы социальной гигиены, здравоохранения и истории медицины*, 2013. – № 1. – С. 6-10.
72. Игнатова, 2020: Игнатова.Е., *Современные Тенденции Развития Рынка Медицинского Туризма. Докторская диссертационная работа 2020*.
73. Климин, 2018: Климин В.Г., “Медицинский туризм.” *Концепция создания системы оказания медицинских услуг, иностранным гражданам, в медицинских учреждениях Российской Федерации*. Комментарий, 2018. – 56.
74. Лядова, 2017: Лядова А.В., “Медицинский туризм как социальная практика: современное состояние и перспективы развития.” *Гуманитарные, социально-экономические и общественные науки*, 2017. – № 1. – С. 79-82.

75. Мальцев, 2018: Мальцев А.В., “Международная практика организации медицинского туризма.” *Фундаментальные исследования*, 2018. – № 6. – С. 133-137.
76. Мозокина, 2014: Мозокина С.Л., “Тенденции развития лечебно-оздоровительного и медицинского туризма.” *Известия СПбГЭУ*, 2014. – № 5 (89). – С. URL: <https://cyberleninka.ru/article/n/tendentsiirazvitiya-lechebno-ozdorovitelnogo-i-meditsinskogo-turizma>.
77. Никонова, 2018: Никонова М.В., “Государственное регулирование внедрения инноваций в медицинском туризме.” *Научное обозрение: теория и практика*. 2018. №10. С.131-141.
78. Русанова, 2009: Русанова Н.Е., “Репродуктивный туризм в России: возможности и проблемы.” *Сервис plus*, 2009. – № 3. – С. 83-86.
79. Салова, 2017: Салова Н.С., “К вопросу о современном понимании лечебного туризма в России.” *Наука XXI века*, 2017. – № 4. <https://nauka21veka.ru/articles/geograficheskie-nauki/k-voprosu-osovremennom-ponimanii-lechebnogo-turizma-v-rossii-1492445670/>.
80. Семенова, 2015: Семенова З.А., Чистобаев А.И., “Медицинская география и здоровье населения: эволюция знания.” *Монография, издательство «Европейский дом»*, 2015г. 252с.
81. Соколов, 2017: Соколов А.С.. “Теоретико-методологические аспекты медицинского туризма.” *Вестник РМАТ*. – 2017. – № 3. – С. 105-111.
82. Тастанбекова, 2016: Тастанбекова Ш.О., “Мировой опыт развития и продвижение медицинского туризма на примере Южной Кореи.” *Вестник Казахского Национального медицинского университета*, 2016. – № 4. – С. 477- 481.
83. Улумбекова, 2011: Улумбекова Г. Э., “Анализ и оценка системы здравоохранения Республики Корея.” *Менеджер здравоохранения*, 2011. – № 11. – С. 47-54.

84. Утебеков, 2018: Утебеков С.Н., “Специфика туристских услуг в медицинском туризме.” *Материалы круглого стола университета «Туран». Сборник трудов.* – Алматы, 2018. – С. 62-66.

ელექტრონული რესურსები:

85. Bloomberg, 2016: მსოფლიო ქვეყნების რეიტინგი ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის მიხედვით. ჰუმანიტარული ტექნოლოგიების ცენტრი, ხელმისაწვდომია: <https://www.gtmarket.ru/news/>

86. Deutsches Institut für Normung. – 2019. Available: <https://www.din.de/en/about-standards>

87. Eurostat: ევროპული კავშირის სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი. ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/eurostat/home?p_auth=BMAauWo7&p_p_id=estatse

88. Global Web Index, 2020: GWI - Audience Insight Tools, Digital Analytics & Consumer Trends, 2020, Available: <https://www.globalwebindex.com>.

89. Global Wellness Economy Monitor / Global Wellness Institute. Available: - <https://globalwellnessinstitute.org/industry-research2/>

90. Hajioff, Steve. Health Tourism: 100 years of living science. Imperial College, London, November 2007. Available: <http://www1.imperial.ac.uk/resources/4042628D-B846-4531-BB7D-0F8293266C76>.

91. Health Consumer Powerhouse, 2018. Available: <https://healthpowerhouse.com/media/EHCI-2018/EHCI-2018-report.pdf>

92. Health Inequalities in the European Union, 2013: European Commission. Available: https://ec.europa.eu/health/sites/health/files/social_determinants/docs/healthinequalities_in_eu_2013_en.pdf.

93. IMTJ: International Medical Travel Journal - Medical and Health Tourism Resources. IMTJ, 2008, Available: <http://imtj.com>.

94. International Medical Travel Journal, 2019. Country Germany – Available: <https://www.imtj.com/country/DE/>.
95. JCI-Accredited Organizations | Joint Commission International. *A Global Leader for Health Care Quality and Patient Safety | Joint Commission International*, Available: <https://www.jointcommissioninternational.org/about-jci/jci-accredited-organizations/?c=South%20Korea>.
96. Kooperation für Transparenz und Qualität im Gesundheitswesen. Available: <https://www.ktq.de>.
97. Medical Tourism Index, 2016: The Medical Tourism Index, Biennial Report, 2016, Available: <http://www.medicaltourismindex.com>
98. Medical Tourism Index, 2018: The Medical Tourism Index, Biennial Report, 2018, Available: <http://www.medicaltourismindex.com>
99. Medical Tourism Magazine, Available: <https://medicaltourismmag.com>
100. Medical tourism market trends-an exploratory research. Research Gate. Available: <https://www.researchgate.net>
101. Numbeo, 2016: ქვეყნების ჯანდაცვის სისტემის რეიტინგი 2016 წლისთვის. ხელმისაწვდომია: <http://totalrating.ru>
102. Solidarity in Health: Reducing Health Inequalities in EU. European Commission, 2009. Available: <https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2009:0567:FIN:EN:PDF>.
103. Swiss Medical Network - შვეიცარიის კერძო კლინიკების გაერთიანების ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://www.swissmedical.net>
104. Switzerland Tourism - შვეიცარიის ნაციონალური ტურისტული კორპორაციის ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://www.myswitzerland.com/en/home.html>
105. Temos, 2019. Accreditation Program. Electronic resource: <https://www.temos-worldwide.com/our-accreditation-programs.aspx>.
106. The World Bank. International tourism, number of arrivals. Available: <https://data.worldbank.org/indicator/ST.INT.ARVL>.

107. UniMed, 2019: სამედიცინო ტურიზმი, მონაცემები. ხელმისაწვდომია: <https://www.unimed.org>
108. Visit Medical Korea - სამხრეთ კორეის სამედიცინო ტურიზმის განვითარების საინფორმაციო პორტალი. ხელმისაწვდომია: <http://visitmedicalkorea.com>
109. WHO: „ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის ანგარიში ევროპაში 2012წ.“ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu>
110. World Health Organization & European Commission, 2013. “Health Inequalities in EU.” *Available:* <https://www.who.int>